ქალაქი მერის გარეშე A2

ოთხი დარდი და ერთიც დავიწყებული A3

აფხაზეთის მართლმსაჯულება და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 25 იანვარი, 2005 წელი. №16 (876) | ფასი 50 თეთრი


## ეკონომიკა

### ვინ იყიდის დევნილებით დასახლებულ ობიექტებს?



დიდი პრივატიზაციის დაწყების შემდეგ, გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში დევნილებით ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების მოხვედრამ, იძულებით გადაადგილებულ პირებში მღელვარება და გაურკვევლობა გამოიწვია.

A4

## უცხოეთი

### სწრაფი და გულწრფელი საუბარი კრემლში



რუსეთის პრეზიდენტმა იუშენკოს აუხსნა, რომ კუჩმას თხოვნით მოქმედებდა.

A5


იურიდიული ოფისი „ბაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7



გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4


## ამინდი

| | 25/1 | 26/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 10 |
| ქუთაისი | 10 | 13 |
| ბათუმი | 11 | 14 |
| სოხუმი | 6 | 13 |
| ფოთი | 10 | 14 |
| თელავი | 7 | 8 |
| ზუგდიდი | 9 | 14 |
| გორი | 6 | 7 |
| ახმეტა | 7 | 8 |
| ჭიათურა | 7 | 9 |
| გაგრა | 4 | 11 |
| სამტრედია | 11 | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.3890 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4350 |
| რუბლი | 0.0652 |

# მკაცრი, მაგრამ ობიექტური ევროსაბჭო და უჩვეულო რუსეთი

*მაშინ, როდესაც ევროპის საბჭო მკაცრია საქართველოს მიმართ, რუსეთი თავს ვალდებულად მიიჩნევს, მხარი დაუჭიროს საქართველოს და იყოს უჩვეულოდ მეგობრული; რუსი ორატორი აღფრთოვანებულია რუსული კაპიტალის საქართველოში შემოსვლით და, კონკრეტულად "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" "ევრაზჰოლდინგისთვის" გადაცემით. ამას თუ დავამატებთ სხვა ობიექტების პრივატიზებასაც, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში რუსეთის უალტერნატივობა, რეალურად ბიზნესია თუ პოლიტიკური გაცვლები?*

ნინო გომართელი

**"ჩვენ მივესალმებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დათბობას. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია საქართველოს ეკონომიკაში რუსული ინვესტიციების ჩადება, რის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ სულ ახლახან მიიღო. რუსეთს სჭირდება ეკონომიკურად ძლიერი საქართველო და ჩვენ მივესალმებით საქართველოს ახალი ხელისუფლების აღნიშნულ ნაბიჯს,"** - განაცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას რუსეთის წარმომადგენელმა ლეონიდ სლუცკიმ. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ **"საქართველოში იმარჯვებს საღი აზრი"** და რომ **"რუსეთთან ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია."**

რუსეთის წარმომადგენლის გამოსვლაში აშკარად დომინირებდა საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურადაა ჩართული რუსეთი. საერთოდ, ევროსაბჭოში საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი რუსეთის დელეგაცია აღმოჩნდა.

მეტად მკაცრი და, ამავე დროს, ობიექტური იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის თანაავტორი მათიას იორში.

**"ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლიდან მხოლოდ ერთი წელი გავიდა. ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი კარგად მიდის და პრობლემები არ არის, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ყველაფერი ცუდადაა. თუ ყურადღებას მიაქცევთ ევროსაბჭოს დასკვნას, დაინახავთ, რომ ჩვენ არ ვცდილობთ, ეს ხელისუფლება ძველი ხელისუფლების მიერ შექმნილ პრობლემებში დავადანაშაულოთ. თუმცა, ჯანმრთელი კრიტიკა საქართველოს და მის ხელისუფლებას სწორ გზაზე დააყენებს,"** - განაცხადა მან სიტყვით გამოსვლისას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილი: "სანამ პირში სული მიდგას, საქართველოს ვერავინ დაშლის"



*"ყველა ეროვნების ადამიანს აქვს უფლება აფხაზეთში დაბრუნებისა. ეს არის ჩემი მთავარი პირობა ყველანაირი კომპრომისისა. ისინი (სეპარატისტები) ნუ დაბრუნდებიან საქართველოში, ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში."*

იური ლობოდინის ფოტო

*ხანგრძლივი, ერთთვიანი პაუზის შემდეგ გუშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრიფინგი გამართა. მან მიმოიხილა ინაუგურაციის ერთი წელი, ყურადღება გაამახვილა ახალი ხელისუფლების მიღწევებზე და დასძინა: ვისაც ამის დანახვა არ სურს, იმას დიალექტიკური განვითარებისა არ ესმისო. ბატონმა პრეზიდენტმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გასაჟღერებელ ინიციატივაზეც ისაუბრა. მან ბრძანა, რომ ქართული მხარე ოსებს მშვიდობის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ, პოლიტიკურ სტატუსს სთავაზობს.*

ვერიკო თევზაძე

აჭარაში ფეოდალიზმის აღკვეთა, პენსიების გაორმაგება, არაკორუმპირებული სახელმწიფო სამსახურის შექმნა, ლიბერალური საგადასახადო კოდექსის მიღება, მიწის გადასახადის მოხსნა... ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ მიღწევებისა, რომელიც პრეზიდენტმა გუშინდელ ბრიფინგზე კიდევ ერთხელ გაახმოვანა.

ბატონმა მიხეილმა ისაუბრა სერიოზულ წარმატებებზე არმიის აღმშენებლობის გზაზე,

გაგრძელება A3 გვერდზე

## რეფორმების წინააღმდეგობრივი შედეგები

### საქართველო "Human Rights Watch"-ის ყოველწლიურ მოხსენებაში

სოფიკო ჩხაიძე

*საქართველოს ახალი ხელისუფლების რეფორმატორულმა სვლამ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი შედეგები მოიტანა - ასეთი გახლავთ 2004 წელს საქართველოში არსებული სიტუაციის მონიტორინგის შედეგების შეფასება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "Human Rights Watch"-ის ყოველწლიურ მოხსენებაში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ იანვარში გამოაქვეყნა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## დათმობამ ოსურ მხარეს მადა აღუძრა

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სოფელ ერედვის განყოფილების უფროსი ლადო ჩალაური, ოთხდღიანი პატიმრობის შემდეგ, ოსურ მხარეს გუშინ უპირობოდ უნდა გაეთავისუფლებინა. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც მოსკოვიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდან მოწვეული დელეგაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. რაც შეეხება განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ალიკ ფუხაევს, იგი დღეს გორის იზოლატორიდან ცხინვალში უნდა გადაეყვანათ და მისი ბრალეულობის საკითხი ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფს შეესწავლა.

თუმცა, თითქოს წარმატებით დამთავრებულ მოლაპარაკებებში, მოულოდნელად, დაბრკოლება შექმნა იმან, რომ საკონტროლო კომისიის სხდომაზე დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი პირობები წამოაყენეს. ოსებმა ალიკ ფუხაევის, აგრეთვე ქუმარიტოვისა და თედეევის გარდა, კიდევ სამი კაცის გათავისუფლება მოითხოვეს. დამატებით დასახელებულთაგან ერთ-ერთი ცნობილი კრიმინალი, სოფელ ზემო არცევის მკვიდრი მარეკ დუდაევია, რომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე გორის რაიონულ პროკურატურაში რამდენიმე მუხლითაა აღძრული.

გაგრძელება A2 გვერდზე


ბრძელდება ხელმოწერების კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.





A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სხვადასხვა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# დათმობამ ოსურ მხარეს მადა აღუძრა

პირველი გვერდიდან

დუდაევი ამჟამად საქართველოს სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთ დაწესებულებაშია მოთავსებული.

ვიდრე პოლიტიკოსები ცხინვალში ჩალაურისა და ფუხაევის ბედზე ბჭობდნენ, მათ გადაწყვეტილებას სოფელ ერგნეთის საგუშაგოსთან მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეები მოთმინებით ელოდნენ. ლადო ჩალაურის ნათესავები ცხინვალში მიმავალ სახელმწიფო მინისტრს დაემუქრნენ, რომ თუ ის ვერ მოახერხებდა ქართველი პოლიციელის გათავისუფლებას, უკან მომავალს, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღარ გამოატარებდნენ. ამასთან, საგუშაგოსთან მოსახლეობას გაჩერებული ჰყავდა რამდენიმე ავტობუსი, რომლებიც, როკის გვირაბის გავლით, მოსკოვში მიემართებოდნენ (სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ როკის გვირაბით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა უკანონოა და რუსეთში გამგზავრება ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით უნდა ხდებოდეს).

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პოსტზე, მიხეილ ქარელის ნაცვლად, ედუარდ კოკოითის პირადი წარმომადგენლის ვაჟა ხაჭაპურიძის შესაძლო დანიშვნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თავად ხაჭაპურიძე ამ ინფორმაციას ადასტურებდა. მისი თქმით, ასეთი წინადადება მან ერთი კვირის წინათ მიიღო.

**"დაძაბულობის ესკალაციით და მხოლოდ შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებით კონფლიქტი ვერ მოგვარდება. საჭიროა, პროცესში ისეთი ადამიანის ჩართვა, რომელსაც ოსური მოსახლეობა ენდობა. ასეთი ადამიანი კი მე ვარ,"** - თავმომწონედ აცხადებდა ხაჭაპურიძე, რომლის მტკიცებითაც, ეს იდეა კოკოითმა და სააკაშვილმაც მოიწონეს.

შიდა ქართლის გუბერნატორის თანამდებობაზე ვაჟა ხაჭაპურიძის შესაძლო დანიშვნას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულად გამორიცხავენ. აღნიშნულ ინფორმაციას სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა "აბსურდულსა და სასაცილოს" უწოდებს.

**"ასეთი შეთავაზება არ ყოფილა და არც იქნება, რადგან ხაჭაპურიძე ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელია და საქართველის პრეზიდენტის რწმუნებულად მისი მოაზრება შეუძლებელია,"** - აღნიშნავს ხაინდრავა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხაჭაპურიძის შესაძლო გუბერნატორობას საპირველაპრილო ხუმრობად მიიჩნევს, ხოლო პრემიერ-მინისტრი "აბსოლუტურ სისულელედ" აფასებს.

**"ვაჟა ხაჭაპურიძეს, გვარის გარდა, საქართველოსთან არანაირი კავშირი არა აქვს. მისი დანიშვნის საკითხი არა თუ არ განიხილება, არამედ საერთოდ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დადგეს დღის წესრიგში. ეს არის ბლეფი,"** - აცხადებს ზურაბ ჟვანია.

*24 საათი*

# ურთიერთგაგების მემორანდუმი ხელსაყრელ კონტრაქტად შეფასდა

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

გასული წლის 6 დეკემბერს ფოთის პორტის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ტერმინალების მოიჯარეებთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა. სამუშაო პროცესი დაახლოებით თვენახევარი გაგრძელდა და მემორანდუმების საფუძველზე შემუშავებული მოქმედი საიჯარო კონტრაქტების ცვლილებებისა და დამატებების პროექტების ორმხრივი ოფიციალური ხელმოწერა 22 იანვარს გაიმართა.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურსა" და მოიჯარეებს - "პრომეტკო ჯორჯიას", "მეტალექსს", "ჯე-ეს-კოს" - შორის კონტრაქტი შედგა და მიღწეული შეთანხმებით მხარეებმა კმაყოფილება გამოხატეს.

საკმაოდ სქელტანიანი ხელშეკრულების ძირითადი პირობები საიჯარო თანხის 40 პროცენტით გაზრდას, იჯარის ვადის 15-ის ნაცვლად 25 წლით განსაზღვრასა და გრძელვადიანი ინვესტიციების დაბანდებისთვის ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნას ითვალისწინებს.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალური დირექტორის თემურ მიმინოშვილის ინფორმაციით, სახელმწიფომ, საიჯარო ქირის გაზრდის სანაცვლოდ, მეიჯარეებს 25-წლიანი ვადა, სატარიფო პოლიტიკისა და ტვირთების სახეობათა განსაზღვრის თავისუფლება შესთავაზა. ოპერირებას თავად სტივიდორული კომპანიები გასწევენ. **"მნიშვნელოვანია ფინანსური და ეკონომიკური ეფექტიც. 40 პროცენტით გაზრდილი საიჯარო თანხა ნავსადგურისთვის გაზრდილ შემოსავლებს და ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებში გაზრდილ გადასახადებს ნიშნავს. წლიური ნამატი დაახლოებით 700 ათას ამერიკულ დოლარს უტოლდება,"** - აცხადებს მიმინოშვილი.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია ამბობს, **"საიჯარო თანხის 40 პროცენტით გაზრდა სახელმწიფოსთვის პირდაპირი ფისკალური ეფექტია. თავის მხრივ, იჯარის ვადის გაზრდა მეიჯარეს გრძელვადიან ინვესტიციებზე ფიქრისთვის კომფორტულ გარემოს უქმნის. ხელშეკრულება ორმხრივია, ე.ი. ორივე მხარე შეთანხმებით კმაყოფილი ვართ. მათ, ასე ვთქვათ, "იყიდეს" გარკვეული სტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენ მივიღეთ გაცილებით მეტი ფული და "ვიყიდეთ" გარკვეული სტაბილური შემოსავალი 25 წლის განმავლობაში".**

"პრომეტკო ჯორჯიას", "მეტალექსისა" და "ჯე-ეს-კოს" წარმომადგენლები კონტრაქტის ძირითად მომენტად საიჯარო ვადის გაზრდას ასახელებენ. **"25 წელი სერიოზული ინვესტიციების დაბანდებაზე ფიქრის საშუალებას მაძლევს,"** - ამბობს "ჯე-ეს-კოს" დირექტორი ჯონ კარლო სპინიტორი.

ანალოგიური პირობებით ურთიერთგაგების მემორანდუმის დადება მე-8 ტერმინალის მოიჯარესთან, კომპანია "ბი ენდ პის" ხელმძღვანელობასთან იგეგმება. თემურ მიმინოშვილის ცნობით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, მოქმედ საიჯარო კონტრაქტში იანვრის ბოლომდე ცვლილებები და დამატებები გაფორმდება.

# ახალი სამხედრო სასწავლებელი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გუშინ კაპიტანთა სკოლა გაიხსნა. სკოლის პრეზენტაციას შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე დაესწრო. მიწვევის მიუხედავად, ღონისძიებას არ დასწრებია თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. კაპიტანთა სკოლა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის ოფიცერთა გარკვეულ კონტინგენტს მოამზადებს. როგორც ვახტანგ კაპანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, დღემდე ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს სამეთაურო კურსების გავლის საშუალება მხოლოდ უცხოეთში ჰქონდათ, თუმცა, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, უკვე შესაძლებელია, კაპიტანთა გადამზადების კურსი საქართველოშიც ჩატარდეს. **ინტერ-პრესი**

# ბრიტანული გამოცდილება

საქართველოში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად, ხელისუფლება ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის არსებული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

ამის შესახებ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომელიც 15-23 იანვარს, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მიწვევით, საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ლონდონსა და ბელფასტში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ ოთხი დღე ირლანდიაში დაჰყო, შემდეგ კი, სამი დღე - ლონდონში იმ სახელმწიფო მოღვაწეებს ხვდებოდა, რომლებიც ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის მიმდინარე სამშვიდობო პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ. **ინტერ-პრესი**




# ქალაქი მერის გარეშე

## სახელისუფლებო კრიზისი ფოთში

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

უპრეცედენტო მოვლენა - ერთი ქალაქის სამი მერი გისოსებს მიღმა და ქალაქი მერის გარეშე! ასეთია რეალობა, რომლის მიზეზებზე თვეზე მეტია, ფოთში მხოლოდ ვერსიების დონეზე საუბრობენ. აღმასრულებელი ხელისუფლების სამივე პირველ პირს ძალოვანები დაახლოებით ერთი და იგივე, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, უფლებამოსილების გადამეტებასა და საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ განკარგვას ედავებიან. ჯერ არც ერთი სასამართლო პროცესი არ დასრულებულა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთის წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა ამოიწურა, ციხიდან მათ გათავისუფლებას არავინ ჩქარობს.

ფოთში კი სახელისუფლებო კრიზისია. როგორც თავად ირწმუნებოდა, "პატიოსანი და საქალაქო ყულაბაზე მზრუნველი" მერის, ვახტანგ ალანიას ერთწლიანი მმართველობა 18 დეკემბერს სკანდალური დაპატიმრებით დამთავრდა.

თითქმის იმავე დღეს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, გიგი უგულავამ ფოთში თავისი მოადგილე დანიშნა. მამუკა თოდუა სამაუწყებლო კომპანია მე-9 ტალღის გენერალური დირექტორი და გუბერნატორთან დაახლოებული პირი იყო. ცოტა მოგვიანებით საკრებულომ მერის მოვალეობის შესრულების უფლებამოსილება ალანიას მოადგილეს, თენგიზ შანიძეს მიანიჭა. მართალია, ერთიცა და მეორეც კატეგორიულად უარყოფს ერთმანეთის კომპეტენციაში ჩარევას, მაგრამ თოდუას მიერ, სამსახურების ხელმძღვანელებთან გამართული პირველივე დახურული თათბირის შემდეგ გაჩნდა კულუარული ინფორმაცია, რომ გუბერნატორის მოადგილემ თანამდებობის პირებს სავარძლების დატოვება მოსთხოვა. პრესასთან თოდუა სხვა საკითხებს ახმოვანებს და ქალაქის განვითარების პერსპექტივებზე საუბრობს. თუმცა, უსაფუძვლო არ უნდა იყოს მოარული ხმები, რომ იგი გუბერნატორმა ფოთს დე-ფაქტო მმართველად მოუვლინა და ბევრი ისეთი საკითხის გადაწყვეტასაც ცდილობს, რომელიც მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის პრეროგატივას განეკუთვნება.

რწმუნებულის მოადგილის ინიციატივით, ქალაქში ე.წ. მონაცემთა ბაზის შექმნა დაიწყო. ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს თავისი CV (ავტობიოგრაფია) მთავრობას წარუდგინოს. ძნელი სათქმელია, ხელისუფლების ორგანოში მუშაობის დაწყების რა შანსი აქვს რომელიმე მათგანს, მაგრამ ფაქტია, ადგილობრივი ტელევიზიით ფართოდ რეკლამირებული აქცია მრავალრიცხოვანი დაუსაქმებელი მოქალაქის დიდ დაინტერესებას იწვევს.

**"მე მაქვს ერთი ფუნქცია - ადგილზე გავატარო პრეზიდენტის პოლიტიკა. მე არ ვწყვეტ საკითხებს, რომელიც მერს ეხება. არავის მივცემ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვის, უკანონო გადარიცხვების განხორციელების უფლებას,"** - აცხადებს თოდუა "24 საათთან" საუბრისას.

**"ვმუშაობთ კოორდინირებულად. ვათანხმებთ გარკვეულ საკითხებს, მაგრამ გადაწყვეტილებებს მაინც ჩვენ ვიღებთ,"** - ადასტურებს მის პოზიციას მერის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ შანიძე.

ძნელია გამორიცხო, რომ გადაწყვეტილების მიღება უკვე შეთანხმებული საკითხის მხოლოდ ხელმოწერაში გამოიხატება. შანიძის ფაქსიმილეს მიღება კი სირთულეს არ წარმოადგენს, მით უფრო, რომ მას მხოლოდ შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე გაუჩნდა თუნდაც დროებითი, მაგრამ მაინც მერის მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა.

ასეა თუ ისე, თოდუას, რომელმაც თავისი სამუშაო კაბინეტის შერჩევა და ავტომანქანისთვის სადგომის დათმობაც კი ადგილობრივ პრესაში გახმაურების გარეშე ვერ მოაგვარა, ფოთის მერობის სურვილი ნამდვილად ჰქონდა. როგორც ამბობენ, ის იყო მხარის გუბერნატორისთვის სასურველი კადრი. სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნულმა მიზეზმა გარკვეული ხნით დაბლოკა ქალაქისთვის მერის დანიშვნა. იყო საუბარი მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ფოთში მერის პირდაპირი წესით დანიშვნის თაობაზე. საკითხი ჯერ ისევ ღიად რჩება. მოქმედი კანონმდებლობით, ფოთელებს თავიანთი ქალაქის მერის არჩევის უფლება არა აქვთ. მას ქვეყნის პრეზიდენტი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს შემადგენლობიდან ნიშნავს.

პრეზიდენტი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. საკრებულოს 15 წევრიდან არჩევანი ჯერ არც ერთზე არ შეჩერებულა.

**"ცოტა გართულდა გადაწყვეტილების მიღება. დასამალი არ არის, რომ თავის დროზე საკრებულოს შემადგენლობა არჩეულ იქნა ძალიან დიდი გაყალბების გზით და ეს გარემოება, გვინდა თუ არა, მის რეიტინგზე მოქმედებს. სამი-ოთხი კანდიდატურა რეალურად განიხილება. არჩევანი კომპეტენტურ და პატიოსან კადრზე უნდა შეჩერდეს,"** - აცხადებს თოდუა.

**"სახელმწიფო კანცელარიაში ჩემი მოსაზრებაც მოისმინეს. დაუფარავად ვუთხარი სიმართლე ყველა კანდიდატურაზე. მიმდინარეობს მუშაობა. მერი აუცილებლად საკრებულოდან უნდა დაინიშნოს,"** - ამბობს თენგიზ შანიძე.

"კომპეტენტურად და პატიოსნად" თავს საკრებულოს 15-ვე წევრი მიიჩნევს. ზოგიერთმა მათგანმა ცენტრთან საერთო ენის გამოსანახად მისთვის ხელმისაწვდომი მექანიზმები ჯერ კიდევ ვახტანგ ალანიას მერობის პერიოდში აამუშავა.

ჩვენი ინფორმაციით, უარი ითქვა არჩილ კუპრეიშვილის კანდიდატურაზე; მას მერობის ამბიცია თავისი "ნაციონალობიდან" გამომდინარე გაუჩნდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დღესაც ორ, საკმაოდ დაშორიშორებულ, თბილისის მერიის აპარატის უფროსის მოადგილისა და ფოთის საკრებულოს წევრის სავარძელს ერთმანეთს უთავსებს.

ბოლო დღეებში ქალაქში მოგელი ტყებუჩავას სახელიც ხმიანობს. იგი წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარეობდა და ფოთში თბოელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივის მისეული ვარიანტით თავის დროზე სკანდალში გაეხვია.

ერთი სიტყვით, ფოთში ჯერაც ვერსიების დონეზე მსჯელობენ. კანონი ფოთელებს მხოლოდ 15 თვითმმართველის ავ-კარგიანობაზე წინასწარ ბჭობის უფლებას აძლევს. ფაქტია, ყოფილი "მოქალაქეთა კავშირითა" და "აღორძინებით" დაკომპლექტებულ უმრავლესობაში პარტიული ნიშნით ვინმეზე არჩევანის შეჩერება გართულდა.

არ გამოირიცხება ვარიანტიც, რომ, "კომპეტენტურსა და პატიოსანთან" ერთად, ცენტრი ისეთ კანდიდატს ეძებს, რომლის ჩამოშორება და არჩევნებისას სასურველით ჩანაცვლება იოლი გახდება.

კანონი მერის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილების ვადას არ უსაზღვრავს, მაგრამ ფაქტია, ქალაქში სახელისუფლებო კრიზისის უსასრულოდ გაგრძელებაც არ შეიძლება. მართალია, შანიძე ამტკიცებს, რომ ყველა პროცესი ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს. სამი ექს-მერის ადგილზე ყოფნისას რამდენად ნორმალურად ვითარდებოდა მოვლენები, ამ საკითხს დღეს ძალოვანი უწყებები საპატიმროებში მყოფ ყოფილ ფოთელ ჩინოვნიკებთან ერთად იხილავენ.

ფოთელებს კი, რომლებიც მერის არჩევითობას მოითხოვდნენ, დღეს მისი დანიშვნაც სანატრელი გაუხდათ.

## ფოთი კატასტროფის წინაშე

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს**
**ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას**

მოგეხსენებათ, რომ თითქმის ერთ თვეზე მეტია, რაც ქალაქი ფოთი მერისა და მთავრობის გარეშე ინერციით ცხოვრობს.

ქალაქში დღემდე არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ყოფილი მერების ერთი-მეორის მიყოლებით დაპატიმრებამ, უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა ქალაქის მომავალ განვითარებაზე. მოსახლეობა გაუსაძლისი სოციალური პრობლემების წინაშე დგას.

უმძიმესი მდგომარეობაა მოსახლეობის სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების თვალსაზრისით. ქალაქის უბნებს მთელი კვირის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიეწოდება. თვეების მანძილზე არ ფუნქციონირებს ფეკალური წყლების სატუმბი სადგურები, რაც ქალაქის მაცხოვრებლებს ჰიგიენური კატასტროფისა და ეპიდემიური დაავადების საშიშროებას უქადის. აგრეთვე, სანიაღვრე არხების უმოქმედობის გამო, წვიმის დროს, ქალაქი იტბორება ჩამონადენი წყლით, რაც ქმნის მალარიის კერებს.

სრულიად გაჩანაგებულია ქალაქის ჯანდაცვის სისტემა. უმძიმეს მდგომარეობაშია ფოთის ცენტრალური საავადმყოფო. არ არსებობს მკურნალობის ელემენტარული პირობები.

თითქმის ჩამკვდარია ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურა. ათ წელზე მეტია, რაც ახალგაზრდა თაობას არ გააჩნია პირობები შემოქმედებითი განვითარებისთვის. ყოველივე ზემოთხსენებული ამთავითვე ხელს უშლის ჯანსაღი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ქვეყნის მომავალი მშენებლობა და ეროვნული ფასეულობების გადარჩენა. "საქართველოს კარიბჭედ" წოდებული ქალაქი შუა საუკუნეების პირობებში განაგრძობს არსებობას, ყოველგვარი ჯანსაღი მომავლის მოლოდინის გარეშე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის ინტელიგენციის სახელით, მოგმართავთ თხოვნით:

1. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება, რათა ქალაქ ფოთის ადგილობრივმა მოსახლეობამ თავადვე აირჩიოს ქალაქის ღირსეული ხელმძღვანელი.

2. ახლო ხანებში, ადგილობრივ მთავრობასთან ერთად, განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები ქალაქის ელემენტარული სასიცოცხლო პირობების, წყლის, ელექტროენერგიის, გაზიფიკაციის, ჯანდაცვის პრობლემების მოსაწესრიგებლად.

3. ხელი შეუწყოს ქალაქის ურთიერთობას საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა შემუშავდეს პროექტები ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

4. ქალაქ ფოთთან მიმართებაში შემუშავებულ იქნეს ოპტიმალური საკადრო პოლიტიკა და მიეცეს ქალაქის ადგილობრივ კადრებს საშუალება, თავადვე უხელმძღვანელონ საკუთარ ქალაქს.

იმედია, ყურადღებით მოეკიდებით ჩვენს მიმართვას და უახლოეს ხანებში მიიღებთ საჭირო ზომებს ფოთის აღორძინებისა და განვითარებისათვის.

***ზურაბ სულაბერიძე***, *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფოთის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დოცენტი, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი;*
***რეზო ქინქლაძე***, *საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ფოთის საპატიო მოქალაქე;*
***ლამარა ნოდია***, *საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ფოთის საპატიო მოქალაქე;*
***შალვა დოლბაია***, *დასავლეთ საქართველოს წყალეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფოთის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი;*
***მანანა სანაია***, *ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფოთის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დოცენტი;*
***გოჩა ქორქია***, *ფოთის V საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე;*
***ლიზა მსხალაია***, *აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგი;*
***თამაზ ჭითანავა***, *ფოთის საპატიო მოქალაქე;*
***ვერიკო შელია***, *ფოთის საპატიო მოქალაქე;*
***ბორის გოგიჩაიშვილი***, *ფოთის საპატიო მოქალაქე;*
***სოსო გვაძაბია***, *ფოთის ურბანული ინსტიტუტის კოორდინატორი.*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვას დაიწყებს.

როგორც მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელმა, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის წევრმა მანანა ნაჭყებიამ განაცხადა, კომიტეტი კანონპროექტის მთავრობისთვის დაბრუნებას აპირებდა, თუმცა, მისთვის უცნობია, საბოლოოდ რა ბედი ეწია პროექტს.

"კომიტეტის ხელმძღვანელობას აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით უარყოფითი განწყობა ჰქონდა, რასაც პრესასთან არ ახმაურებდა," - განაცხადა ნაჭყებიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის აღდგენის მოთხოვნით, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან ვახტანგ კაპანაძესთან გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

გუშინდელ შეხვედრაში სასწავლებლის აღსაზრდელთა მშობლების ათკაციანი წარმომადგენლობითი დელეგაცია მონაწილეობდა. მათი თქმით, ვახტანგ კაპანაძისგან ვერანაირი კონკრეტული პასუხი ვერ მიიღეს. გენშტაბის უფროსმა მშობლებს დამატებითი კონსულტაციებისთვის საქართველოს უშიშროების საბჭოსთვის მიმართვა ურჩია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა მომზადების ოსიაურის ბაზაზე გუშინ მორიგი ბანაკი გაიხსნა საზეიმო ვითარებაში.

ბანაკის გახსნის საზეიმო ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, ასევე კახეთსა და შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები პეტრე ცისკარიშვილი და მიხეილ ქარელი დაესწრნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი გაიხსნა. მისი მისამართია www.prezident.gov.ge

ვებ-გვერდი ორენოვანია და მასზე განთავსებულია პრეზიდენტის შეხვედრებისა და ვიზიტების შესახებ ინფორმაციები, საქართველოს შესახებ უცხოური პრესაში გამოქვეყნებული მასალები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 25 იანვარს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს 77 წელი უსრულდება.

როგორც ყოფილი პრეზიდენტის პრესსამსახურში განაცხადეს, ედუარდ შევარდნაძე ამ დღეს კრწანისის რეზიდენციაში, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე შეხვდება.

ის თავის 77-ე წლისთავს ოჯახურ გარემოში, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გაატარებს. საქართველოში იმყოფება, აგრეთვე, მისი ვაჟიშვილი პაატა შევარდნაძეც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა დეპარტამენტმა რეგიონებში დიდი ოდენობით კონტრაბანდული ტვირთები დააკავა. ფინანსური პოლიციის ცნობით, კახეთის სამმართველომ კონტრაბანდული შავი ლითონის ჯართით და სპირტის ნედლეულით დატვირთული, "კამაზის" მარკის სამი ავტომანქანა დააკავა. ფინანსური პოლიციის სამეგრელო-გურიის სამმართველომ კი "დაფის" და "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანები დააკავა, რომლებიც აღურიცხავი ხის მასალით და ჯართით იყო დატვირთული. ხუთივე ავტომანქანა შესაბამისი რეგიონების ტერმინალებში გადაყვანილი და ტვირთის ექსპერტიზა ტარდება, რაც ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მიხეილ სააკაშვილი: "სანამ პირში სული მიდგას, საქართველოს ვერავინ დაშლის"

პირველი გვერდიდან

ასევე იმ გზაზე, რომელიც ზუგდიდში, ქუთაისში და ა.შ. უნდა დაიგოს...

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები პრეზიდენტს გაზვიადებული ეჩვენება, განსაკუთრებით კი აჭარასთან მიმართებაში: **"ჩვენ ყველანი დღეს რომ ავორთქლდეთ, ის, რასაც ვუტოვებთ ჩვენს შვილებს, აჭარის გადაწყვეტილი პრობლემაა და ნამდვილად არ არის არავის სარეკომენდაციო, როგორი უნდა იყოს აჭარის დამოკიდებულება დანარჩენ საქართველოსთან,"** - ასეთია პრეზიდენტის პოზიცია.

პრეზიდენტმა ხაზგასმით განაცხადა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან აუცილებლობაზე და დასძინა, რომ ოსებს მშვიდობის სანაცვლოდ, უნდა შევთავაზოთ პოლიტიკური სტატუსი. სამაგიეროდ, მათ უნდა აღიარონ საქართველოს კონსტიტუცია და ტერიტორიული მთლიანობა: **"ეთნიკურ ოსებს უნდა მივცეთ ყველა გარანტია იმისა, რომ მათ ექნებათ თვითმმართველობა და ენობრივი, კულტურული, საგანმანათლებლო უფლებები, ეკონომიკური კეთილდღეობა... ოღონდ, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოს ფარგლებში... მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული სტატუსი, იმისათვის, რომ ეს უფლებები იყოს დაცული. მაგრამ ეს ფასი იმაშია გადახდილი, რომ მათ აღიარონ: ისინი არიან საქართველოს ნაწილი."**

პრეზიდენტი წინასწარ მზად არის, რომ ოპონენტები გამოუჩნდება. შესაძლოა, საქართველოს დაშლის მცდელობაშიც კი დაადანაშაულონ, მაგრამ იგი დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში: **"ეს არის საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანების შემოთავაზება. ეს არის ყველაზე საუკეთესო, რაც შეიძლება გავუკეთო ჩვენს ხალხს. მე არა ვარ მომხრე საქართველოს ფედერალიზაციის ისეთი გეგმის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მხარეებად დაყოფას... მე მინდა საზოგადოების მხარდაჭერა. მე მინდა, რომ ყველას ესმოდეს: სანამ პირში სული მიდგას, საქართველოს ვერავინ დაშლის."**

სააკაშვილის განცხადებით, იგი ყველაფერს გააკეთებს როგორც ოსეთის, ასევე აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნებისთვის. თუმცა, იქვე დასძენს, რომ აფხაზ სეპარატისტებს არაფერს დაუთმობს: **"ამ ჯგუფმა (ხელისუფლებას ხალხი ირჩევს) უნდა აღიაროს, რომ ყველა ქართველს, ყველა ეროვნების ადამიანს აქვს უფლება აფხაზეთში დაბრუნებისა. ეს არის ჩემი მთავარი პირობა ყველანაირი კომპრომისისა. ისინი (სეპარატისტები) ნუ დაბრუნდებიან საქართველოში, ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში."**

იმ ოპონენტების გასაგონად, რომლებიც ქვეყანაში ოპოზიციის ნაკლებობას უკიჟინებენ, ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა: **"ნორმალურ ქვეყანაში მთავრობა ერთ ენაზე ლაპარაკობს"**. თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოში ერთ ენაზე, ანუ ტკბილმოუბრად საუბარი, ჯერჯერობით, მხოლოდ **"მაღალ სართულებზეა"** შესაძლებელი, **"დაბალ სართულებზე"** კი ხაჭაპურიძისნაირები ბოგინობენ.

# რუსეთის დანიშნული ტანდემის ვიზიტი მოსკოვში

ნინო გომართელი

რუსეთის ხელშეწყობით გაპრეზიდენტებული სერგეი ბაგაფში და რუსეთისვე ძალისხმევით ვიცე-პრეზიდენტად გამხდარი რაულ ხაჯიმბა, "ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით," მოსკოვს ესტუმრნენ.

**"მე მოსკოვში ვიცე-პრეზიდენტთან ერთად ჩამოვედი. ჩვენ რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხების განხილვას ვგეგმავთ,"** - აღნიშნა რუსულ მედიასთან საუბარში ბაგაფშმა.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პირველი პირები ვიზიტის ფარგლებში მოლაპარაკებებს გამართავენ როგორც ძალოვანი უწყებების, ასევე მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლებთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ვალერი ლოშჩინინთან.

ახლადარჩეულ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს დღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვი მიიღებს. აღნიშნული შეხვედრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერის სერგეი ბაბურინის ძალისხმევით გაიმართება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა სერგეი ბაბურინმა და რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის 6 დეკემბერს მიღწეული შეთანხმების ხელმოწერაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და აღნიშნულ შეთანხმებას მათი ხელმოწერაც ახლავს.

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ოფიციალურ მოსკოვს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას სთხოვს.

ბაგაფშის განცხადებით, აფხაზეთის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ასოცირებულ სუბიექტად გაწევრიანების საკითხი **"მარტივი არ არის"**, ამიტომ, აფხაზური მხარე მზადაა, მოსკოვის მიერ იმ პირობების შექმნას დაელოდოს, როდესაც რუსეთ-აფხაზეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების გაფორმება შესაძლებელი იქნება.

მისივე თქმით, აფხაზური მხარე რუსეთის ხელისუფლებას **"არ აჩქარებს და დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამს,"** ხოლო რაც შეეხება საქართველოს, **"სოხუმი მზადაა, ამ მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელობასთან აწარმოოს მოლაპარაკებები, როგორც თანასწორუფლებიანმა და სუვერენულმა პარტნიორმა."**

ბაგაფშის განმარტებით, რუსეთ-აფხაზეთის ეკონომიკური დაახლოების მიზნით, აფხაზური მხარე მზადაა, ზოგიერთი რუსული ეკონომიკური კანონი ცვლილებების გარეშე მიიღოს. მისივე თქმით, მოსკოვში ვიზიტისას იგი შეეცდება, რუსეთის ხელისუფლება დაარწმუნოს, რომ აფხაზეთში რუსულ კაპიტალსა და ინვესტიციებს საფრთხე არ ემუქრება და რუსი ინვესტორებისთვის აფხაზეთში კვლავ ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან დაპირისპირებას გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ ვიცე-პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გაზრდა მისი ინიციატივა იყო და იგი, როგორც პრეზიდენტი და მთავარსარდალი, განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკას და უხელმძღვანელებს ძალოვნებს, რაშიც მას ვიცე-პრეზიდენტი დაეხმარება.

# მკაცრი, მაგრამ ობიექტური ევროსაბჭო და უჩვეულო რუსეთი

პირველი გვერდიდან

გერმანიის, იტალიის და ბრიტანეთის წარმომადგენლები, აქტიურად საუბრობდნენ ქვეყანაში ოპოზიციის როლსა და მასმედიის თავისუფლებაზე.

საბოლოოდ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე 67 ხმით ორის წინააღმდეგ მიღებულ იქნა ასამბლეის საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ რეზოლუცია, სადაც დადებითად არის შეფასებული საქართველოს ხელისუფლების მცდელობები, განახორციელოს **"შორს მიმავალი პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური რეფორმები,"** თუმცა, ამავე დროს, არის უკმაყოფილებაც: **"პოსტრევოლუციური სიტუაცია არ უნდა გახდეს ალიბი** (ხელისუფლებისთვის), **რათა გადადგმულ იქნეს დაუფიქრებელი ნაბიჯები და უგულებელყოფილი იქნეს დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები,"** - ნათქვამია რეზოლუციაში და იქვე მკაცრად არის გაკრიტიკებული 2004 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, განსაკუთრებული აქცენტი კი გაკეთებულია **"პრეზიდენტის დიდ ძალაუფლებაზე."**

**"ამჟამად საქართველოში არის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა, პრეზიდენტის ხელში ძალიან დიდი ძალაუფლებაა, ფაქტობრივად, არ არსებობს საპარლამენტო ოპოზიცია, დასუსტებულია სამოქალაქო საზოგადოება, სასამართლო ხელისუფლება არ არის საკმარისად დამოუკიდებელი, მედიაში სუფევს თვითცენზურა და არის აჭარისათვის არაადეკვატური ავტონომიის მოდელი,"** - ხაზგასმულია რეზოლუციაში.




ვერიკო თევზაძის სვეტი

# ოთხი დარდი და ერთიც დავიწყებული

*ინაუგურაციის წლისთავზე უნებურად ბატონ მიხეილ სააკაშვილის რამდენიმე თვის წინანდელი ბრიფინგი მომაგონდა. ჩემი ქვეყნის პრეზიდენტმა მაშინ დავით აღმაშენებლის ეპოქა გაიხსენა და ნახევრად ხუმრობით თქვა, ჩვენ იმიტომაც განვსხვავდებით იმ პერიოდისაგან, რომ მაშინ არ არსებობდა ტელეკომპანია "რუსთავი 2", არც "იმედი" და არც ტელეკომპანია "კავკასიაო"...*
*"ტელევიზია" შორს ხედვასაც ნიშნავს და მეც უნებურად მიჩნდება კითხვა: რამდენად შორს იხედება ტელევიზიების გამორჩეულად მოყვარული პრეზიდენტი?*
*არადა, ხომ ფაქტია, რომ მის საპრეზიდენტო ქვეყანაში არსებობენ გაზეთები, მათ შორის, "24 საათიც". პრეზიდენტისაგან განსხვავებით, ჩვენ გვახსოვს იგი. გვახსოვს, როგორი იყო რევოლუციის წინა დღეებში და დღევანდელ პრეზიდენტს იმდროინდელ მიშა სააკაშვილს ვადარებთ. და თავისით ჩნდება დაკარგულზე დარდი...*

**დარდი №1**

გაბედულმა, თავისუფლებისმოყვარე, ცივილიზებული ღირებულებებისადმი ერთგულმა მიხეილ სააკაშვილმა, გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, თუ არ ვცდები, კახეთში ვიზიტისას ბრძანა: უკვე იმდენი პოზიტიური ძვრები მოხდა ქვეყანაში, დროა, ჩვენმა მასმედიამ კარგზე წეროსო...

**დარდი №2**

ამ ბოლო დროს პრეზიდენტმა თავის მოწონებები დაიწყო. უკვე მოვისმინეთ, რომ იგი ერთ დროს შესანიშნავი მესაზღვრე იყო. მისი თეატრით გატაცება საყოველთაოდ ცნობილია. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა მიხეილმა გვამცნო, რომ ყმაწვილკაცობაში საოჯახო კედლის გაზეთს გამოსცემდა (მკითხველიც თავად იყო და გამომცემელიც). სპორტსმენებთან შეხვედრისას პრეზიდენტი თავის სპორტულ ბავშვობაზე ალაპარაკდა. მერე სპორტი ხელის მოტეხვით დამთავრდა. ვიღაცებს ჩემი კისრის მოტეხვა უფრო გაუხარდებოდათ, მაგრამ ვერ მოესწრებიანო - ნეტავ რატომ ეჭვიანობს პრეზიდენტი? ნამდვილად არ ჰგავდა ეჭვიან ადამიანს, არც მისდამი ხალხის ნდობა იძლევა ეჭვიანობის საფუძველს. არადა, ქვეყნის პრეზიდენტმა, მით უფრო, თუ ეს ქვეყანა პრობლემებით სავსე საქართველოა, ეჭვიანობისთვის ვერც კი უნდა მოიცალოს....

**დარდი №3**

ცხინვალის რეგიონის სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლის მოადგილეს მიხეილ ქებაძეს სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. პრეზიდენტი ამ დროს ბალტიისპირეთში იმყოფება. ქებაძის მომხრეები მეტისმეტად აქტიურობენ, აეროპორტისკენ მიიწევენ, რათა თბილისში დაბრუნებულ პრეზიდენტს შეხვდნენ. ვითარება არასასიამოვნოდ იძაბება. პრეზიდენტის დაბრუნებიდან მეორე დღეს ქებაძეს ათავისუფლებენ. გამოძიება თავს ძალას ატანს და ცდილობს, საზოგადოებას აუხსნას, სამ დღეში რა მიზეზით გათავისუფლდა სასამართლოს მიერ სამი თვით დაპატიმრებული ქებაძე. მიუხედავად ამისა, საზოგადოების დიდ ნაწილში ჩნდება სერიოზული ეჭვი: ეს პრეზიდენტიც კანონზე მაღლა დგას?

**დარდი №4**

ერთი სიტყვით, ისეთ საინტერესო დროში ვცხოვრობთ, პრეზიდენტის ბრიფინგებს და დარდებს რა დაგვილევს. ერთ-ერთ ბრიფინგზე სააკაშვილმა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისკენ მოგვიწოდა. მაღალ იდეალებზე საუბარს მან ერთ-ერთი ახალგაზრდა დევნილის გასაგონად (ამ ახალგაზრდამ პრეზიდენტს ჰკითხა, რამდენ ხანში დაგვაბრუნებთო) ბრძანა: მე ტურისტული სააგენტო კი არა ვარო!

**ბოლოს წინა დარდის მაგიერ**

ერთ-ერთ ბრიფინგზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაცინვით ბრძანა: დღევანდელ გაზეთებს რომ ტირაჟები აქვს... მაგას სჯობს, ვინმეს ვთხოვო, რუსთაველზე დადგეს და ინფორმაცია გამივრცელოს. დარწმუნებული ვარ, ამ გზით უფრო მეტ ადამიანს გავაგებინებ სათქმელსო. როგორც ჩანს, შეცდა პრეზიდენტი. უნებლიეთ შეცდა. რუსთაველზე დგომის და მიტინგების დრო წავიდა, ახლა სწორედ რომ გაზეთების დროა. სხვათა შორის, ჩვენი ეპოქა იმიტომაც განსხვავდება დავით აღმაშენებლის ეპოქისგან, რომ მაშინ არ არსებობდა გაზეთი "24 საათი".

**ბოლო დარდის მაგიერ**

კიდევ ერთი რამ მადარდებდა, ვიხსენებ და ვერ გავიხსენე... იქნებ ასეც ჯობს, ბოლოს და ბოლოს, ინაუგურაციის წლისთავია. ვულოცავთ ბატონ პრეზიდენტს. მისთვის ხალხის თანადგომა ისევე საჭიროა, როგორც განსხვავებული აზრისადმი პატივისცემა.

**PS-დარდი**

წუხანდელ ბრიფინგზე ბატონმა პრეზიდენტმა ერთდროულად რამდენიმე დარდი გამიჩინა. მხოლოდ ერთ დარდზე მოგახსენებთ: ჭიათურელმა დავით კირკიტაძემ "სოფლიდან ჩამოსულ 18 წლის ბიჭს" (პრეზიდენტის სიტყვებია) რომ სცემა და შემდეგ მოუბოდიშა, პრეზიდენტმა "კულტურულ რევოლუციად" შეაფასა...

მოდი და ნუ იდარდებ!

# ვიზიტი სტრასბურგში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მეუღლესთან ერთად, ორდღიანი ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრება.

ვიზიტის პირველ დღეს, საქართველოს პრეზიდენტი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას. დღესვე, სტრასბურგში, საქართველოს ვარდების და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიმართება. მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევიდს შეხვდება.

ვიზიტის მეორე დღეს, საქართველოს პრეზიდენტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან პიტერ შიდერთან გამართავს შეხვედრას, მოგვიანებით კი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე ერთსაათიანი მოხსენებით წარდგება.

საქართველოს პრეზიდენტი 26 იანვარს სტრასბურგიდან არაოფიციალური ვიზიტით ციურიხში გაემგზავრება, სადაც რამდენიმე დღით დარჩენას გეგმავს.

**ინტერ-პრესი**

# მიმართვა

ქართულ-ოსური კავშირი "იბერ-ირონი", კონფლიქტის რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიმართავს ქართულ და ოსურ საზოგადოებას, პასუხისმგებელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და საერთაშორისო თანამეგობრობას:

მიუხედავად გასული წლის ზაფხულის მწარე გამოცდილებისა, როდესაც დაპირისპირებამ კონფლიქტის რეგიონში უკიდურესი ფორმა მიიღო, რასაც ქართული და ოსური მხრიდან ათეულობით ადამიანის მსხვერპლი და საზოგადოებებს შორის ურთიერთნდობის ხარისხის მკვეთრი დაცემა მოჰყვა, კვლავ შეინიშნება იმ ძალების აქტიურობა, რომელთა ქმედებებიც ხელს უწყობენ შეიარაღებული დაპირისპირების განახლებას.

მძევლებად აყვანის ფაქტები აუცილებლად გამოიწვევს რეგიონში მცხოვრები როგორც ქართული, ისე ოსური მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებას, რასაც აუცილებლად სავალალო შედეგები მოჰყვება.

მოვუწოდებთ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ამ ნეგატიური ტენდენციის, ასევე ხელისუფლებების წარმომადგენელთა მოუქნელი, ხისტი მეთოდების დროულად აღსაკვეთად და ძირითადი აქცენტი გადაიტანონ მშვიდობიან პოლიტიკურ დიალოგზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაპირისპირების ესკალაცია უკუქცევადი გახდება, რაც გამოიწვევს დესტაბილიზაციას რეგიონული მასშტაბით და სავალალო შედეგები მოჰყვება როგორც ოსური მოსახლეობისათვის, ასევე, ზოგადად, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, მათ შორის - საერთაშორისო არენაზე.

*ქართულ-ოსური კავშირი "იბერ-ირონი"-ს თავმჯდომარე მაია ცაბოშვილი*

# "ევრაზჰოლდინგს" მადა გაეხსნა

## სოფელ ბაშის მოსახლეობა კი "ვარციხეჰესის" ბლოკირებით იმუქრება

*საქართველოს მთავრობამ გუშინ რუსულ კომპანია "ევრაზჰოლდინგთან" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ქართველ აქციონერებთან ს/ს "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვასთან დაკავშირებით მემორანდუმი გააფორმა. თუმცა, "ევრაზჰოლდინგი", როგორც ჩანს, მხოლოდ ამ სერიოზული პაკეტის ყიდვით შემოფარგვლას არ აპირებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "ევრაზჰოლდინგის" ხელმძღვანელობა აწარმოებს მოლაპარაკებებს "ტყიბულნახშირთან" და "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან" დაკავშირებით.*

თამარ ივანიძე

მემორანდუმის მიხედვით, "ევრაზჰოლდინგი" და ზესტაფონის "ფეროს" აქციონერები ერთობლივ კომპანია "ნიუ კო"-ს დააფუძნებენ. ამ კომპანიაში ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 70,8 პროცენტი და "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები ჩაიდება.

მემორანდუმის მიხედვით, "ევრაზჰოლდინგი" და "ფეროს" აქციონერი - "დეკომეტალი" მთლიან პაკეტში 132 მილიონ დოლარს გადაიხდიან. აქედან, 125 მილიონი დოლარი მიმდინარე წლის ივლისამდე დაიფარება, ხოლო დანარჩენი 7 მილიონი დოლარი - 2006 წლის 1 მარტამდე.

გარდა ამისა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, "ევრაზჰოლდინგი" მზადაა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორ თვეში შეატყობინოს საკუთარი გადაწყვეტილება ს/ს "ტყიბულნახშირის" აქციების, ან აქტივების პრივატიზებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით (!). თუმცა, ეს კიდევ ყველაფერი არ არის:

გუშინვე ხმამაღლა გაცხადდა, რომ რუსული კომპანია "ევრაზჰოლდინგი" რუსთავის მეტალურგიული კომბინატით დაინტერესდა. **"ჩვენ დაინტერესებული ვართ მეტალურგიული კომბინატის შესყიდვით. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, თუმცა, ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება,"** - განაცხადა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან ერთად გამართულ ბრიფინგზე "ევრაზჰოლდინგის" პრეზიდენტმა ალექსანდრე აბრამოვმა. ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით კი: **"რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გაყიდვასთან დაკავშირებით კონსულტაციები რამდენიმე დაინტერესებულ კომპანიასთან, მათ შორის, "ევრაზჰოლდინგთანაც" მიმდინარეობს. რუსული კომპანია ქარხანაში შექმნილ ვითარებას სწავლობს. გამორიცხული არ არის, "ევრაზჰოლდინგმა" იტალიელი ინვესტორებისგან კომბინატის წილი გამოისყიდოს, ან მათთან ერთობლივი საწარმო შექმნას,"** - განაცხადა ბენდუქიძემ. ეს განცხადება კი, მარტივად, იმას ნიშნავს, რომ "ევრაზჰოლდინგის" შანსები რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან დაკავშირებით საკმაოდ სერიოზულია.

რაც შეეხება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გუშინ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" გაყიდვით კმაყოფილებას არ მალავდა: **"ერთობლივი კომპანიის დაფუძნება თავიდანვე გამორიცხავს კონფლიქტს "ფეროსთან," რაც ამ საწარმოების კოორდინირებული მუშაობის გარანტი იქნება,"** - აცხადებდა იგი.

მემორანდუმის თანახმად, კომპანიის დამფუძნებლები რეგიონის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასაც გაითვალისწინებენ და საწარმოებში ადგილობრივ მუშახელს დაასაქმებენ. აქციონერები უახლოეს მომავალში "ჭიათურმანგანუმსა" და "ფეროში" 80 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ.

სახელმწიფო კანცელარიაში მემორანდუმის გაფორმების ცერემონიალი "გაციებული" არ იყო, რომ "ვარციხეჰესის" კაშხალზე საპროტესტო აქცია გამართა სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშის მოსახლეობამ. ისინი ახალ ინვესტორთან დაუყოვნებლივ შეხვედრას და 0,5 მეგავატი ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდებას ითხოვენ.

მათი თქმით, ცხრა წლის მანძილზე სოფლის 1200 მოსახლეს "ვარციხეჰესის" კაშხალი სახნავ-სათესებს და კარმიდამოებს უტბორავს. სახელმწიფო კომისიის მიერ შეფასებული ზარალი 1996-2001 წლამდე 311 ათას ლარს შეადგენს. 2001 წლის შემდგომ პერიოდში მიყენებული ზარალი კი აღწერილი არ არის.

აქციის მონაწილეები აღნიშნული თანხის დაუყოვნებლივ გაცემას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი "ვარციხეჰესის" ბლოკირებით იმუქრებიან. "ვარციხეჰესის" ძირითადი კაშხალი სამტრედიის სოფელ ბაშთან მდებარეობს.

# მთავრობა გაზსადენის გასხვისების განზრახვას უარყოფს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას აპარატში არ ადასტურებენ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენისა და "თბილგაზის" გასხვისებასთან დაკავშირებით რუსული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას. რუსული ახალი ამბების სააგენტო RBK-ს ცნობით, საქართველოს მთავრობა რუსული "გაზპრომის" წარმომადგენლებს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებას 300 მილიონ აშშ დოლარად, ხოლო თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" აქციების მიყიდვას 100 მილიონ დოლარად სთავაზობს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას აპარატში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე მაგისტრალური გაზსადენის და "თბილგაზის" გასხვისება არ იგეგმება.

*ინტერ-პრესი*

# ვინ იყიდის დევნილებით დასახლებულ ობიექტებს?

დიანა ჩაჩუა

*დიდი პრივატიზაციის დაწყების შემდეგ, გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში დევნილებით ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების მოხვედრამ, იძულებით გადაადგილებულ პირებში მღელვარება და გაურკვევლობა გამოიწვია. ისინი შიშობენ, რომ მთავრობა მათ საცხოვრებლებს კომპენსაციების დარიგების გარეშე გაყიდის. თუმცა, როგორც ლტოლვილთა და განსახლების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში ირწმუნებიან, დევნილებს მღელვარების არანაირი საბაბი არ უნდა ჰქონდეთ.*



ბოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დევნილები სასტუმროების გაყიდვას შიშით ელოდებიან.*

"დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დევნილებით კომპაქტურად დასახლებული ობიექტებიდან მათი გამოსახლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში პოსტკონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგების შემდეგ, ან მათთვის ისეთი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შემთხვევაშია შესაძლებელი, რომლითაც მათი საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუარესდება. ამასთან, დევნილებით კომპაქტურად დასახლებული პუნქტებიდან მათი გამოსახლება შეუძლებელია მაშინაც, თუ სტიქიური ან სხვა მოვლენები ხდება, რაც განსაზღვრულ კომპენსაციებს ითვალისწინებს და საერთო წესით რეგულირდება, აგრეთვე, თუ დევნილს უკანონოდ და თვითნებურად აქვს დაკავებული ფართი.

შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ინვესტორის მიერ ამა თუ იმ ობიექტის შესყიდვის შემთხვევაში, მას დევნილების გამოსახლების უფლება არ აქვს, სანამ პოსტკონფლიქტური სიტუაცია არ დარეგულირდება, ან დევნილებს გარკვეულ საკომპენსაციო თანხას არ შესთავაზებს.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დევნილებით დასახლებული შემდეგი ობიექტებია შესული: შპს-ები "ხარისხი", "მშენაღდგენა", "ხარისხი მშენებლობაში", "მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის სამმართველო", "სასწავლო ცენტრი", "ლილო-2002", "ანალიზხელსაწყო", "აკადემიური", "საქავიამშენი", "ბეტონკონსტრუქცია", ბათუმის სს "მესხეთი" და სასტუმრო "მედეა", ქობულეთის სანატორიუმი "ქობულეთი" და ჩაქვის "ტურბაზა". ამასთან, ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით, უკვე გაყიდულია სს "ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი", რომელიც ერთ-ერთმა იურიდიულმა პირმა, აუქციონის წესით, 94 ათას დოლარად შეისყიდა და "საქმძიმემრეწველპროექტის" შენობა, რომელიც იქ მცხოვრებმა დევნილებმა 79 ათას დოლარად იყიდეს.

თუმცა, ამ ეტაპზე, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა ილია გოცირიძემ განაცხადა, გასაყიდად გამოცხადებულ ობიექტებში დევნილებით დასახლებული არც ერთი ობიექტი არ არის.

ამასთან, როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განაცხადეს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დაადასტურეს, დევნილებით დასახლებული ობიექტებიდან ბევრი განცხადებაა შემოსული თავად დევნილების მიერ ობიექტების პრივატიზაციასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი განცხადება, წყნეთში მდებარე ობიექტების მაცხოვრებლებისგან შემოვიდა. როგორც გოცირიძემ განაცხადა, ამ ეტაპზე სახელმწიფო ამ ობიექტების გასხვისებისაგან თავს იკავებს. თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ ეტაპობრივად საპრივატიზაციო ნუსხაში ასეთი ობიექტებიც იქნება შეტანილი.

არის კიდევ ერთი პირობა, რომელიც დევნილებით დასახლებული ობიექტების თვით დევნილებისთვის მიყიდვის საკითხს ართულებს. როგორც ილია გოცირიძემ აღნიშნა, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი, მაგალითად, ნუცუბიძეზე მდებარე "აკადემიურის" მცხოვრებლები, ობიექტზე ნულოვანი აუქციონის ჩატარებას მოითხოვენ. სამინისტრო კი ამ პროცესის წინააღმდეგია.

ზოგადად, შეკითხვაზე პასუხის გაცემა, თუ დევნილებით დასახლებული რამდენი ობიექტია საქართველოში, რთულია, რადგან ზუსტი მონაცემი, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც ადასტურებენ. როგორც აღნიშნული უწყების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, საქართველოში კომპაქტურად დასახლებული ობიექტების რიცხვში დიდი ცდომილებაა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ციფრი 1500-ს შეადგენს, სხვა ინფორმაციით კი, საქართველოს მასშტაბით 800-მდე მსხვილ ობიექტში ორგანიზებულად 100 000-მდე დევნილია განსახლებული. **"არის სპეციალური წიგნი, სადაც დევნილებით ჩასახლებული 1500 ობიექტია აღნიშნული. სინამდვილეში, ეს სია რომ ნახოთ, აღმოაჩენთ, რომ ერთი და იგივე ობიექტი რამდენიმეჯერაა ნახსენები,"** - განაცხადა ასტემიროვამ. როგორც ცნობილია, საქართველოში დევნილთა საყოველთაო აღრიცხვაა დაწყებული. ამჟამად ეს პროცესი თბილისში მიმდინარეობს, რის შემდეგაც მთელს საქართველოში გაგრძელდება. ეთერ ასტემიროვა იმედოვნებს, რომ ამის საშუალებით დევნილებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი, მათ შორის - დევნილებით დასახლებული ობიექტების ზუსტ რაოდენობაზეც.

# პრეზიდენტმა "ფინანსურ ამნისტიას" ხელი მოაწერა

## კონსერვატიული პარტია საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივილს აპირებს

თამარ ივანიძე

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა კანონს "ფინანსური ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზების შესახებ"

საპარლამენტო მდივნის კახა ბარათაშვილის განცხადებით, კანონი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება.

**"ფინანსური ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზების შესახებ კანონი"** პარლამენტმა გასული წლის 24 დეკემბერს მიიღო, ხოლო პრეზიდენტს ხელმოსაწერად 6 იანვარს, სახელმწიფო კანცელარიაში გადაეგზავნა.

ამნისტიის შესახებ კანონით, 2004 წლის 1 იანვრამდე დამალული გადასახადების დეკლარირების საშუალება ეძლევა ყველა გადასახადის გადამხდელს, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტებსა და ეკონომიკური დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირებსაც. მათ დამალული გადასახადების საგადასახადო ორგანოებში დეკლარირება ან ბანკში განთავსება შეუძლიათ და ვალდებულნი არიან, აღიარებული თანხის მხოლოდ 1 პროცენტი გადაიხადონ.

კანონი დამალული ქონებისა და გადასახადების ლეგალიზების საშუალებას არ აძლევს იმ პოლიტიკური თანამდებობის პირებს და საჯარო მოხელეებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს, რომლებსაც 1997 წლიდან ქონებრივი დეკლარაციის შევსება ევალებათ (დეტალურ, საკმაოდ დაწვრილებით განმარტებას აღნიშნულთან დაკავშირებით "24 საათი" უახლოეს პერიოდში "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან" ერთად განხორციელებულ ახალ პროექტში შემოგთავაზებთ).

გუშინვე გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს კონსერვატიული პარტია ე.წ. "ფინანსური ამნისტიის შესახებ" პრეზიდენტის მიერ გუშინ ხელმოწერილ კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს. როგორც "ინტერ-პრესს" კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა, ოპოზიციონერმა პარლამენტარმა კახა კუკავამ განუცხადა, საპარლამენტო უმრავლესობის ძალისხმევით მიღებული კანონი "ფინანსური ამნისტიის შესახებ" არანაირად არ არის რეალური ამნისტია. **"ეს უსამართლო კანონია და დისკრიმინირებულ, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს იმ პირებს, ვისაც კანონი ეხება,"** - აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, **"კანონი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს 2004 წელს და 2004 წლის შემდეგ გადასახადების დამალვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც ციხეში იყო, ისევ ციხეში დარჩება, რადგან თითქმის ყველა არგადამხდელი 2004 წელს არის დაპატიმრებული."**

მისივე განცხადებით, "ფინანსური ამნისტიის შესახებ" კანონის თანახმად, დარიცხულ თანხებს რესტრუქტურიზაცია არ შეეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადების გადამხდელები, რომლებიც გადასახადებს ვერ იხდიდნენ და პატიოსნად ახდენდნენ დეკლარირებას, ისინი დისკრიმინირებულნი აღმოჩნდნენ. ხოლო მათ, ვინც არ იხდიდა და გადასახადებს სხვადასხვა კორუფციული გარიგებებით მალავდა, ყველაფერი ეპატიებათ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება პრივატიზაციიდან შემოსული თანხების ნაწილს სიღარიბის დაძლევის პროგრამისთვის მიმართავს, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომიდან განხორციელდება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორშაბათს, თბილისში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე საფოსტო ბანკის ერთ-ერთი ფილიალის მონახულებისას განაცხადა, სადაც პენსიონერებისთვის გაორმაგებული პენსიების დარიგების პროცესი დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის მერიის შენობასთან შეკრებილი ორასამდე ადამიანი საპროტესტო მიტინგს მართავს. ისინი შპს "ოქროს საწმისის" კრედიტორები არიან და ადგილობრივ ხელისუფლებას კუთვნილი თანხების დასაბრუნებლად დახმარებას სთხოვენ. "ქუთაისის მთავრობას არ სურს ჩვენი პრობლემების მოგვარება. ეჭვი გვაქვს, რომ ისინი "ოქროს საწმისის" ხელმძღვანელებთან არიან გარიგებულები," - განაცხადა მიტინგზე კრედიტორთა საბჭოს თავმჯდომარემ გელა ხუნდაძემ. მისი თქმით, 12 000 მეანაბრის 22 000 000 ლარი ამერიკაში, ნიუ-იორკში ერთ-ერთ ბანკშია მობილიზებული, სადაც მათ ხელი არ მიუწვდებათ. კრედიტორები მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ საგამოძიებო ჯგუფის აშშ-ში გაგზავნა და აღნიშნულ საქმეზე მოკვლევა უზრუნველყოს. შპს "ოქროს საწმისი" 1992 წელს დაარსდა და 1998 წელს გაკოტრებულად გამოცხადდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბორჯომის საკრებულომ რიგგარეშე სხდომა მოიწვია, რომლის ძირითადი მიზანი მინერალური და მტკნარი წყლების მართვის და მისი გაუმჯობესების ღონისძიება იყო. 2003 წლიდან დღემდე ბორჯომის მინერალური წყლების ათვისებისა და გამოყენების თვალსაზრისით ვითარება მკვეთრად გაუარესდა. ბორჯომელი მეწარმეები 27 იანვრიდან შიმშილობის აქციას იწყებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური 24 იანვარს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრა. ვიზიტისას იგი შეხვედრებს გამართავს რუსულ კომპანია "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემების" (რაოეეს) ხელმძღვანელობასთან. საქმე შეეხება ენგურჰესის გამორთვის შემდეგ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს. ენგურჰესი, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების გამო, მარტის შუა რიცხვებიდან სამი თვის განმავლობაში გაითიშება. ნიკა გილაური თბილისში 25 იანვარს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**



# სწრაფი და გულწრფელი საუბარი კრემლში

ნიკა თარაშვილი

*უკრაინის ახალი პრეზიდენტი ინაუგურაციის მეორე დღესვე მოსკოვში ჩავიდა ვლადიმირ პუტინთან "სწრაფი და გულწრფელი" საუბრისთვის. ცხადია, არავინ მოელოდა, რომ ამ ვიზიტს რაიმე სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა, თუნდაც იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ვიქტორ იუშენკომ სულ რამდენიმე საათი დაჰყო მოსკოვში. გუშინ რუსული გაზეთი "კომერსანტი" წერდა: "ნარინჯისფერი რევოლუციის ლიდერს პუტინთან გულახდილი დიალოგის იმედი არ უნდა ჰქონდეს და მისგან მხოლოდ პრეზიდენტის პოსტზე არჩევასთან დაკავშირებით "მშრალ პროტოკოლურ მილოცვას მოისმენს". ასე რომ, მოსკოვში იუშენკოს ჩასვლა ჯერ კიდევ უაღრესად საშიში მეზობლის შემორიგების მცდელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა.*



*რუსეთის პრეზიდენტმა იუშენკოს აუხსნა, რომ კუჩმას თხოვნით მოქმედებდა.*

ვიქტორ იუშენკო მოსკოვში რუსებისთვის არცთუ სასიამოვნო ახალი ამბით ჩავიდა. კიევიდან გაფრენამდე ახალმა პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება თავის ერთგულ თანამებრძოლს, კრემლთან საკმაოდ რთული დამოკიდებულებით ცნობილ იულია ტიმოშენკოს დაავალა (შეგახსენებთ, კორუფციაში მონაწილეობის საბაბით უკვე რამდენიმე თვეა, ტიმოშენკოზე ძებნაა რუსეთში გამოცხადებული). რასაკვირველია, ამ ფაქტს მოსკოვში კომპრომისულად ვერ აღიქვამდნენ, მით უმეტეს მაშინ, როცა ვიქტორ იუშენკო მანამდე აცხადებდა, რომ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის დასახელებას მოსკოვური ვიზიტის შემდეგ აპირებდა. მოსკოვში ჩასვლამდე იუშენკომ თავის სხვა თანამებრძოლებსაც უბოძა პოსტები - ალექსანდრ ზინჩენკო სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შესრულებას შეუდგება (ეს თანამდებობა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურის პოსტს ჩაენაცვლა), ხოლო პეტრო პოროშენკო ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უხელმძღვანელებს.

ცხადია, ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის და თეორიულად, უახლოეს მომავალში იგივე პირები, შესაძლოა, სხვა თანამდებობზეც ვიხილოთ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ორი დღით" პრემიერ-მინისტრობას ტიმოშენკო არანარიად შეურიგდება, მით უმეტეს, რომ იგი სრულიად დარწმუნებულია, უმაღლესი რადა მის კანდიდატურას მოიწონებს. სხვათა შორის, ამის შესახებ რადას სპიკერმა ვლადიმირ ლიტვინმაც განაცხადა.

ორი პრეზიდენტის შეხვედრა საკმაოდ ხანგრძლივი (და ალბათ დაძაბულიც) გამოდგა. ბუნებრივია, საუბარი ჩავლილ საარჩევნო მარათონსაც შეეხო. რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოდ ჟღერდა ვლადიმირ პუტინის ახსნა, თუ რატომ ერეოდა იგი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში. **"თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში კულისებს მიღმა არასოდეს მუშაობდა, მათ შორის ოპოზიციასთანაც. ჩვენ არ ვმუშაობთ მოქმედი ხელისუფლების ზურგსუკან. ეს უკრაინის შემთხვევაშიც ასე იყო"**. აი, ასე დახვეწილად მოიხადა პუტინმა ბოდიში იმის გამო, რასაც რუსეთი თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში სჩადიოდა მეზობელ ქვეყანაში - რუსი პოლიტტექნოლოგების დესანტი, რუსული ფულის ნაკადები იანუკოვიჩის კამპანიის დასაფინანსებლად, თავად მისი წინასაარჩევნო ვოიაჟები უკრაინაში, რბილად რომ ვთქვათ, არადიპლომატიური მილოცვები იანუკოვიჩისადმი და ბოლოს, ბორის გრიზლოვის რეგულარული მონაწილეობა "მრგვალ მაგიდებში".

**"ჩვენ ბოლო დროს მხოლოდ იმას ვაკეთებდით, რასაც უკრაინის მოქმედი ხელისუფლება გვთხოვდა. თქვენთვის ცნობილია ამის შესახებ (ეს არც ყოფილა საიდუმლო). იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენთანაც ასეთივე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები გვექნება,"** - ამბობს პუტინი.

ვიქტორ იუშენკოსაც რაღა დარჩენოდა - **"ჩვენ ყოველთვის ამ აზრზე ვიდექით და დღესაც ვიმეორებთ, რომ რუსეთი ჩვენი სამუდამო პარტნიორია."**

მაინც რას ნიშნავდა გუშინდელი ვიზიტი მოსკოვში? გამგზავრების წინ იუშენკო ამბობდა, რომ მისი მიზანია, ერთი წლის შემდეგ უკეთესი ურთიერთობები იყოს ორ ქვეყანას შორის. **"ეს ამოცანა ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც. მარტივია - ურთიერთობების გაუმჯობესება, რთულია - იმ პრობლემებში გარკვევა, რომელთა აღმოფხვრაც თავისუფლად შეიძლება. მთავარია, ჩამოყალიბდეს რაციონალური ურთიერთობები, რომ ორი ქვეყნის ხელისუფლებამ, ორმა პრეზიდენტმა ერთი წლის შემდეგ შეამჩნიონ - ასეთი რამ ადრე არ ყოფილა,"** - განაცხადა "ნარინჯისფერთა" ლიდერმა კიევის აეროპორტში.

პრეზიდენტების შეხვედრა ორსაათნახევარს გაგრძელდა. რასაკვირველია, მათი საუბარი ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებს, კერძოდ, დსთ-ს სივრცეში ერთიანი ეკონომიკურ სივრცის ფორმირების პროცესსაც შეეხებოდა. საუბარი აუცილებლად იქნებოდა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებზე უკრაინაში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანზე, მაგისტრალური გაზსადენების კონტროლზე - ტყუილად ხომ არ ესწრებოდა პრეზიდენტების შეხვედრას "გაზპრომის" ხელმძღვანელიც. თუმცა, რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება არ გახმოვანებულა.

მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთისა და უკრიანის პრეზიდენტების პირველი შეხვედრა "პროტოკოლის" ფარგლებს არ გასცდენია. რა იქნება მომავალში, ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული - მეტისმეტად ბევრი პრობლემა დაგროვდა ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

სიმბოლურია, ალბათ, - მოსკოვში ვიზიტის დასრულებისთანავე იუშენკომ ევროპული ტურნე დაიწყო: ჯერ სტრასბურგში ჩავა (სადაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამოვა); 26-27 იანვარს კი ოსვენციმის (პოლონეთი) ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. 27 იანვარს უკრაინის პრეზიდენტი ხანმოკლე ვიზიტით ეწვევა ბელგიას, სადაც ევროპარლამენტში გამოვა, 28 იანვარს კი შვეიცარიაში, დავოსის ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, უკრაინას აღმოსავლელი "მუდმივი სტრატეგიული პარტნიორის" ალტერნატივის მოძებნა, თუ რუსეთი ამის საშუალებას მისცემს, ალბათ, არ უნდა გაუჭირდეს.

# კოსოვოს პრემიერ-მინისტრი მასობრივ მკვლელობებშია გარეული

კოტე ელიზბარაშვილი

სერბეთის ყოფილი პროვინცია კოსოვოს ახლად გამომცხვარმა პრემიერ-მინისტრმა რამუშ ჰარადინაიმ კარიერაში დიდი ნახტომი გააკეთა: ალბანელ ბოევიკთა საველე მეთაურობიდან, სამოქალაქო ადმინისტრაციის ჩინოვნიკობამდე. კოსოვოსა და მეტოხიის პარლამენტის 2004 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ჰარადინაი მთავრობის ხელმძღვანელი გახდა. მის კანდიდატურას 120 დეპუტატიდან 72-მა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი მხოლოდ სამი დეპუტატი იყო. კოსოვოს პარლამენტარებმა უარყვეს იმის საშიშროება, რომ ხარადინაის სამხედრო დანაშაულებში წაუყენებენ ბრალდებას, თუმცა მისი არჩევიდან მალევე კოსოვოს საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ხელმძღვანელმა ალექს ანდერსონმა განაცხადა: "თუ ჰარადინაის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ძალაში დარჩება, ეს კოსოვოს ახალ მთავრობას მუშაობის დაწყებისთანავე პრობლემებს შეუქმნის".

ხელისუფლებაში მოსვლამდე ხარადინაიმ 2000 წელს პარტია "ალიანსი კოსოვოს მომავლისათვის" შექმნა. აღსანიშნავია, რომ რუსი და სერბი ექსპერტების მონაცემებით, ახალი პრემიერის კანდიდატურას ვაშინგტონი ლობირებდა. ოფიციალური ბელგრადი მას სამხედრო დამნაშავედ თვლის.

1990-იან წლებში ჰარადინაი ეგრეთ წოდებული "კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" ერთ-ერთი საველე მეთაური იყო და ამჟამად იმყოფება სიაში, სადაც ის პირები არიან შესული, რომლებსაც ჰააგის ტრიბუნალი სამხედრო დანაშაულში ეჭვმიტანილად მიიჩნევს. რამუშ ჰარადინაი ჰააგაში საერთაშორისო ტრიბუნალის გამომძიებლებმა დაკითხვებზე ორჯერ გამოიძახეს, 1998-1999 წლებში კოსოვოში მომხდარ ეთნიკურ შეტაკებებში მის როლთან დაკავშირებით (კოსოვოს არაალბანელ მოსახლეობაზე განხორციელებულ ძალადობრივ აქტებში მისი პირადი მონაწილეობა და ძალადობის ორგანიზება, მშვიდობიანი მოქალაქეთა მკვლელობის ჩათვლით). როგორც ჩანს, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ კოსოვოს მხარეში პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო.



*სერბი ძალოვნების განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ჰარადინაი ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ფიგურაა კოსოვოში.*

36 წლის რამუშ ჰარადინაი კოსოვოს სოფელ გლოჯანში დაიბადა. 1989 წელს შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად, შემდეგ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში შევიდა. მისი ცხოვრების შემდგომი შვიდი წლის შესახებ დეტალები უცნობია. 1996 წელს ის ალბანეთში ბოევიკთა ერთ-ერთ ბანაკში გამოჩნდა, სადაც სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით დივერსიულ-ტერორისტული მომზადება გაიარა. ამის შემდეგ ჰარადინაი მონაწილეობას იღებდა ალბანეთის ქალაქ ტროპოისა და კუკესის რაიონებში ბოევიკების საწვრთნელი ბანაკების შექმნაში, საიდანაც მომზადებული რაზმები მეზობელ კოსოვოში "გასვლით რეიდებს" ახორციელებდნენ. 1998 წლიდან ჰარადინაი კოსოვოს ქალაქებში - ჯაკოვიცა და დეჩანე - ბოევიკებს მეთაურობს, სადაც "კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" რამდენიმე ქვედანაყოფს, აგრეთვე სპეციალურ დივერსიულ ჯგუფს "შავი არწივები" აყალიბებს. სერბეთის სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, კოსოვოში შეტაკებების დროს, ჰარადინაის მებრძოლები პოლიციელებისა და სამოქალაქო პირებს (არა მარტო სერბების, აგრეთვე ალბანელების) სიკვდილით სჯიდნენ და აწამებდნენ. ბელგრადში იმ ინფორმაციასაც ფლობენ, რომ კოსოვოს დღევანდელი პრემიერი პირადად იღებდა მონაწილეობას 67 ადამიანის მკვლელობაში და 250-ზე მეტი ადამიანის სიკვდილით დასჯის ბრძანება აქვს გაცემული. ამჟამად, სერბეთის სამართალდამცავი ორგანოები აწარმოებენ გამოძიებას 108 დანაშაულში ჰარადინაის მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომლებიც "სამხედრო დანაშაულით" კვალიფიცირდება. სერბი ძალოვნების განცხადებით, დღესდღეობით, ჰარადინაი ყველაზე გავლენიანი კრიმინალური ფიგურაა კოსოვოში, რომელიც აკონტროლებს იარაღის, ნარკოტიკების, საწვავ-საპოხი მასალებისა და ავტომობილების კონტრაბანდას ქალაქების - პეჩი, დეჩანე, ჯაკოვიცა - რაიონებში. არსებობს ინფორმაცია "ალბანეთის განმათავისუფლებელი არმიის" საქმიანობაში ჰარადინაის მონაწილეობისა და მაკედონიაში ბოევიკებისთვის იარაღის არალეგალური მიწოდების შესახებ, აგრეთვე ჩერნოგორიაში ალბანური უმცირესობის სეპარატისტული მისწრაფებების მხარდაჭერის შესახებ. გარდა ამისა, კოსოვოს მთავრობის ახალი ხელმძღვანელის ახლო გარემოცვა მხილებულია 2004 წლის 17-18 მარტში კოსოვოში ეთნიკურ წმენდაში, სადაც ალბანელმა ექსტრემისტებმა 22 ადამიანი მოკლეს და ხუთასზე მეტი დაჭრეს. იმავდროულად დაზარალდა გაეროსა და ნატო-ს სამშვიდობო ძალების 60-ზე მეტი ჯარისკაცი.

## გერმანია ემიგრანტების "შავ სიებს" ამზადებს

გერმანიის მთავრობა იმ ემიგრანტთა სიებს ადგენს, რომლებიც გერმანიიდან დეპორტაციას ექვემდებარებიან. ასეთ ემიგრანტებს ქვეყნიდან გაუშვებენ იმ ახალი კანონის შესაბამისად, რომელიც დეპორტაციის პროცედურას ამსუბუქებს. ჟურნალი "შპიგელის" ინფორმაციით, ახალ კანონს, პირველ რიგში, ასობით რადიკალ-ისლამისტებზე გამოიყენებენ. ახალი კანონის მიხედვით, დეპორტაციის საფუძველი შეიძლება გახდეს "ფაქტებით დადასტურებული ეჭვი უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული საფრთხის არსებობის შესახებ". გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ოტო შილის განცხადებით, ემიგრანტს გაასახლებენ, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ ის მომზადებას გადიოდა ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-კაიდას" საწვრთნელ ბანაკებში. კიდევ ერთი საფუძველი დეპორტაციისთვის იმ მასალების გავრცელებაა, რომელიც ჯიჰადისკენ მოუწოდებს. გასასახლებელი ემიგრანტები ჩვეულებრივი იურიდიული წესით ამ გადაწყვეტილებას ვერ გაასაჩივრებენ. მათ საქმეს ფედერალური სასამართლოს სპეციალური კომისია (ადმინისტრაციულ საკითხებში) განიხილავს. კომისიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

გერმანიის საემიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრების საკითხის ფართოდ განხილვა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაიწყეს, როდესაც გაირკვა, რომ გერმანიაში ტერორისტების ბაზა იყო. 2003 წელს სასამართლომ აშშ-ს ტერაქტებში დამნაშავედ ცნო ჰამბურგის მცხოვრები, წარმოშობით მაროკოელი, მუნირ ალ-მოტასადეკი. 2004 წლის აპრილში ალ-მოტასადეკი თავდებით გამოუშვეს, ხოლო აგვისტოში საქმის განმეორებითი განხილვა დაიწყო. სასამართლო პროცესი დღემდე გრძელდება.

*24 საათი*

## ტაივანის ხელისუფლება გადადგა

ტაივანში სამთავრობო კრიზისია. დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი დემოკრატიული პროგრესული პარტიის დამარცხებამ მინისტრთა კაბინეტის გადადგომა გამოიწვია. ექსპერტთა აზრით, ეს მოვლენა ტაივანის პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ გამოიწვევს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი და მატერიკის (ჩინეთის) საქმეების საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობებს ახალ მთავრობაშიც შეინარჩუნებენ. პრემიერ-მინისტრის თანამდებობას კი ახალი პოლიტიკოსი დაიკავებს. ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი, გადამდგარი იუ შუიგუნის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე საპორტო ქალაქ გაოსიუნის მერს და აღნიშნული დემოკრატიული პროგრესული პარტიის გავლენიან მოღვაწეს, 58 წლის ფრენკ სიეს დანიშნავს. მთავრობის ახალ თავმჯდომარეს, ისევე როგორც მის წინამორბედს, ოპოზიციურად განწყობილ პარლამენტთან რთულ ურთიერთობას უწინასწარმეტყველებენ.

პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი ჩინეთის (რომელიც კუნძულის დამოუკიდებლობის აღიარებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს) მიმართ მკაცრი პოზიციით არის ცნობილი. მას შემდეგ, რაც ტაივანის ხელისუფლებაში, 90-იანი წლების ბოლოს დემოკრატიული პროგრესული პარტიის მომხრეები მივიდნენ, პეკინთან მოლაპარაკების პროცესი პრაქტიკულად შეჩერდა.

უკანასკნელ თვეებში ჩინეთი არაერთგზის აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კუნძულზე დამოუკიდებლობის გამოცხადებას გადაწყვეტენ, სახელწოდება "ჩინეთის რესპუბლიკას" "ტაივანით" შეცვლის და სამხედრო ჩარევისთვისაც კი მზად არის. დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება კოალიციამ მოიპოვა, პარტია "გომინდანის" მეთაურობით. ოპოზიციამ 225 ადგილიდან 114 მიიღო მაშინ, როდესაც მმართველ კოალიციას, დემოკრატიული პროგრესული პარტიის მეთაურობით, მხოლოდ 101 მანდატი ერგო.

როგორც მიმომხილველები აცხადებენ, "გომინდანი" მზად არის ჩინეთთან მოლაპარაკებები, "ერთი ჩინეთის" პრინციპზე დაყრდნობით დაიწყოს, ხოლო დემოკრატიული პროგრესული პარტია თვლის, რომ ეს პრინციპი მოლაპარაკებებზე სხვა საკითხებთან ერთად თანაბრად უნდა განიხილებოდეს. ახალი კაბინეტი და ახალი პარლამენტი მუშაობას პირველი თებერვლიდან შეუდგება.

## ორი სიტყვით

**პაკისტანი.** პაკისტანის პროვინციის ბელუჯისტანის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ კვეტაში გუშინ ძლიერი აფეთქება მოხდა. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, დაზიანდა მხოლოდ შენობის ფასადი. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, შეშფოთებას იწვევს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ტერორისტებმა დაგეგმილი ოპერაციის სისრულეში მოყვანა ქალაქის ყველაზე დაცულ ნაწილში შეძლეს. უკანასკნელ ხანს კვეტაში არაერთი აფეთქება თუ ტერორისტული აქტი განხორციელდა. ადგილობრივი ხელისუფლების ვარაუდით, აფეთქებათა სერიის უკან ნაციონალისტური დაჯგუფებები ან ბელუჯის ტომის ზოგიერთი ბელადი უნდა იდგეს. ბელუჯისტანის კლანებისა და ტომების ლიდერები კი ბრალს ხელისუფლებას პროვინციის მდიდარი რესურსების პრივატიზებაში სდებენ. მათი თქმით, ამ უღარიბესი რეგიონის ეკონომიკური განვითარება ადგილობრივ ხელისუფალთ ნაკლებად აინტერესებთ და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასაც მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად ეწევიან. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** ისრაელის სადაზვერვო სამსახურის "მოსად"-ის ხელმძღვანელი მეირ დაგანი და ვიცე-პრემიერი შიმონ პერესი "ირანული საფრთხის" რეალურობაზე ხმამაღლა საუბრობენ. საგარეო დაზვერვის შეფის თქმით, ბუშერში რუსეთის დახმარებით ბირთვული რეაქტორის მშენებლობის აუცილებლობაზე საუბრით ირანს მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობა ისე საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტო. ქნესეთში საგარეო ურთიერთობებისა და თავდაცვის კომისიის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დაგანმა განაცხადა, რომ "ირანის მხრიდან ბირთვული მუქარა მალე შეუქცევად სტადიას მიაღწევს". გულუბრყვილობა იქნებოდა ირანის სამშვიდობო მიზნების დაჯერება მაშინ, როცა ლიბანი ისლამურ მოძრაობას "ჰეზბოლა"-ს ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტების განხორციელებისკენ უბიძგებს და იმავდროულად პალესტინის ტერორისტულ დაჯგუფებებთანაც თანამშრომლობს, მიიჩნევს დაგანი. ანალოგიური არგუმენტები მოჰყავს ვიცე-პრემიერ შიმონს პერესსაც ირანისთვის ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გაგრძელების მნიშვნელობაზე საუბრისას. პერესის შეფასებით, ირანი "ახლო აღმოსავლეთის უმთავრესი პრობლემა და ტერორიზმის რეგიონული ცენტრია". თუმცა, ისრაელის ვიცე-პრემიერი ისრაელის მხრიდან ირანის მისამართით რაიმე ძალისმიერ ქმედებას გამორიცხავს. "ირანის პრობლემას გლობალური მნიშვნელობა აქვს და მის წინააღმდეგ მთელი მსოფლიო უნდა იბრძოდეს. ჯერჯერობით კი ძალისმიერ მეთოდებზე გადასვლამდე აშშ-მა ყოველგვარი დიპლომატიური საშუალება უნდა ამოწუროს,"- განაცხადა შიმონ პერესმა. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**რუსეთი.** შეღავათების მონეტიზაციასთან დაკავშირებით მთავრობის გადადგომის მოთხოვნის კენჭისყრას 90 დეპუტატის ხელმოწერა სჭირდება. ამ მიზნით პარასკევს კომუნისტებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რომელთა რაოდენობაც უკვე 77-ით განისაზღვრება. კომუნისტური ფრაქციის წარმომადგენლის ივან მელნიკოვის განცხადებით, დოკუმენტს ხელი "როდინას", რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის წევრებმა და დამოუკიდებელმა დეპუტატებმა მოაწერეს. "ჩვენ ფრაქცია "ედინაია როსია"-ს ორი წევრის მხარდაჭერის იმედიც გვაქვს. მხოლოდ პარასკევს ჩვენ 77 ხელმოწერის შეგროვება შევძელით და დარწმუნებული ვართ, რომ მათი რაოდენობა პალატის საბჭოს შემდეგ სხდომაზე უკვე 90-საც გადააჭარბებს,"- აღნიშნა მელნიკოვმა. მისი აზრით, ხელმოწერების საკმარისი რაოდენობა ერთ კვირაში შეგროვდება, მას შემდეგ, რაც დეპუტატები პრეტენზიების სრულყოფილად მოტივირებულ დოკუმენტზე დაასრულებენ მუშაობას, რომელიც შემდეგ უკვე მთავრობას წარედგინება. **რია-ნოვოსტი**

## გადარიცხვისთვის გამგეობებს მიმართეთ

### თუმცა, ჯერჯერობით, ვერაფერს მიიღებთ

*2004 წელს უმწეო ადამიანებს საშუალება ჰქონდათ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ ემკურნალათ. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ იორიცხებოდა თანხა, რომელიც უმწეოთა დამატებითი დახმარებისთვის იყო საჭირო.*

ნონა მაისურაძე

2004 წლის 29 ნოემბერს განცხადებების მიღება შეწყდა და, შესაბამისად, "საპენსიო ფონდიდან" საგარანტიო წერილები აღარ გაიცემა. უმწეო მოსახლეობა, თითქოს, დახმარების გარეშე დარჩა, მაგრამ, როგორც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში გვითხრეს, მათი ბედი გამგეობების ხელში გადავიდა. ამ საკითხის ბოლომდე გარკვევის მიზნით, რამდენიმე გამგეობას დავუკავშირდით და აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. სამწუხაროდ, ინფორმაცია ვერ მივიღეთ, რადგან, ჯერჯერობით, გამგეობებში ამ პროგრამის განხორციელების შესახებ ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს. გაჭირვებული ადამიანები კი, დახმარებას ელიან.

სტატუსის გასარკვევად, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეს ვატო სურგულაძეს დავუკავშირდით.

- 2005 წლიდან უმწეო მოსახლეობის დამატებითი დახმარების პროგრამას "საპენსიო ფონდი" აღარ დააფინანსებს, რაც მართებულადაც მიმაჩნია, - ამბობს დირექტორის მოადგილე, - ვინაიდან მოსახლეობის პრობლემების მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა იტვირთონ. ყველა რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინონ თანხა იმისთვის, რომ საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა შეძლონ. განსაკუთრებით, ბავშვებზე, პენსიონერებზე და ინვალიდებზე. ეს არის ჩვენი რეკომენდაცია, რომელიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უნდა შეასრულონ. ფედერალურად ამ პროგრამის განხორციელება წარმოუდგენელია. რაიონში გაცილებით უკეთ იციან, ვინ არის გაჭირვებული და ვის სჭირდება სახელმწიფოსგან დახმარება.

- **სამწუხაროდ, გამგეობები, ჯერჯერობით, ვერაფერს გვეუბნებიან.**

- მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ჯერ ადგილობრივი ბიუჯეტები არ მიუღიათ. თუმცა ისინი ამ პროგრამის შესახებ ინფორმაციას ფლობენ და ჩვენი რეკომენდაციაც მოსმენილი აქვთ. კანონით მათ არ ევალებათ აღნიშნული პროგრამის განხორციელება, თუმცა, უმწეოებისთვის დახმარების გაწევა რომ ერთ-ერთი პრიორიტეტია, ამას მითითება არ სჭირდება. [illegible] კომენდაცია თბილისის საქალაქო სამსახურმა გაითვალისწინა და ბიუჯეტში ამ პროგრამისთვის 2,8 მილიონი ლარი ჩადო. იმედია, სხვა სამსახურებიც ანალოგიურად მოიქცევიან.

## პრეზიდენტი "სახალხო ბანკში"

საქართველოში მცხოვრები 700 ათასი პენსიონერი ორშაბათიდან გაორმაგებულ პენსიას მიიღებს - 28 ლარის ოდენობით. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, პენსიები საქართველოში ერთდროულად და შეუფერხებლად დარიგდება. ამასთან, პენსიონერები, რომლებსაც ელექტროენერგიის გადასახადებზე შეღავათები ჰქონდათ, დამატებით საკომპენსაციო თანხასაც მიიღებენ. საპენსიო ფონდისთვის შესაბამის საბანკო ანგარიშებზე ბიუჯეტიდან უკვე 30 მილიონ ლარზე მეტია გადარიცხული.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში პენსიების გაორმაგებას ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად აფასებს და იმედს გამოთქვამს, რომ ამით პენსიონერთა ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდება. **"მართალია, 28 ლარი ბევრი არ არის, მაგრამ საქართველოს რეგიონებში პენსიონერები თავის ყოფას ოდნავ მაინც გააუმჯობესებენ,"** - განაცხადა "სახალხო ბანკის" ერთ-ერთ ფილიალში გუშინ მისულმა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც გაორმაგებული პენსიების გაცემის პროცესს დაესწრო.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის შემოდგომიდან ამოქმედდება სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს. **"იმ ადამიანებს, ვისაც, პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არა აქვს, სახელმწიფო მისცემს იმდენ დანამატს, რომ უკიდურეს სიღარიბეში არ იყვნენ. ჩვენ უახლოეს პერიოდში ვერ გავხდებით ძალიან მდიდარი ქვეყანა, მაგრამ დანაპირებს შევასრულებთ,"** - თქვა პრეზიდენტმა.

*24 საათი*

## ერთი სართულით ზევით

თბილისის მერია და საკრებულო ახლო მომავალში ჟურნალისტებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას გეგმავს. იმისათვის, რომ დეპუტატებს ხელი არ შეეშალოთ მუშაობაში და ჟურნალისტებმაც "უკეთ გააშუქონ მოვლენები", მედიის წარმომადგენლებს სხდომათა დარბაზის მეორე სართულზე მოუწევთ გადანაცვლება. შრომის კიდევ უფრო "შესამსუბუქებლად" კი დეპუტატები მათ ვიდეოჩანაწერიდან მასალის მომზადებას სთავაზობენ. საკრებულოს სხდომათა დარბაზში სპეციალური ვიდეოკამერების დამონტაჟება იგეგმება. ეს საკითხი ლიკანში ბიუჯეტის განხილვის დროს დააყენა საკრებულოს მდივანმა ზურაბ ჟვანიამ. მისი განმარტებით, დარბაზში მყოფი ჟურნალისტები დეპუტატებს ხედვის არეალს უხშობენ და ვერც თავად ჟურნალისტები მუშაობენ "თავისუფლად".

ჟვანიას თქმით, ეს იდეა დეპუტატებს ორი წლის წინათ მოუვიდათ და აქამდე მისი განხორციელება, უბრალოდ, ვერ მოახერხეს. თუმცა სხვები ამბობენ, რომ ეს საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც "რუსთავი-2"-ის ოპერატორმა საკრებულოს სხდომათა დარბაზში ზოგიერთისთვის არასასურველი კადრების გადაღება შეძლო.

**"უკვე კარგა ხანია, რაც საკრებულოს სხდომათა დარბაზში ვიდეოკამერების დამონტაჟება გვინდა. ისევე, როგორც პარლამენტში, ჟურნალისტებს შესაძლებლობა მიეცემათ, სხდომის მიმდინარეობას მეორე სართულიდან ადევნონ თვალ-ყური. ეს იდეა ეთერში ნაჩვენები არასასურველი კადრების გამო ნამდვილად არ გაგვჩენია. ტელევიზიით ბევრჯერ გასულა გინება, მაგრამ ამ მიზეზით მუშაობის სტილი არ შეგვიცვლია",** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

მერიის აპარატის უფროსის გივი ორდენიძის განცხადებით, ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. თუმცა, ამ მხრივ, მუშაობა მართლაც მიმდინარეობს.

*24 საათი*

*გამოხმაურება*

## გაზეთ "24 საათის" რედაქციას

გაზეთ "24 საათის" 24 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის, "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ პროექტი უარვყოთ და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი ავამოქმედოთ", ხელმომწერებს შორის დასახელებულია ჩვენი გვარები, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია როგორც წერილის შინაარსი, ისე მისი შესრულების სტილი.

**გიორგი ხუბუა -** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**რომან შენგელია -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**გურამ ნაჭყებია -** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.


**ვაკანსია**
**კანონის უზენაესობის**
**პროექტის დირექტორი**

მერილენდის უნივერსიტეტის "აირის ცენტრი" აცხადებს კონკურსს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული კანონის უზენაესობის პროექტის (თბილისი, საქართველო) დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად თორმეტი თვის ვადით. აღნიშნული პროექტის მიზანია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იურიდიულ ექსპერტებთან ერთად ხელი შეუწყოს საქართველოში სამართლებრივი რეფორმების განხორციელებას.

კანდიდატს უნდა გააჩნდეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა ხუთწლიანი, ხოლო აღნიშნულ სფეროში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება, იურიდიული განათლება, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მუშაობის გამოცდილება და აშშ ან დსთ-ში შემავალი რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. სასურველია კანდიდატს ნამუშევარი ჰქონდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციულ პროექტებში. კონკურსის წესით შერჩეული პირი მუშაობას შეუდგება 2005 წლის 1 თებერვლიდან.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ რეზიუმე (CV) 28 იანვრამდე შემდეგ მისამართზე: tiniko@iris.ge ან მოგვაწოდოთ ოფისში: რადიანის ჩიხი 7 (ვაკე), თბილისი 0179.


# მორიგი გამგებელი

*თბილისის მთავრობას გუშინ ერთი წევრი შეემატა - ისანი-სამგორის "პრესტიჟული" რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი. ეს თანამდებობა ქორქაშვილისთვისაც, წინამორბედების მსგავსად, ვიცე-პრემიერობისკენ ტრამპლინი აღმოჩნდება თუ არა, ჯერ უცნობია. ახალი გამგებლის სამომავლო გეგმები, ჯერჯერობით, რაიონის მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.*

ნანა ქადაგიშვილი

ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობა პრესტიჟულად, რა თქმა უნდა, ხუმრობით მიიჩნევა, რადგან რაიონის სამი გამგებელი ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე დააწინაურეს. სხვა მხრივ, ისანი-სამგორი, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული რაიონია. თბილისის მოსახლეობის ყველა პრობლემა აქ ერთად იყრის თავს. რაიონში, აფხაზეთიდან დევნილების გარდა, 35 ათასი სოციალურად დაუცველი მოქალაქე ცხოვრობს. 2004 წელი, ძირითადად, გამგებლების დაწინაურება-გათავისუფლება-დანიშვნას მოხმარდა; რაიონმა ერთ წელიწადში 4 გამგებელი გამოიცვალა. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რაიონს უკეთესობისკენ სერიოზული ძვრები არ დასტყობია. წელს გიორგი ქორქაშვილი ისანი-სამგორის რაიონის პირველი გამგებელია (იმედია, უკანასკნელიც). იგი, ერთი წელია, ამ რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობს. მანამდეც ამავე რაიონში საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსი იყო. ახალი გამგებელი დაპირებების სიუხვით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, საკმაოდ შთამბეჭდავი იდეები და გეგმები აქვს.

ქორქაშვილი რაიონის პრიორიტეტულ პრობლემებად ავარიული სახლების აღდგენასა და მოსახლეობის დასაქმებას მიიჩნევს. ავარიული სახლების შესაკეთებლად რაიონს წლევანდელი ბიუჯეტიდან, შარშანდელთან შედარებით, 300 ათასი ლარით მეტი - 1 500 ათასი ლარი გამოეყოფა. მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით კი ახალ გამგებელს საინტერესო იდეა აქვს. **"ჩვენს რაიონში ინვესტიციები თუ განხორციელდება, დასაქმების დროს პრიორიტეტი რაიონის მცხოვრებლებს უნდა მივცეთ; მათთვის რამდენიმე ვაკანსია უნდა იყოს გათვალისწინებული. ამისთვის, რა თქმა უნდა, კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს. ამ იდეას ქალაქის ხელმძღვანელობაშიც ჰყავს მხარდამჭერები".**

გამგებლის სამომავლო გეგმებში გარე მოვაჭრეთაგან გათავისუფლებული ადგილების შენარჩუნებაც შედის. თუმცა, რაიონის ახალ ხელმძღვანელს ეს არცთუ იოლ საქმედ მიაჩნია. **"აქაც კანონმდებლობაშია ცვლილებები შესატანი. სანიტარიული კოდექსი გარე მოვაჭრეთა დაჯარიმებას კი ითვალისწინებს, მაგრამ დაჯარიმების მექანიზმი არ მოქმედებს. გარე მოვაჭრეები არსად არიან აღრიცხული. ბევრს ჯიბეში პირადობის მოწმობაც არ უდევს და როგორ გინდა, დააჯარიმო,"** - განმარტავს გამგებელი.

რაიონის ხელმძღვანელს კიდევ ერთი საინტერესო გეგმა აქვს - სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის ერთჯერადი დახმარებების გაცემის წესის შეცვლას აპირებს. წელს რაიონის მცხოვრებნი ერთჯერად დახმარებებს, გამგეობის შენობის ნაცვლად, ბანკიდან აიღებენ. ქორქაშვილს მიაჩნია, რომ ეს კორუფციისა და მიკერძოების საშუალებას მოსპობს.

# ბიუჯეტის სასარგებლო ცვლილებები

ნანა ქადაგიშვილი

*2005 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტს წელს ერთი თეთრიც არ მომატებია. წლევანდელი ცვლილება მხოლოდ ის არის, რომ სახელმწიფო პროგრამებისთვის გათვალიწინებული თანხები განსხვავებულად გადანაწილდა. ზოგიერთი პროგრამის დაფინანსებაში გარკვეული წილი უკვე რეგიონებმა საკუთარი ბიუჯეტიდან უნდა შეიტანონ. პასუხისმგებლობის რეგიონებზე გადანაწილება ცენტრალურ ბიუჯეტს შეღავათს კი მისცემს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მოსახლეობაზე. წლევანდელი ცვლილება განსაკუთრებით დააზარალებს რეგიონებში მცხოვრებ გულით ავადმყოფებს.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*დიალიზი (ხელოვნური თირკმელი) ისე ძვირი ღირს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისი დაფინანსება ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.*

დიალიზისა და კარდიოქირურგიის სახელმწიფო პროგრამები 2005 წლამდე მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ეს ორი პროგრამა ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. თუმცა, მკურნალობის კოლოსალური ღირებულების გამო, ამ პროგრამებით ავადმყოფთა მხოლოდ ნაწილი სარგებლობდა. ერთი პაციენტის მკურნალობაში სახელმწიფო თვეში 1 100 ლარს იხდიდა. გასულ წელს დიალიზის პროგრამის დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 4,5 მილიონი ლარი, რაც 380 ადამიანის მკურნალობას მოხმარდა. წელს ამ 380 პაციენტის მკურნალობას ისევ სახელმწიფო დააფინანსებს, ოღონდ, თანხა, ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოიყოფა. თბილისის ბიუჯეტის პროექტში დიალიზის პროგრამისთვის 2,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული. რეგიონებში კი ჯანდაცვის ადგილობრივი ბიუჯეტის 55 პროცენტი გამოიყოფა აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად. გამონაკლისი მხოლოდ 17 ყველაზე გაჭირვებული რაიონია, სადაც დიალიზის პროგრამის დასაფინანსებლად ტრანსფერი გაიგზავნება. ტრანსფერის ოდენობა 17-ვე რაიონში მილიონ ლარს შეადგენს.

კარდიოქირურგიის პროგრამისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით 2004 წლის ბიუჯეტიდან ხუთი მილიონი ლარი დაიხარჯა. წელს ცენტრალური ბიუჯეტი რეგიონებში მხოლოდ ბავშვთა მკურნალობას დააფინანსებს. თბილისის ბიუჯეტის პროექტში გულით ავადმყოფთა სამკურნალოდ 4,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული; აჭარის ბიუჯეტი მილიონ ლარს გამოყოფს; რეგიონებში მცხოვრები ავადმყოფები კი, ფაქტობრივად, საკუთარი ჯიბის ანაბარად რჩებიან. რეგიონების ბიუჯეტების სამი პროცენტიდან (რაც ჯანდაცვის სფეროს დასაფინანსებლად არის განკუთვნილი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 55 პროცენტი დიალიზის პროგრამას ხმარდება, დარჩენილი 45 პროცენტი კი - საზოგადოებრივ ჯანდაცვას. არადა, გულით დაავადებულისთვის მკურნალობა ხშირად მაშინაც მიუწვდომელია, როცა სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის საშუალება აქვთ.

დიალიზის პროგრამისგან განსხვავებით, კარდიოქირურგიის პროგრამა თანადაფინანსების პრინციპით ხორციელდება. პაციენტი მკურნალობის ღირებულების 25 პროცენტს იხდის, რაც, საშუალოდ, 2000-5000 ლარს უდრის; დანარჩენ 75 პროცენტს კი სახელმწიფო ფარავს. ადვილი წარმოსადგენია, რაიონებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანებისთვის გულის ოპერაციების 100 პროცენტით საკუთარი ჯიბიდან დაფინანსება რამდენად ხელმისაწვდომი იქნება. არადა, გასულ წელს კარდიოქირურგიის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ავადმყოფთა 60 პროცენტი სწორედ რაიონების მცხოვრებელი იყო. **" ჯანდაცვაზე რაიონების ბიუჯეტებიდან, სამი პროცენტის ნაცვლად, ხუთი-შვიდი პროცენტი რომ გამოყოფილიყო, მოზრდილთა მკურნალობის დაფინანსებაც მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა, რადგან ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებაზე გათვალისწინებული სამი პროცენტიდან კარდიოქირურგიას აღარაფერი ხვდება, გამგებლებს მხოლოდ ის შეიძლება ვთხოვოთ, რომ თუ საშუალება ექნებათ, გულით დაავადებულებისთვისაც გაითვალისწინონ სახსრები",** - აცხადებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფროსის მოადგილე ვახტანგ სურგულაძე.

ასე რომ, რაიონებში მცხოვრები გულით ავადმყოფი, გაჭირვებული ადამიანების ბედი მხოლოდ გამგებლების კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.

*ფოსტა*

# უმორჩილესი (და უმკაცრესი) თხოვნა საქართველოს პრეზიდენტს

*მეტროში ჩაბრძანდით, ბატონო მიხეილ, ტროლეიბუსითა და ავტობუსით იმგზავრეთ! სულ ცოტა ხნის წინათ თქვენ თავად ურჩევდით იგივეს თქვენი გუნდის წევრებს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრებს; სულ ცოტა ხნის წინათ იყო კონტაქტი და ხალხს ეიმედებოდა პრეზიდენტი, რომელიც ყოველგვარი კონიუნქტურის წინააღმდეგ ხშირად ჩნდებოდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში. იგივეს რომ გაიმეორებდეთ, ადამიანები მოგიყვებიან თავიანთ იმედებსა და იმედგაცრუებებზე. თქვენ მათ ჩახედავთ თვალებში და დაინახავთ, რომ თავისუფლების სული მათში დაჩაგრული და უნუგეშო გამხდარა. ისინი მოგიყვებიან, თუ როგორ სტკივათ, როგორ სცივათ და მაინც არ იპარავენ, როდესაც მთავრობის წევრები ხელფასების მაღალ კატეგორიას საჭიროებენ, რათა სახელმწიფო გაქურდვას გადაურჩეს(!); და რომ, რაღაც გარიგებების საფუძველზე, ზოგიერთთა პენსია ფრიად სოლიდურია, წლობით ნატანჯი და გადაღლილი ადამიანები 28 ლარს მადლიერებით ვერ მიიღებენ. მათი გულისტკივილი კი იმ მოარული ფრაზით გამოიხატება, რომელსაც საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას გაიგონებთ, - არც ერთი მთავრობა ხალხისთვის არ ყოფილაო.*

ადამიანები მოგიყვებიან, რომ ყველაფერი ისევ ფულზე იყიდება; იმ თანხებსაც დაგისახელებენ, რაც ამა თუ იმ სამსახურში მოწყობა ღირს; იმ თანხებსაც, რაც საბაჟოზე ტრიალებს; იმ პიროვნებებს, ვისაც ისინი ვერ ენდობიან და ვინც, "უმაღლესი ეშელონების" სახელით, ყველაფერს განაგებს. იმასაც დაგისაბუთებენ, რატომ ვერ ენდობიან და რა რეალური მიზეზები აქვთ საამისოდ. თქვენგან მხოლოდ ისაა საჭირო, რომ გაჩერდეთ და მოუსმინოთ, რომ არ იყოს რაიმე დაბრკოლებად აღმართული თქვენსა და ამ ადამიანების გულწრფელობას შორის. უნდა ელოდეთ, რომ ისინი უსაშველოდ მკაცრები იქნებიან, მათი უმრავლესობა ხომ დიდი დროით ამოვარდა ჩვეული ყოფიდან შარშანდელი შემოდგომის დღეებში და არა იმიტომ, რომ როდესაც მათ უჭირთ და უამრავ პრობლემას (გადაუწყვეტელს!) ხედავენ ირგვლივ, მათი პრეზიდენტი ლაპარაკობდეს, რომ ყველაფერი ისეა ახლა, როგორც დავით აღმაშენებლის დროს(!)

გაიხსენეთ, ეს ხალხი როგორი მკაცრი იყო მაშინ, როდესაც მოითხოვდა წამსვლელის წასვლას, როდესაც მთელი ოჯახებით, მცირეწლოვანი ბავშვებით იდგა და არ იშლებოდა. და თუ გინდათ, აღმაშენებლის სახელი ამ ხალხმა დაგარქვათ და არა თავად შეარქვათ საკუთარ თავს, უნდა წავიდეს, ვინც წასასვლელია, ვისაც არ გაეჩერება იქ, სადაც სამართალსა და შრომის სუფევაზე დამყარებული ქვეყნის აშენებას აპირებენ, ხოლო ვინც დარჩება, საკუთარი ქმედება და რეპუტაცია თავადვე მკაცრად აკონტროლოს!

წასასვლელთა სახელები ამ ხალხმა კარგად იცის. ისინი ჩამოგითვლიან მათ "ღირსებებს" და მათგან უნდა მიიღოთ რჩევა, უნდა შეეწიროს თუ არა ყველა იდეალი ერთიანობის თუ ერთობის გაცვეთილ გაგებას. ვერ ააშენებთ ასეთ მთლიანობას, იქ სადაც ეს შინაგანად დარღვეულია. ვერ მოთავსდება ერთად ცბიერება და გულმართლობა, მზაკვრობა და კაცური კაცობა. სულიც რომ უბეროთ, ასეთი აღმშენებლობა აუცილებლად ჩამოინგრევა, ჩამოიქცევა და, შესაძლოა, უამრავი ღირსეულიც მოიყოლოს ნანგრევებში. ეს რეალობის კანონია და, ყოველგვარი საეჭვო ერთობის საწინააღმდეგოდ, დასტურს სახარების სიტყვებშიც იპოვით - "რა საერთო აქვს სიმართლეს ურჯულოებასთან? რა აქვს საერთო ნათელს წყვდიადთან? და რა შეთანხმება აქვს ქრისტეს ბელიართან"? (2 კორინთელთა 7, 14-15)

ჩადით მეტროში, ბატონო პრეზიდენტო, და საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრეთ! ჩაიყვანეთ იქ თქვენი მთავრობა თავისი მეთაურითურთ მარხვის დღეებშიც და ხსნილშიც და მოუსმინონ მათ ამ ხალხს! თქვენ კი უმზირეთ, ვისთან შეხვედრა იქნება ყალბი და ვისთან - ხალასი. და თქვენ მიხვდებით, ყველაფერს მიხვდებით და, იმედია, შესაბამისად იმოქმედებთ. თავად იმედიც მკაცრია, რადგან როდესაც იმედგაცრუება დგება, სიმკაცრე ზღვარს აღწევს და მოჩვენებითი ვერც ერთობა და ვერც ვერანაირი მოჩვენებითობა ვერ დაუდგება წინ!

იქნებ იმიტომ ვერ დგებით ამ ხალხთან პირისპირ, რადგანაც ისინი უამრავ წერილს ჩაგიდებენ ხელში, მათი დარდი და სატკივარი გულს მოგიწურავთ და მერე ძნელი იქნება უზრუნველობა და თავის ქება. ალბათ, ძალიან ძნელი იქნება უპასუხოთ, თუ რატომ შეჩერდა კორუფციული პროცესების გამოძიება სახელმწიფო უნივერსიტეტში; რატომ ჩაახშო (თანაც ცინიკურად!) მოსახლეობის ანაბრების დაკარგვის პროცესის გამოძიება მათგანვე არჩეულმა სახელისუფლებო ორგანომ; რატომ მოექცა ქართული ეკონომიკური სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ხელში; რატომ არ დაადგა საშველი ლუსტრაციის კანონის მიღებას; რატომ შედის ვიღაცების ჯიბეებში თუნდაც სამჯერ ნაკლები (თქვენივე სიტყვებით) - რითაა სანუგეშო ეს?

ადამიანები მოგიყვებიან უამრავ საეჭვო ფაქტზე. თქვენ მოგიწევთ გასცეთ მათ პასუხი საკუთარი თანაგუნდელების და საკუთარი ნათესავების შესახებაც. და თქვენ ამისათვის მზად უნდა იყოთ, თუკი ჩახვალთ მეტროში ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრებთ!

ისინი მოგიყვებიან, როგორ დრტვინავდა ყველა ცალ-ცალკე, როდესაც გრანდიოზული სანახაობა (თუ უნახაობა!) იმართებოდა საახალწლოდ, არცთუ მოკრძალებული თანხის ფასად; როგორ იწვა ერთი უმუშევარი ადამიანი თავისუფლების მოედნის სკვერში პროტესტის ნიშნად და თუ რატომ იკავებენ თავს ადამიანები სიმართლის თქმისაგან ნარკოტიკების ან იარაღის ჩადების შიშით ანდა უსაფუძვლო ბრალდებით იზოლირების გამო. მოგიყვებიან, თუ როგორი გაუსაძლისია სოციალური ყოფა, თუ როგორ ეწირება მათი მთელი დრო და ენერგია ლუკმა-პურისთვის ზრუნვას (მშიერი მონების არსებობა ნორმალურ ხელისუფლებას არ სჭირდება!) და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის რაოდენ დამღუპველია ეს, ხოლო ზოგიერთთა კეთილდღეობის და ცოდვათა მოკითხვისათვის თავის ასაცილებლად - როგორი აუცილებელი!

ადამიანები მოყვებიან იმაზე, თუ როგორაა გართულებული ქვეყნიდან გასვლა (ძირეული ცვლილებებისადმი ტოტალური მასშტაბის იმედგაცრუების ფონზე) - თითქოსდა ეკონომიკური სტაბილურობის დასადასტურებლად, და რომ ეს ხალხი აქ არავის სჭირდება. ისინი დასაქმების ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავენ და რა უნდა გააკეთონ მათ - ყველა ერთად უნდა დაწვეს მერიის წინ სკვერში, რომ ისინი შეამჩნიონ?

იგივენი გკითხავენ, რომ როდესაც სატელევიზიო ეთერში შენიშვნები კეთდება არჩეული პრეზიდენტის მიმართ თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკაში (თუკი ასეთად მოვიაზრებით!), რატომ უნდა იცავდეს მას პარლამენტის წევრი და თანაც ისეთი გულმოდგინებით, როგორიც მხოლოდ დაქირავებული ადვოკატისგანაა მოსალოდნელი?

იქ, სადაც ბავშვები სიზმრებს ხედავენ, თუ როგორ აკრძალა მთავრობამ მულტფილმები და როგორ უყურეს მათ მაინც, საკუთარი სიცოცხლის ფასად. თავისუფლების სულს ვერაფერი ჩაახშობს. ის ვერაფერზე გაიყიდება, ვერაფერზე გადაიცვლება და თქვენ ამის შესახებაც მოგიყვებიან, როდესაც ხალხთან დადგებით.

ხალხი გაგახსენებთ, რომ თქვენ სამართლიანობის მცველი მთავარანგელოზის სახელი გქვიათ და მის გამოსახულებას ხელში სულიერი მახვილი და სასწორი უპყრია. ისინი გაგახსენებენ თქვენ, რომელიც მოყვარული ბრძანდებით ყოველგვარი სიმბოლოსა თუ სიმბოლურობის ახსნისა, თუ როგორი ქარიშხალი და ქარბორბალა იყო თბილისში წლევანდელ გიორგობას, როგორ ზანზარებდა ცა და ქვეყანა და რომ თვით ეს წმინდანიც სამართლიანობისთვის მებრძოლთა დამხმარედაა ცნობილი და არა სითბოში მოყუჩებულთა მფარველად!

თქვენ უნდა მიხვიდეთ ხალხთან, ბატონო პრეზიდენტო, რათა შემდგომ მათი მოსვლა თქვენთან არ იყოს ძლიერ მკაცრი; თქვენ უნდა აღიაროთ, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის წლის თავზე არ იყო ასეთი იმედგაცრუება ამ ხალხში, როგორიც ახლაა და, რა თქმა უნდა, ვერც იქნებოდა. თქვენ ხომ მათთან ერთად მოხვედით ხელისუფლებაში - იმ ადამიანებთან ერთად, ვინც ირწმუნა და დაინახა, თუ რამხელა ძალა აქვს მათ ნებასა და სურვილს უკეთესის მოთხოვნისა. ეს ძალა შეიძლება, დროებით მიინავლოს, მაგრამ "თავისუფლების ჯინი" გამოშვებულია ბოთლიდან და ვერანაირი ამქვეყნიური ძალა მას უკან ველარ შეაბრუნებს!

ამიტომაც უმორჩილესად (და უმკაცრესად) გთხოვთ, ბატონო მიხეილ, ჩადით მეტროში და ავტობუსებსა თუ სამარშრუტო ტაქსებში ხალხს მოუსმინეთ!

***ნატო ამონაშვილი-თევზაძე*** *- ეთნოლოგი*
***რუსუდან მალიანი*** *- ფსიქოლოგი*
***ნინო ტურაბელიძე*** *- ექიმი*
***მანანა გავაშელი*** *- გეოლოგი*
***მანანა ბაქრაძე*** *- ფარმაცევტი*
***ნინო დათიშვილი*** *- ფილოლოგი*
***ციცი ლორია*** *- ქიმიკოსი*

# რეფორმების წინააღმდეგობრივი შედეგები

პირველი გვერდიდან

"Human Rights Watch"-ის ყოველწლიური მოხსენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს. შარშანდელი წლის მიმოხილვაში, მართალია, ყურადღება, ძირითადად, სუდანის პროვინცია - დარფურის კრიზისსა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული, ტერორიზმთან ომის დროს დაპატიმრებულთა დაკითხვის ფორმაზეა გამახვილებული, ორგანიზაციას ბევრი აქვს სათქმელი მსოფლიოს სხვა რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. 2004 წლის მოვლენების შესახებ შედგენილ მოხსენებაში საუბარია 64 ქვეყანაში, მათ შორის, დსთ-ს ქვეყნებში არსებულ ვითარებაზე. "მართალია, "რკინის ფარდა" თითქმის 15 წლის წინათ მოიხსნა, თუმცა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმეტეს ტერიტორიაზე ყველაფერი ძველებურადაა," - ირწმუნება "Human Rights Watch"-ი, რომელიც ამ ეტაპზე დადებით ტენდენციებს მხოლოდ უკრაინაში ამჩნევს: "ღია საზოგადოებად ფორმირების ნიშნები ჯერ მხოლოდ უკრაინაში შეიმჩნევა, თუმცა, ისინი სულ ახლახან გაჩნდა და ტენდენციაზე ლაპარაკი ნაადრევია," - ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.



"Human Rights Watch"-ის მოხსენებაში საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ერთადერთ კონკრეტულ ფაქტად სულხან მოლაშვილის ირგვლივ მომხდარი მოვლენებია მოყვანილი.

"Human Rights Watch"-ის შეფასებით, მთელი რუსეთი მოსკოვის კონტროლქვეშ იმყოფება და ჩეჩნეთის ომის ფონზე იქ ძალზე მძიმე ვითარებაა შექმნილი, ბელორუსის არჩევნები სასაცილოა, უზბეკეთში პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობა ნორმად ითვლება, სომხეთსა და აზერბაიჯანს კი, რომელთა შორისაც კვლავ გრძელდება კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო, ავტორიტარული რეჟიმები მართავენ.

რაც შეეხება საქართველოს, "Human Rights Watch"-ის მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების რეფორმატორულმა სვლამ, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი შედეგები მოიტანა. კერძოდ, მართალია, აღმსარებლობის თავისუფლების მხრივ, რაც წლების მანძილზე შეშფოთების საგანი იყო, მდგომარეობა გაუმჯობესდა, სამაგიეროდ, წინასწარი დაკავების საკნებში წამება და არაადამიანური მოპყრობა კვლავაც მასობრივ ხასიათს ატარებს. ტერორიზმთან ბრძოლის სახელით ჩატარებული სპეცოპერაციების დროს ირღვევა ჩვეულებრივ მოქალაქეთა უფლებები, განსაკუთრებით - ჩეჩენი ლტოლვილების, რომელთა დაცვა სახელმწიფოსა და უშიშროების ძალების თვითნებობისაგან კვლავაც პრობლემად რჩება.

**"თებერვალში საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ დაჩქარებულად მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებათაგან ერთ-ერთი პრეზიდენტს მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებას ანიჭებს,** - ნათქვამია საერთაშორისო ორგანიზაციის მოხსენებაში, - **რაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება, რადგანაც აძლიერებს პრეზიდენტის გავლენას მართლმსაჯულების სისტემაზე, რომელიც აქამდეც არ ყოფილა მაინცდამაინც დამოუკიდებელი."**

"Human Rights Watch"-ის მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია პოლიციის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევის რამდენიმე შემთხვევაზე, რაც, მათი აზრით, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების კუთხით, შევარდნაძის დროინდელ პერიოდზე უკეთეს შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მოხსენებაში საუბარია პრესის თავისუფლებაზეც, რაც, ორგანიზაციის შეფასებით, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, თუმცა კი, როგორც სახელმწიფო, ასევე შევარდნაძის დროს ოპოზიციურად განწყობილი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები პროსახელისუფლებო პოზიციაზე დგანან, რის გამოც ალტერნატიული მოსაზრების დაფიქსირება დიდ იშვიათობად იქცა.

მოხსენებაში პოზიტიურ მოვლენად არის შეფასებული ერთი წლის მანძილზე ვაკანტურად დარჩენილ სახალხო დამცველის პოსტზე ადამიანის უფლებათა დამცველისა და ჟურნალისტის სოზარ სუბარის არჩევა.

"Human Rights Watch"-ს არც ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული კამპანია დარჩენია ყურადღების მიღმა. **"საქართველოს ხელისუფლება ხმაურიან ბრძოლას ეწევა კორუფციის წინააღმდეგ, რასაც გავლენიანი პირების დაკავებები ახლავს. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა მეთვალყურეები შეშფოთებას გამოთქვამენ კანონის პოლიტიკური ნიშნით გამოყენების გამო. ასევე, მუდმივად ჩნდება განცხადებები პროცესუალური დარღვევების შესახებ. კორუფციული ბრალდებით დაკავებული რამდენიმე პატიმარი კი ირწმუნება, რომ წამებისა და არაჯეროვანი მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ,"** - ნათქვამია ყოველწლიურ მოხსენებაში.

თავისთავად, საქართველოში პატიმართა წამება "Human Rights Watch"-ის მოხსენებაში ცალკე თავად არის გამოყოფილი. იმასთან ერთად, რომ საპატიმრო ადგილებში წამება და პროცესუალური დარღვევები მასობრივ ხასიათს ატარებს, აქ ნათქვამია, რომ ხშირად კეთდება განცხადებები დაკავებულთა სრულ იზოლაციაში ყოლის, მათ შორის, ადვოკატთან ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ.

**"მოსამართლეები ხშირად იგნორირებას უკეთებენ დაკავებულთა განცხადებებს მათი წამების შესახებ,** - აღნიშნულია მოხსენებაში, - **არსებობს ინფორმაცია წინასწარი დაკავების ადგილებში საეჭვო ვითარებაში დაკავებულთა გარდაცვალების შესახებ, რაც, გასულ წლებთან შედარებით, სიტუაციის გაუარესების სურათს იძლევა. წამების შესახებ განცხადებებში ფიგურირებს ისეთი მეთოდები, როგორიცაა ცემა, სიგარეტის მიწვა, გაუპატიურებით დაშინება და ელექტროშოკი. ზოგჯერ პატიმართა წამების ბრალდებით პასუხისგებაში მიცემაც ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყველა შემთხვევაში."**

მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წამებასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც ორგანიზაციის მოხსენებაშია დაფიქსირებული. კერძოდ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მოწონებით ხვდება სახალხო დამცველის ოფისთან მონიტორინგის საბჭოების შექმნას. ასევე დადებითად არის აღქმული აჭარაში, ასლან აბაშიძის განდევნის შემდეგ, სიტუაციის გაუმჯობესება და რელიგიის თავისუფლების კუთხით მომხდარი წინსვლა. "Human Rights Watch"-ი დადებით ფაქტორად მიიჩნევს ბასილ მკალავიშვილის დაკავებას, თუმცა კი, არ იწონებს ამ დაკავების ფორმას და ასევე შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლებამ დღემდე ვერ უზრუნველყო რელიგიურ ნიადაგზე მოწყობილი თავდასხმების ათამდე მონაწილის პასუხისგებაში მიცემა.

# ქართველი ადვოკატები პროფესიულ გაერთიანებას ქმნიან

*ქართველ ადვოკატთა ჯგუფი პროფესიულ გაერთიანებას - ადვოკატთა ასოციაციას ქმნის. "ჩვენი მიზანია, დავაფუძნოთ მობილური, ძლიერი, კორპორაციული ასოციაცია, რომელიც ანგარიშგასაწევი იქნება. ორგანიზაცია ისაუბრებს იმ საშიშ ტენდენციებზე, რომელიც დღეს ქვეყანაში შეიმჩნევა. ასევე გავლენას მოახდენს ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებზე, ადვოკატურა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი რგოლია, ამიტომ, ასოციაციის შექმნა არა მარტო ადვოკატების მუშაობას შეუწყობს ხელს, არამედ სასამართლო სისტემის განვითარებასაც," - აცხადებენ ადვოკატები.*

ასოციაციის დამფუძნებელი კრება 1 მარტამდე უნდა გაიმართოს, დამტკიცდეს წესდება, არჩეული იქნეს ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია, სარევიზო კომისია და მათი თავმჯდომარეები.

ამ ეტაპზე, აშშ-ს იურისტთა ასოციაციის დახმარებით, ქართველი ადვოკატები ასოციაციის წესდებისა და ეთიკის კოდექსის შექმნაზე მუშაობენ. სამუშაო ჯგუფში, ჯერჯერობით, 100-მდე ადვოკატია გაერთიანებული. ჯგუფის წევრები კოლეგებს ასოციაციაში გაერთიანებისაკენ მოუწოდებენ. მსურველებმა განაცხადი 4 თებერვლამდე უნდა შეიტანონ. დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოეწერა, ღიაა ყველა ადვოკატისთვის და მათ შესაძლებლობა აქვთ, ამ დეკლარაციას გაეცნონ საიტზე - www.advokati2005.caucasus.net

**"სხვისი უფლებები რომ დაიცვა, მაღალი პროფესიული რეპუტაცია უნდა გაგაჩნდეს,"** - აცხადებს ეთიკის კოდექსის პროექტის ავტორი და პროექტზე მომუშავე ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იურიდიული კომპანია - "ტურაზაშვილი და პარტნიორის" - მმართველი პარტნიორი, ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი,

**"საქართველოში ადვოკატთა პროფესიული ეთიკა, პროფესიული რეპუტაცია, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. ადვოკატებმა საკუთარი პროფესიის დანიშნულება არ ვიციით. პროექტის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია საქართველოში თავის ადგილზე იდგეს. ადვოკატობა სპეციფიკური, ფრთხილი საქმიანობაა. ადვოკატს კლიენტთან გამჭვირვალე ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, მან კლიენტის ინტერესები საკუთარ თავზე მაღლა უნდა დააყენოს. პროექტის მიხედვით, დაუშვებელია ადვოკატის მხრიდან პროფესიული ტყუილი, რაც ქართულ სინამდვილეში არცთუ ისე იშვიათია. ერთი სიტყვით, პროექტში, რომელიც წელიწადნახევრის მანძილზე მუშავდებოდა, ჩადებულია არა გარკვეული ეთიკური აკრძალვებიც,"** - აცხადებს გიორგი ტურაზაშვილი, რომელიც ადვოკატებს კონსოლიდაციისკენ და სამართლებრივად მოწესრიგებისკენ მოუწოდებს.

**"ვფიქრობ, დაიწყება პროცესები, რაც მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველოს სამართლებრივად მოწესრიგებული, ეთიკური და პროფესიონალი ადვოკატები ეყოლება.**

**მოვწესრიგდეთ სამართლებრივად, ეთიკურად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენს თავზე ავიღოთ გარკვეული ვალდებულებები და ვუსურვოთ ერთმანეთს დიდი წარმატება. ყოველივე ეს იქნება დასაწყისი ჩვენი პროფესიული რეპუტაციის მოპოვებისა და მართლმსაჯულების ხელშეწყობისა,"** - აცხადებს გიორგი ტურაზაშვილი, რომელიც იმ ადვოკატთა ჯგუფის წევრია, რომლებიც ადვოკატთა ასოციაციას ქმნიან.

*24 საათი*

# ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი დააკავეს

გუშინ, გამთენიისას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციისა და სოფელ ზედა ეწერის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს. სამართალდამცველებმა, როგორც თავად აცხადებენ, ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს, რომ შეიარაღებული, ნიღბიანი ყაჩაღები სოფელ ლიაში მცხოვრებ სამუშიების ოჯახში იყვნენ შეჭრილი. **"ინფორმაციის მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილზე გავედით. სამუშიების საცხოვრებელ სახლს, სადაც თავდამსხმელები იყვნენ, ალყა შემოვარტყით და ყაჩაღებს დანებება შევთავაზეთ, რაზეც უარი მივიღეთ. სიტუაციის გართულებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, იძულებულები გავხდით, კრიმინალებისთვის სამუშიების სახლის მიმდებარე ტერიტორიის დატოვების საშუალება მიგვეცა,"** - განგვიცხადეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში.

შემთხვევის ადგილიდან პრობლემის გარეშე გაშვებულ ყაჩაღებს სამართალდამცველები დაედევნენ და ისინი ზუგდიდის რაიონის ზედა ეწერის საავტომობილო გზის მონაკვეთზე დააკავეს.

**"დაკავებულია სერიოზული, საშიში შეიარაღებული დაჯგუფების სამი წევრი. ზუგდიდის მკვიდრი იონანიძე, სოფელ ნაბაკევის მკვიდრი კუპრავა და ბანდის მეთაური ლაკერბაია ზუგდიდის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. მათთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, შესაძლოა, ადრე მომხდარ მძიმე დანაშაულებს აეხადოს ფარდა, რადგან, დანამდვილებით ვიცით, რომ ეს დაჯგუფება აფხაზ კრიმინალებთან შეთანხმებით მოქმედებდა. კრიმინალთა ეს ჯგუფი სისტემატურად აყაჩაღებდა აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას. ლაკერბაიას ბანდაში აფხაზი კრიმინალებიც არიან,"** - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი მერაბ გერგაია.

*24 საათი*

# ვახტანგ რჩეულიშვილის ვაჟიშვილი 30 დღეს პატიმრობაში გაატარებს

ვახტანგ რჩეულიშვილის ვაჟი გურამ რჩეულიშვილი საპატრულო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, 30 დღეს პატიმრობაში გაატარებს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ რჩეულიშვილს პატიმრობა შაბათს, გვიან ღამით შეუფარდა. მასთან ერთად პატიმრობაში არიან, აგრეთვე, გურამ რჩეულიშვილის სამი მეგობარი - ირაკლი გაბაშვილი, დავით სალაძე და ალექსანდრე თაყაიშვილი.

ინციდენტი 21 იანვარს მოხდა. ოთხივე პირი ნასვამ მდგომარეობაში, "ჯიპის" მარკის შავი ავტომობილით მოძრაობდა. მათ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მოძრაობის წესები დაარღვიეს, შემდეგ კი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს. დაკავებულები ამჟამად ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს საკანში იმყოფებიან.

ცნობისთვის: თავად ვახტანგ რჩეულიშვილი და მისი მეუღლე მაია რჩეულიშვილი ამ ინციდენტის დროს იტალიაში იმყოფებოდნენ. იტალიიდან ისინი 25 იანვარს ბრუნდებიან, თუმცა, როგორც მათი ოჯახის მეგობარმა, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი მინდელმა "მედია-ნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, გურამ რჩეულიშვილის მშობლები მისთვის 30-დღიანი პატიმრობის შეფარდებას პოლიტიკას არ უკავშირებენ.

*მედია-ნიუსი*

# გენერალ მურად ცინცაძისა და მისი ვაჟის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო

გუშინ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მამა-შვილი მურად და მერაბ ცინცაძეების წინააღმდეგ აღძრული საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

აჭარის შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი მურად ცინცაძე, გენერალ რომან დუმბაძის შემდეგ, მეორე გენერალი იყო, რომელმაც აჭარაში მშვიდობიანი რევოლუციის დროს საქართველოს ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოსვლის შესახებ ოფიციალურად განაცხადა.

პროკურატურა მურად ცინცაძეს და მის ვაჟს - ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის ყოფილ უფროსს მერაბ ცინცაძეს მიტინგების დარბევაში და სხვისი ქონების დაზიანებაში ადანაშაულებს. აღნიშნული ბრალდება ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მურად და მერაბ ცინცაძეების ადვოკატებმა მართლმსაჯულებას მათი დაცვის ქვეშ მყოფებისთვის აღმკვეთი ღონისძიების - წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შიდა პატიმრობით შეცვლა მოსთხოვეს.

**"ჩვენ სასამართლოს ექსპერტთა დასკვნას წარვუდგენთ, რომლის მიხედვითაც მურად ცინცაძე მძიმედ არის დაავადებული. იგი ამ წუთებში ონკოლოგიურ საავადმყოფოში კანის კიბოს დიაგნოზითაა მოთავსებული,"** - აცხადებენ ადვოკატები.

*ინტერ-პრესი*

# ერთ თვეში - სისხლის სამართლის რვა საქმე

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეგზავნის მცდელობაზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში სისხლის სამართლის ცხრა საქმეა აღძრული.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის შალვა აბუსერიძის ინფორმაციით, 2004 წლის დეკემბრის ბოლოდან დღემდე N1 საპყრობილის თანამშრომლებმა აღკვეთეს საპყრობილეში "ბუპრენორფინის" შეგზავნის ხუთი, ხოლო "ჰეროინის" შეგზავნის სამი ფაქტი. ნარკოტიკული ნივთიერებები, შეფარული გზით, მოთავსებული იყო ამანათებში. განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 1,812 გრამი "ჰეროინის" შეგზავნას საპყრობილეში თბილისელი ჰამლეტ ტ-შვილი ცდილობდა. ამანათი, რომელშიც აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება იყო მოთავსებული, ტ-შვილმა პატიმარ გიგა ბალავაძეს მიუტანა.

*მედია-ნიუსი*

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

## ანკეტა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# აფხაზეთის მართლმსაჯულება და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი

ნატო კორსანტია

*ცხელი თუ დაკონსერვებული კონფლიქტებით დასერილ მსოფლიოში აფხაზეთის დევნილი მართლმსაჯულება, თავისი სპეციალური იურისდიქციის გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ არის მიჩნეული. აფხაზეთის დევნილ სასამართლოებს განსაკუთრებული განსჯადობა 1997 წელს მიენიჭათ. აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 1999 წლის 15 მაისიდან გავრცელდა. აფხაზეთის მართლმსაჯულების თავისებურება ისიც არის, რომ მისი იურისდიქცია გარკვეულწილად ენგურს გაღმა, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეც ვრცელდება. ყოველივე ამაზე გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ თორდია, რომელიც ამავე დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარეა. შესაბამისად, ბუნებრივია, საუბარი ამ საკითხსაც შეეხება.*

- აფხაზეთის მართლმსაჯულების მიერ დევნილობაში დღემდე განვლილი გზა არ ყოფილა იოლად სავალი, ის რთულ პირობებში ყალიბდებოდა და იძენდა ამჟამინდელ სახეს, უფრო კონკრეტულად კი, აფხაზეთის საერთო სასამართლოების საქმიანობის მასშტაბებზე კარგად მეტყველებს მათ მიერ 1999 წლის 15 მაისიდან დღემდე განხილული საქმეების რაოდენობა და ხასიათი. კერძოდ, ამ პერიოდში აფხაზეთის საერთო სასამართლოებმა სულ განიხილეს 21136 საქმე, მათ შორის 1967 სისხლის სამართლის საქმე, 18516 სამოქალაქო საქმე და 653 ადმინისტრაციული საქმე. გარდა ამისა, განიხილეს 2828 საგამოძიებო საქმე. ცალკე უნდა გამოვყოთ, რომ მხოლოდ წლეულს გალის რაიონულმა და გულრიფშის რაიონულმა სასამართლომ განიხილა გალის რაიონში ჩადენილ დანაშაულებებზე წარმოებული 50-მდე სისხლის სამართლის საქმე. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დევნილი მართლმსაჯულების იურისდიქცია და მისი მოქმედების არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც ვრცელდება. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი კოდორის ხეობის გარდა, ის გალისა და გულრიფშის რაიონებსაც მოიცავს და ზოგჯერ მდინარე ფსოუმდეც კი აღწევს.

**- საინტერესოა, ძირითადად რა სახის დანაშაულები ხდება აფხაზეთში, თქვენთან შემოსული საქმეები რა სპეციფიკით ხასიათდება?**

- მათი ხასიათი წლების მანძილზე ერთგვაროვანია: მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა, კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა, ნარკოტიკული ნივთიერებების მოყვანა-მოხმარება, იარაღის უკანონოდ შენახვა-გამოყენება და სხვა. გალის რაიონში ჩადენილ დანაშაულობათა საერთო ტენდენციის ახსნა კი შეიძლება იმ რეალობით, რომ ეს ტერიტორია არაკონტროლირებადია, იქ გაბატონებულია განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი, რის გამოც ესა თუ ის დანაშაული ადამიანთა გარკვეული ნაწილის ცხოვრების წესადაც კი იქცა.

იმ დროს, როცა იქ, ენგურს გაღმა არ არსებობს ყოველივე ამის შემაკავებელი არანაირი მექანიზმი (ეგრეთ წოდებული, აფხაზი სამართალდამცავები ხშირ შემთხვევაში იმ დანაშაულობათა თანამონაწილენი არიან), აფხაზეთის მართლმსაჯულება, შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების ძალისხმევით, თავის სიტყვას ამბობს და იქაც, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეც კი ზღვარს უდებს დანაშაულობათა აღზევებას.

**- თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ აფხაზეთის მართლმსაჯულება ზოგ შემთხვევაში ფსოუმდეც კი აღწევს, კონკრეტულად რომელიმე საქმეს ხომ არ დაასახელებდით?**

- ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მდინარე ფსოუზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე. 2003 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ, ტიუმენის ოლქში მცხოვრებმა ი.კ.-მ მდინარე ფსოუდან უკანონოდ, ვიზის გარეშე გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, შემოვიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემდეგ მდინარე ენგურის გავლით გადმოვიდა ქ. ზუგდიდში.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საბრალდებო დასკვნის დამტკიცების შემდეგ, საქმე ქვემდებარეობით განსახილველად გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულ სასამართლოს გადაუგზავნა. გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ იმ მოტივით, რომ დანაშაული ჩადენილია ქ. ზუგდიდში, საქმე არსებითად განსახილველად გადაუგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც თავის მხრივ, ანალოგიური მოტივით, როგორც მისი არაგანსჯადი, საქმე წარმოებაში არ მიიღო.

ორ სასამართლოს შორის წარმოშობილი დავის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა მოუხდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ კონსტანტინე კემულარიას, რომელმაც დაადგინა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის დადგენილება), რომ მოცემული საქმე დანაშაულის ჩადენის ადგილის შესაბამისად, რადგან ბრალდებულმა ი.კ.-მ საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე - მდინარე ფსოუზე, განსჯადობით უნდა განიხილოს გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონულმა სასამართლომ.

ამ დადგენილებას არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ჟღერადობაც გააჩნია. საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას სწორედ მდინარე ფსოუზე, სადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ვრცელდება გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქცია და ამ შემთხვევაში ეს რეალურად განხორციელდა კიდეც.

**- პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის მართლმსაჯულებას, სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობაზე. ამის მიზეზი კი იქ არსებული კრიმინალურ-კლანური დაჯგუფებები იყვნენ, რომელთაც საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები მთლიანად გამოდევნილი ჰყავდათ ხეობიდან. ამ თვალსაზრისით, რა პერსპექტივა ისახება საქართველოს ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?**

- საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკვე გადადგა პრინციპული ნაბიჯები კოდორის ხეობაში სამართლებრივი ორგანოების მწყობრი სისტემის შესაქმნელად. ეს უზრუნველყოფს იქ ჩადენილ დანაშაულობათა გამოვლენასა და მოკვლევა-გამოძიების წარმართვას, რაც ბუნებრივია, სასამართლოს საქმიანობაზეც და შესაბამისად, მომავალში კოდორის ხეობიდან შემოსულ საქმეთა რაოდენობაზეც აისახება. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის დევნილი მართლმსაჯულება მსგავსი აქტიური მოქმედებისათვის მზადაა. კერძოდ, ზუგდიდში დისლოცირებული გალის რაიონული და გულრიფშის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე - ნოდარ ცალანი, იმ კუთხის მკვიდრი, მზადაა, კოდორის ხეობაში მართლმსაჯულება განახორციელოს.

**- ბატონო ვახტანგ, აფხაზეთის დაკონსერვებული პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უმთავრესად აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის შემუშავება მიიჩნია. თქვენ ბრძანდებით თავმჯდომარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიისა, რომელმაც კონცეფციის შეჯერებული ვარიანტი უნდა შეიმუშაოს. როგორ და რა პრინციპით მუშაობს ეს კომისია და რა სტადიაშია ეს პროცესი?**

- სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიამ, რომლის წევრებიც არიან ცნობილი იურისტები, უპირველესად კონსტიტუციონალისტები, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, უცხოელი ექსპერტები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის საბოლოო ვარიანტი კომისიაში შემოსული შესაბამისი პროექტების შეჯერებით უნდა შეიმუშაოს. ამ ეტაპისათვის კომისიაში შემოტანილია კონცეფციის რამდენიმე ვარიანტი. კერძოდ, პაატა ზაქარეიშვილის, კონსტანტინე კუბლაშვილის, არჩილ გეგეშიძისა და ივლიანე ხაინდრავას კონცეფცია "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ"; ნოდარ ნათაძის "აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარანტირებული აღდგენის კონცეფცია"; შოთა მალაშხიას "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამუშაო გეგმა-პროექტი"; გია ხუბუასა და მალხაზ პატარაიას მოსაზრებები აფხაზეთის სტატუსზე და სხვა. რამდენიმე პროექტს კიდევ ველოდებით. წარმოდგენილ კონცეფციათაგან ყველაზე ფუნდამენტური და ყოვლისმომცველია პაატა ზაქარეიშვილის, კოტე კუბლაშვილისა და მათ თანამოაზრეთა კონცეფცია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კონცეფციამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც განსაკუთრებით ეხება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხს, როგორი უნდა იყოს იგი: უნიტარული თუ ფედერაციული.



*წარმოდგენილ კონცეფციათაგან ყველაზე ფუნდამენტური და ყოვლისმომცველია პაატა ზაქარეიშვილის, კოტე კუბლაშვილისა და მათ თანამოაზრეთა კონცეფცია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კონცეფციამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რაც განსაკუთრებით ეხება საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხს, როგორი უნდა იყოს იგი: უნიტარული თუ ფედერაციული.*

ჩვენ სათითაოდ განვიხილავთ მათ და უახლოეს პერიოდში ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გავიტანთ. იმედია, განხილვის პროცესში სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიის წევრებთან ერთად საზოგადოების სხვა ფენებიც აქტიურად ჩაებმებიან. ამ დღეებში კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მისი თავმჯდომარის თემურ მჟავიასა და დეპუტატ ჯემალ გამახარიას ინიციატივით, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, წარმოდგენილი კონცეფციების განხილვა შედგება. შემდგომში კი ანალოგიური ხასიათის შეკრება იგეგმება თსუ სოხუმის ფილიალში. გარდა ამისა, ამ საკითხზე ჩაფიქრებულია საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

საბოლოოდ, უნდა შევიმუშაოთ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების, აფხაზეთის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსის ისეთი ვარიანტი, რომელიც მისაღები იქნება, როგორც საქართველოს ხელისუფლებისათვის, ისევე, მთელი საქართველოსათვის, რა თქმა უნდა, დევნილთა და აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ჩვენი კომისია ცდილობს, ეს პროცესი მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე გახადოს და მასში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაებან, რათა შემუშავებული კონცეფცია საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც მისაღები იყოს.

**- თქვენ, როგორც სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარესა და, როგორც იურისტს, ალბათ, გაქვთ თქვენი გამოკვეთილი პოზიცია აფხაზეთის სტატუსთან, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.**

- რამდენიმე წლის წინათ მეც შევიმუშავე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის პროექტი, რომელიც სხვა პროექტებთან ერთად განხილულ იქნა პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სხდომაზე. უპირველესად, პრიორიტეტულად მიმაჩნია, განისაზღვროს აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი იქნება საქართველოს შემადგენელი ნაწილი. საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში კი აფხაზეთს უნდა ჰქონდეს უფართოესი ავტონომია, როგორსაც კი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები ითვალისწინებს. აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ისეთი სტატუსი, როგორიც იქ მცხოვრები ყველა მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს დაიცავს. ყოველივე ეს გაცხადებული უნდა იყოს აფხაზეთის კონსტიტუციით და საქართველოს კონსტიტუციური კანონით "აფხაზეთის სტატუსის შესახებ".

ამ შემთხვევაში იგულისხმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევიან არა მხოლოდ აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, არამედ საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ აფხაზეთი, აგრეთვე, მათი შვილები. ეს მეტად მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ნორმაა და მკაფიოდ მიჯნავს აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ იქ ჩამოსულ უთვისტომოებს აფხაზეთის მკვიდრთაგან.

აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შემუშავებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის (ქართველებისა და აფხაზების) ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და თვით აფხაზეთისათვის მაქსიმალური უფლებამოსილებების მიკუთვნებაზე ერთიან ქართულ სახელმწიფოში. ხოლო საქართველო ფედერაციული იქნება თუ უნიტარული, ეს თვით საქართველოს ხელისუფლების, ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს გადასაწყვეტია. მით უმეტეს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არის მთელი რიგი პრეცედენტები, როცა უნიტარული სახელმწიფოების რეგიონებს გაცილებით მეტი უფლებამოსილებები (კომპეტენციები) გააჩნიათ, ვიდრე ფედერაციის სუბიექტებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, გარდა ესპანეთისა და იტალიის გამოცდილებისა, დანიის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმები.

რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე და მესამე მუხლების დებულებები. სტატუსის შემუშავებისას, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის დებულება, რომ როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში საკითხები წყდებოდეს არა უმრავლესობითა და ძალადობით, არამედ კონსენსუსის გზით, სათანადო მექანიზმების შემუშავებით.

**- მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ქართული საზოგადოების ერთ ნაწილთან ერთად აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას ცდილობს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სულ ამაოდ მიიჩნევენ ამ ძალისხმევას იქამდე, ვიდრე ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობა არ აღდგება, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება ხმამაღლა არ განაცხადებს, რომ ის არ აპირებს აფხაზეთის ძალისმიერი გზით დაბრუნებას, ვიდრე აფხაზეთს ბლოკადა არ მოეხსნება და არ გაიხსნება რკინიგზა აფხაზეთის გავლით. თქვენთვის რამდენად მისაღებია ამგვარი მიდგომა?**

- მიმაჩნია, რომ ამგვარი დამოკიდებულება მეტად საზიანოა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი სუვერენიტეტისათვის, რამეთუ ეს გულისხმობს აფხაზეთის არალეგიტიმური ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას ისე, რომ საქართველო სანაცვლოდ არაფერს იღებს. ეს ნიშნავს მტრის წისქვილზე წყლის დასხმას და მისი საქმის კეთებას.

რაც შეეხება აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას, იქ სათანადო დაცვის მექანიზმების შექმნისა და დევნილთა დაბრუნების გარეშე, შეიძლება, გახდეს დამაჩქარებელი ფაქტორი აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაციისა, რის დიდ სურვილსაც რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები არც მალავენ. ეს კი საბედისწერო იქნება, როგორც ქართველების, ისე აფხაზებისთვისაც. ამის დასტური იყო ამას წინათ აფხაზეთში ჩატარებული, ეგრეთ წოდებული, პრეზიდენტის არჩევნები, რომლის დროსაც მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთის პოზიცია, თუ რამდენად ითვალისწინებს აფხაზი ხალხის ნებას, მის არჩევანს და რაოდენ დიდ ეგზეკუციას უმზადებს თუნდაც რუსეთის მოქალაქეებად კანონდარღვევით ქცეულ აფხაზეთის მკვიდრთ, იგივე საქართველოს მოქალაქეებს. ამის გამოხატვის მწვერვალი იყო აფხაზეთისათვის საზღვრის გადაკეტვა ფსოუზე, სოხუმსა და სოჭს შორის სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა და მოსახლეობისათვის პენსიების შეწყვეტის მუქარა. ყოველივე ამით რუსეთმა აფხაზები აიძულა, ჩაეტარებინათ ხელმეორე არჩევნები და მიეღოთ მისთვის მისაღები შედეგი, რაც გულისხმობდა სასურველი ვიცე-პრეზიდენტის ყოლას უპრეცედენტოდ ფართო უფლებებით. ყოველივე ეს განხორციელდა მას მერე, რაც რუსეთმა საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგოდ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უგულებელყოფით, აფხაზეთის მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა. ამ ნაბიჯით რუსეთი, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, როგორც საქართველოს ოკუპანტი, მისი ტერიტორიის ანექსიის ავტორი. მეორე მხრივ, რუსეთმა ამით აფხაზებს უჩვენა, რომ არ აინტერესებს მათი პოლიტიკური ნება და უხეში ჩარევით აიძულა, არჩევნები ხელმეორედ ჩაეტარებინა. ამგვარი დამპყრობლური პოლიტიკის მატარებელი რუსეთი ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სათავისოდ გამოიყენებს აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნას და აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას.

**- ყოველივე ამის ფონზე რამდენად პერსპექტიულად გესახებათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად საქართველოს დევნილი მოსახლეობის უფლებათა დაცვა?**

- იმ ვითარებაში, როცა აფხაზეთში დღესაც სისტემატურად ირღვევა საქართველოს მოქალაქეების უფლებები, ხოლო მათი დამცავი არანაირი მექანიზმი არ არსებობს, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა დამცავი ევროსასამართლოს ფაქტორის, მისი პრაქტიკისა და გამოცდილების გამოყენება აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მეტად მნიშვნელოვანია.

მით უმეტეს, რომ ევროპაში უკვე არსებობს პრეცედენტი, როცა სტრასბურგის სასამართლომ კვიპროსელი ლოიზიდუს და მოლდოველი ილაშკუსა და სხვათა უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა პირველ შემთხვევაში თურქეთს, მეორე შემთხვევაში კი მოლდოვასა და რუსეთს დააკისრა. სხვათა შორის, რუსეთს ამ საქმესთან დაკავშირებით ასი ათას ევროზე მეტის გადახდა მოუწია.

ამ მაგალითების გათვალისწინებით, ამჟამად საქართველოშიც რამდენიმე დევნილის უფლებების და ინტერესების დასაცავად შედგენილია სარჩელი და გაგზავნილია სტრასბურგში. ამასთანავე, მალე გაიგზავნება კიდევ ერთი სარჩელი, რომელიც ეხება აფხაზეთის მკვიდრ დათო ჭიჭინაძის საქმეს. პროფესიით იურისტი დათო ჭიჭინაძე, რომელიც სანადიროდ მიდიოდა, აფხაზებმა დააკავეს წალენჯიხის ტერიტორიაზე, აფხაზეთთან ახლოს, რუსეთის, ეგრეთ წოდებული, დსთ-ს სამშვიდობოების (ფაქტობრივად, რუსეთის ჯარის) მოქმედების არეალში. დათო ჭიჭინაძეს არალეგიტიმურმა, ეგრეთ წოდებულმა, ტყვარჩელის სამხედრო სასამართლომ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს სასჯელი მან გარკვეული ზემოქმედების პირობებში მოიხადა სოხუმის შსს-ს იზოლატორში. საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდება აფხაზეთის მკვიდრი საქართველოს მოქალაქისთვის, ცხადია, სამართლებრივი ნონსენსი იყო.

ამ შემთხვევაში, სარჩელის ავტორების აზრით, სახეზეა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის, მათ შორის თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს და სხვათა დარღვევა. იმედია, სარჩელი სტრასბურგში - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უახლოეს დღეებში გაიგზავნება და იგი რეალურ შედეგს მოგვიტანს, როგორც დამნაშავე პირთა, ისე ბრალეული ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს მხილების თვალსაზრისით.

განახლებული დიდების დარბაზი



B2

ყოველ სამშაბათს



B3

ლუშემბურგო: "არ ვარ ვალდებული, მოთამაშეებს ცვლილებები ავუხსნა"



B4

# ცუნამი - ბუნება, პოლიტიკა, რელიგია

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ გასული წლის დამაგვირგვინებელი აკორდი ინდოეთის ოკეანის წყლებში, სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში მომხდარი აპოკალიპსური ცუნამი გახდა. სიკვდილისა და ნგრევის სტატისტიკა თავზარდამცემია - 120 ათას ადამიანზე მეტი დაღუპული, მილიონამდე დაშავებული და 5 მილიონზე მეტი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი. დაზარალდა არა მხოლოდ ინდოეთის, ინდონეზიის, შრი ლანკისა და ტაილანდის მკვიდრი მოსახლეობა, არამედ, ევროპისა და აშშ-ს ჩათვლით, მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასული ათასობით ტურისტი. შეიძლება ითქვას, რომ ცუნამის ტალღამ მთელ დედამიწას - ანდამატის კუნძულებიდან ნორვეგიამდე - გადაუარა... ეს იყო წარღვნაზე უფრო საშინელი რამ, რადგან გარდასულ, ბიბლიურ ხანაში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა მიზერული იყო.





ტრაგედია იმითაც დამძიმდა, რომ ცუნამგადავლილ რეგიონს ეპიდემიის და შიმშილის საშიშროება დაემუქრა. ახლა იქ ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი წამალი სასმელი წყალია. მომხდარი 9/11-ის ბუნებრივ, ანუ ხელთუქმნელ განმეორებად შეფასდა. თუმცა, ამ "ხელთუქმნელის" მსხვერპლი, როგორც მინიუმ, 25-ჯერ მეტია, ვიდრე ეს 2001 წლის 11 სექტემბერს იყო.

ამის მუხედავად, ცუნამის 9/11-თან თვალსაჩინოებისთვის ადარებენ. ჩვენს დროში სტიქიური უბედურებაც კი პოლიტიკურ ელფერს იძენს. ერთი მხრივ, ტრაგედიამ უნებურად "გაყინა" სამოქალაქო ომები, რომელიც ცუნამგადავლილ რეგიონში მიმდინარეობს - მაგალითად, სუმატრაზე. მეორე მხრივ კი, დაზარალებულთა დახმარების ჰუმანიტარული პრობლემა მყის პოლიტიკურ პრობლემად გადაიქცა. ცუნამის ეპიცენტრშიც შეერთებული შტატები მოექცა.

ვაშინგტონის პირველი რეაქცია ტრაგედიაზე არაადეკვატური და დაგვიანებული აღმოჩნდა. არაადეკვატური იმიტომ, რომ ცუნამის მსხვერპლთა დასახმარებლად პირველად, სულ რაღაც, 15 მილიონი დოლარი გამოიყო. დაგვიანებული კი იმიტომ იყო, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ტრაგედიიდან მხოლოდ მეოთხე დღეს ინება გამოხმაურება. განცხადება თავისი ტეხასური რანჩოდან, კროუფორდიდან გააკეთა. "საგანგებო დახმარების აღმოჩენის" გაეროს კოორდინატორმა იან ეგელენდმა საერთო აზრი გამოხატა და ამერიკას "ძუნწი" უწოდა. თავის განცხადებაში ბუში ამ ბრალდების გაბათილებას შეეცადა. მან თქვა, რომ დახმარების გაწევის საქმეში ამერიკა ყველაზე მაღალ დონეზეა.

მაგრამ, ფაქტები საწინაალმდეგოს მეტყველებენ. 15 მილიონი დოლარიც და 35 მილიონი დოლარიც ნაკლები იყო, ვიდრე ბუშის ინაუგურაციაზე გაწეული ხარჯები (40 მილიონი დოლარი). და საერთოდ, აშშ სულაც არ არის "ყველაზე მაღალ დონეზე", როგორც ამას ბევრი ამერიკელი მიიჩნევს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად აშშ თავისი წლიური ბიუჯეტის მხოლოდ 24 პროცენტს ხარჯავს. სინამდვილეში, ეს დახმარება მხოლოდ ერთი პროცენტის ერთ მეოთხედს შეადგენს! სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა, უარყო ბრალდება სიძუნწის შესახებ და თავის მხრივ განაცხადა, რომ "აშშ-მ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე უფრო მეტი დახმარება გასწია, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ქვეყანამ, ან ქვეყნების კომბინაციამ." მაგრამ, სახელმწიფო მდივანს აშკარად უგანეს "სპიჩრაიტერებმა". 2003 წელს ამერიკამ დასახმარებლად 16,2 მილიარდი დოლარი გამოყო, ევროკავშირმა - 37,1 მილიარდი. 2002 წელს ამერიკამ ამ მიზნებისთვის 13,2 მილიარდი დოლარი დახარჯა, ხოლო ევროსაბჭომ - 29,9 მილიარდი. ვაშინგტონი ხშირად არ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს. ირანში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულები უკვე წელიწადია კარვებში ცხოვრობენ და აშშ-ს დაპირებულ დოლარებს ელიან. 2002 წელს პრეზიდენტმა ბუშმა საზეიმოდ გვაუწყა, "მილენიუმის გამოწვევის" შესახებ, რომლის თანახმადაც, აფრიკას **ყოველწლიურად** 5 მილიარდი დოლარი უნდა გამოყოფოდა. ჯერ-ჯერობით, შავ კონტინენტს არც ერთი "მოწოდების დოლარი" არ მიიუღია (შედარებისთვის: ვაშინგტონი ერაყის ომში **ყოველწლიურად** 4,5 მილიარდ დოლარს ხარჯავს).

ცუნამიზე ვაშინგტონის დაგვიანებული და არაადეკვატური რეაქცია წამგებიანად განსხვავდებოდა მსოფლიო საზოგადოებრიობის რეაქციისგან 11 სექტემბრის ტრაგედიაზე. ახლა იხსენებენ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც თეთრ სახლს მისამძიმრების მიზნით ესტუმრა, ინდონეზიის მაშინდელი პრეზიდენტი მეგავატი სუკარნაპუტრი იყო. ეს მაგალითი აქ საგანგებოდ არის მოყვანილი. ინდონეზიაში ყველაზე მეტი მუსულმანი ცხოვრობს მსოფლიოში. ამიტომ, ვაშინგტონში ღელავენ. როგორც "ნიუ იორკ თაიმსი" წერს, "აშშ-ს დაგვიანებულ და არაადეკვატურ რეაქციას ისლამისტი ექსტრემისტები საშიში მიზნებისთვის გამოიყენებენ."

როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, ეს აზრი ბუშის გარემოცვის შეგნებამდე დავიდა. ტეხასურ რანჩოზე დასვენების ჟამს, ბუშმა შრი ლანკას, ტაილანდის, ინდოეთისა და ინდონეზიის ლიდერებს დაურეკა და მიუსამძიმრა. ამის შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება სტიქიის ზონაში სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაუელის გაგზავნის შესახებ და კომპანიონად საკუთარი ძმა მიუჩინა. ეს იყო მოხერხებული ნაბიჯი - ჯებ ბუში თავად პრეზიდენტს წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი, ის იმ შტატის გუბერნატორია (ფლორიდა), რომელსაც ცოტა ხნით ადრე ქარიშხალი და წყალდიდობა დაატყდა თავს და ჯებს შეეძლო გულწრფელად მიესამძიმრებინა ცუნამით დაზარალებულთათვის. თუმცა, ჯებ ბუშის "ელჩობას" ჩრდილოვანი მხარეც გააჩნია და იმის შესახებ გვახსენებს, რომ აშშ-ს კონგრესმა დაზარალებული ფლორიდელების დასახმარებლად 13 მილიარდი დოლარი გამოჰყო და ეს იმის მიუხედავად, რომ დანაკარგები ახლოსაც ვერ მივა სამხრეთ აზიის ტრაგედიასთან. რა გაეწყობა - საკუთარი პერანგი ტანთან ყოველთვის ახლოსაა და როგორც ამერიკელებს უყვართ თქმა, - ქველმოქმედება სახლში იწყება.

ცუნამის გარშემო ატეხილ პოლიტიკურ წილაბოდილაში "დემოკრატებიც" ჩაერთნენ. ვერმონტის შტატის სენატორი პატრიკ ლიხი სულ ახლახანს დაბრუნდა ერაყიდან და განაცხადა: "მესმოდა, როგორ ტრაბახობდნენ თავისი 35 მილიონით და აღშფოთებისგან კინაღამ გავგიჟდი. ანალოგიურ თანხას ერაყში ყოველდღიურად უზმოზე ვხარჯავდით". ლიხიმ, რომელიც სენატის ასიგნირების ქვეკომიტეტის წევრია, წამოაყენა წინადადება, რომ ერაყის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი 18 მილიარდი დოლარიდან გარკვეული თანხა ცუნამით დაზარალებულთათვის გადაენაწილებინათ.

2004 წლის უკანასკნელ დღეს - 31 დეკემბერს განრისხებული ბუნების მსხვერპლის რაოდენობა 150 ათას ადამიანამდე ავიდა. ვაშინგტონი იძულებული გახდა დახმარება 35 მილიონ დოლარამდე გაეზარდა....

ტრადიციისამებრ, პრეზიდენტი ბუში ახალი წლის წინ რანჩოს ტოვებს და პატარა დასახლების, კროუფორდის ერთადერთ კაფეს სტუმრობს. ამ დასახლებაში, სადაც ერთადერთი შუქნიშანია, ის "ხალხს ეკონტაქტება". შემდეგ მიემართება აგრეთვე ერთადერთ ბენზინგასამართ სადგურისკენ და "საველე პრესკონფერენციას" აწყობს. პრეზიდენტმა არ დატოვა 1 600 აკრი ფართობის რანჩო და საკუთარი თავი არასასიამოვნო შეკითხვა - დაკითხვებისთვის არ გაიმეტა. მისმა წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ "პრეზიდენტი მეგობრებთან ერთობა".

სანამ პრეზიდენტი მეგობრებთან ერთობა, მის მაგივრად ოფლს კოლინ პაუელი ღვრის. როგორც ჩანს, მისი გადადგომის წინ პრეზიდენტის უკანასკნელი დავალებაა. პაუელის წინაშე ორმაგი ამოცანა დგას: "გაათეთროს" საკუთარი ბოსი და საკუთარ თავზე მიიღოს კრიტიკის ცუნამი. აგრეთვე უთავკაცოს ნამდვილი ცუნამისგან დაზარალებულთათვის განკუთვნილ დაგვიანებულ ამერიკულ დახმარებას. პაუელი ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის, მარცხნივ და მარჯვნივ არიგებს ინტერვიუებს, ხოლო კვირა დღის შემდეგ უბედურების ზონაში ინაცვლებს.

თვის მხრივ, პაუელი განტევების ვაცად უშვებს საცოდავ "საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" დირექტორს, ენდრიუ ნაციოს. პაუელთან დაკავშირებით კი საქმე შემდეგნაირად იყო: როგორც ჩანს, ის ნაციოსგან დახმარების თამასის გაზრდის გამამართლებელ ინფორმაციას ელოდა, რათა ამის შესახებ პრეზიდენტისთვის მოეხსენებინა. სამწუხაროდ, "გაფუჭებულმა ტელეფონმა" იმუშავა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა დაფიმ შეგვატყობინა, რომ ერაყისთვის გადადებული ფული ხელშეუხებელი დარჩება, მაგრამ შესაძლებელია, პრეზიდენტმა კონგრესს საგანგებო დახმარების ფონდის შევსების თხოვნით მიმართოს. ამასობაში, ავიამზიდი "აბრაამ ლინკოლნი" და მისი თანმხლები ხომალდები აუჩქარებლად მოძრაობენ ტრაგედიის ადგილისკენ. უფრო ეფექტურად მოქმედებს საჰაერო ხიდი, რომელსაც დაზარალებულებთან სურსათი და მედიკამენტები ჩააქვს, მაგრამ დახმარება "წვეთ წვეთობით" მიდის. ცუნამიმ დაანგრია ადგილობრივი აეროპორტები, ტრანსპორტი, გზები, ელექტროსადგურები. შეწყვიტა სატელეფონო კავშირი...

თითქოს, საგანგებოდ, ცუნამის დაწყების მომენტში დღის სინათლეზე გამოვიდა ორი ავტორის - ჯელი სეილინგისა და დონალდ ტეოდორ სენდერსის წიგნი "მიწისძვრები კაცობრიობის ისტორიაში." თუ საშობაო ცუნამის ავტორთა ძიებას დავურთავთ, "ცუნამი ნელა მწიფდებოდა. ისე როგორც ფრჩხილები იზრდება თითებზე - თვეში მილიმეტრობით." მრავალი საუკუნეების მანძილზე ნაგროვებმა, ბოლოს და ბოლოს, გახეთქა ზღვის ფსკერი და გამოიწვია 200 მეგატონი რყევა და რომელმაც ათასკილომეტრიანი ფრონტით გაშალა ოკეანის სასიკვდილო ტალღა და მოკლა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ხიროსიმაზე ჩამოგდებულმა ატომურმა ბომბმა.

ცუნამი განურჩევლად კლავდა - ინდონეზიის პროვინციის აჯანყებულ ისლამისტებსაც და მათ წინააღმდეგ მებრძოლ სამთავრობო ჯარისკაცებსაც; აღმოსავლეთ შრი ლანკას ტერორისტ "ვეფხვებსაც" და მათზე მონადირე "ვეფხვისმჭერებსაც"; პიგმეებს ანდამატის კუნძულებიდან, რომელთა შესახებ არავის არაფერი სმენია მას შემდეგ, რაც ისინი 1890 წელს შერლოკ ჰოლმსის შემქმნელმა აღწერა; ცუნამის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ ნიაკის ტომები სუმატრაზე, რომლებიც სასიკვდილო ძრწოლვით ადევნებდნენ თვალს, როგორ კეგლებივით დაიშალენ გიგანტური კლდოვანი მეგალიტები; ინდოეთის ოკეანიდან მომავალმა მონუმენტურმა ტალღებმა დაფარეს მალდივის არქიპელაგი; სარფერების ქოხებთან ერთად მიწის ზედაპირიდან გაქრნენ ტაილანდის მეჩეთები, სინაგოგები, ანგლიკანური ეკლესიები და ბუდისტური ტაძრები; გაქრნენ მადრასის სანაპიროს ჰინდუს მისტიციზმის მიმდევარი ხანდაზმულები, რომელნიც ბრძენმა ბუდამ განრისხებული პოსეიდონისგან ვერ დაიცვა.

წიგნში "მიწისძვრები კაცობრიობის ისტორიაში" მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შეაცვლევინა ადამიანებს შეხედულება ბუნებასა და საკუთარ თავზე მბორგავმა დედამიწამ. წიგნში აღწერილია ცნობილი მიწისძვრები. ისეთი, როგორიცაა 1755 წელს, ყველა წმინდანის დღეს მომხდარი ლისაბონის მიწისძვრა, რომლის დროსაც საკათედრო ტაძრების ქვეშ ათასობით მლოცველი დაიღუპა. ეს, ნანგრევების ქვეშ, ხოლო პორტუგალიის ნანგრევებზე კი ხელისუფლებაში მარკიზ პომბალას დიქტატურა მოვიდა. პარიზიდან პარაგვაიმდე არა სეისმურმა, არამედ სოციალურ-პოლიტიკურმა ტალღამ გადაიარა! დიდი პატრიარქი ვოლტერი, ვითარცა ბიბლიური იაკობი, ღმერთს შეერკინა და ეჭვქვეშ დააყენა თეზისი იმის შესახებ, რომ მის მიერ შექმნილი სამყარო ეს ყველაზე კარგია სამყაროებს შორის.

ყველაზე კარგი სამყაროებს შორის? ამის შესახებ ჰკითხეთ იერუსალიმის კედლებს, რომელიც უკანასკნელი 3 ათასწლეულის მანძილზე, დაახლოებით, 40-ჯერ ინგრეოდა. ქალაქმა იცოდა, როგორ უნდა გამოეყენებინა მთაზე მდგარი ტაძრის 600-ტონიანი ბლოკები.... ჰკითხეთ ამის შესახებ სპარტას, რომელიც ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში ცუნამის მსხვერპლი გახდა; ჰკითხეთ, ალექსანდრიას, რომელიც მიწისძვრის მსხვერპლი ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გახდა მკვდარი ზღვის ფსკერზე; ჰკითხეთ კენტერბერის ტაძარს, რომელიც 1382 წელს ბანქოს სახლივით დაიშალა მაშინ, როდესაც მის გუმბათქვეშ ერეტიკოსობისთვის ოქსფორდელ თეოლოგს ჯონ ვეილიფს ასამართლებდნენ; ჰკითხეთ მეზღვაურებს, რომლებიც 1580 წელს ცუნამისგან დაიღუპნენ; ჰკითხეთ ამის შესახებ... მაგრამ, ესეც კმარა ვოლტერის სკეპტიციზმის გასამართლებლად. დედამიწა მხოლოდ იუპიტერსა და მარსთან შედარებით არის საუკეთესო სამყაროებს შორის. რა თქმა უნდა, მათ ზედაპირზე მომხდარ კატაკლიზმებთან შედარებით, 1906 წლის სან ფრანცისკოსა და 1923 წლის ტოკიოს მიწისძვრები ბავშვის გართობაა და სხვა არაფერი. 2004 წლის საშობაო ცუნამი რიხტერის შკალით 9-ბალიანი იყო, მაგრამ ამ შკალას 30-ბალიანი ნიშნულიც აქვს. ასე რომ, "სამყაროში საუკეთესოს" უკეთესი დროებაც ელის.

ეკლესიის მესვეურები გვაფრთხილებენ: სეისმური კატასტროფების ღმერთზე მიწერა არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ უკვე შარშანდელი ცუნამი ფორმალურად, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ არანაკლებ მწველი რელიგიური პრობლემაც გახდა. დავიწყოთ იგივე ვოლტერით. მისი Poete sur le desastre de Lisbonne თეოლოგიისთვის იყო შოკი, რომელიც ღაღადებდა, "ტკივილისა და სიამოვნების ჰარმონიაზე". სამყაროთა შორის საუკეთესო სამყაროში რომ ყველაფერი უკრთესობისკენ მიდის, ეს თითქოს ღმერთისგან იყო კონსტრუირებული. მაგრამ, რა არის ეს "საუკეთესო"? - კითხულობდა ვოლტერი - "დედის მკერდზე მისრესილი ჩვილები? დანგრეულ ნაპირებზე მომაკვდავნი? უბედური ადამიანების ფატალური ქაოსი?" მოგვიანებით, ამის შესახებ და უფრო მძლავრადაც კარამაზოვის პირით დოსტოევსკი იტყვის. თუმცა, ის არა ბუნებრივი, არამედ ადამიანური საზიზღრობების შესახებ ისაუბრებს. მაგრამ, განა ადამიანები ბუნების ნაწილნი და ღმერთის მიერ საკუთარი ხატების მიხედვით არ არიან შექმნილნი?

თეოლოგი ჰარტი წერს: "როგორც ქრისტიანმა, არ შემიძლია ვუპასუხო შეკითხვებს, რომელიც ურწმუნოთ დააკმაყოფილებდა." იმიტომ, რომ ვოლტერის ღმერთი ეს "თეოლოგიური ღმერთი" არ არის, არამედ არის ღმერთი, რომელმაც ყველაფერი შექმნა და ყველაფერზე პასუხისმგებელია... ჰარტი გვახსენებს, რომ იოანეს სახარების მიხედვით, ღმერთი შეაბიჯებს მისდამი მტრულად განწყობილ, მისსავე შექმნილ სამყაროში. "სამყარო იყო მისი შექმნილი, და სამყარო ვერ ხედავდა მას". - შრომის მოხერხებული განაწილებაა - "კარგი" სამყარო არის ის, რაც ღმერთმა შექმნა, "ცუდი" - ის, რომელიც მას არ მიიღებს და არ სცნობს. თითქმის ისეა, როგორც მაიაკოვსკის საბავშვო კლასიკაში - "что такое хорошо и что такое плохо." უფროსებს კი ჰარტი სთავაზობს "არა დამამშვიდებელ კოსმიურ ოპტიმიზმს, არამედ არაგამანადგურებელ ტრიუმფალიზმს, რომელიც

გაგრძელება B6 გვერდზე



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დონ ჟუანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"სავირთხე"
რეჟისორი: ფრანსუა ოზონი
დასი: 1 ლარი
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
“ნიუ იორკის ტაქსი”
დას: 13:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 15:00 სთ.

**ამირანი**
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 15:00; 17:30; 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცული ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**გოეთეს ინტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენა
"ვერნერ ჰერცოგი: ფილმი ფიზიკური უნდა იყოს"

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა
ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სემინარი სტუდენტებისთვის

საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით, ბრიტანული ორგანიზაცია "დიზაინისა და ხელოვნების მიმართულებები" (D&AD) დღეიდან თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის დიზაინის დარგში სემინარს გამართავს.

როგორც ბრიტანეთის საბჭოში განაცხადეს, ადგილობრივ დიზაინერთა ჯგუფი სტუდენტების ნამუშევრებს შეარჩევს და დიდ ბრიტანეთში გააგზავნის. გამარჯვებული სტუდენტების ნამუშევრები ყოველწლიურ სტუდენტურ გამოცემაში მოხვდება, განთავსდება ტალანტთა საძიებელ ვებგვერზე. პირველი და მეორე ადგილების მფლობელები კი ჯილდოს - "იელოუ პენსილ" მიიღებენ. ეს ჯილდო საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, როგორც საუკეთესო ხარისხის ნიშანი. დაჯილდოება მოეწყობა კატეგორიებში - რეკლამა, გარემოს დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, ილუსტრაცია, აფიშის რეკლამა, სატელევიზიო გრაფიკა და რეკლამა, ვებ-დიზაინი, პრესის რეკლამა და სხვა. ***ინტერ-პრესი***

# ყინული ფრანკფურტის სცენაზე

ახალი თეატრალური ტალღის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წარმომადგენელს, ლატვიელ ალვის ხერმანისს ფრანკფურტში ვლადიმერ სოროკინის სკანდალური რომანის - "ყინულის" დადგმა შესთავაზეს. სპექტაკლის ქვესათაური იქნება: "წიგნების კოლექტიური კითხვა წარმოსახვის დახმარებით".

ეს არ არის სოროკინის პირველი თეატრალური დადგმა გერმანიაში. უფრო ადრე ფრანკ კასტორფმა ბერლინის "ფოლკსბიუნში" სოროკინის "საქონწინო მოგზაურობა" განახორციელა.

ახალი რიგის თეატრის ხელმძღვანელი ალვის ხერმანისი საკმაოდ ცნობილია ევროპაში ფესტივალებიდან - "ავინიონი" და "ბალტიური სახლი". 2003 წელს ხერმანისი ახალგაზრდა რეჟისორების პრემიის ლაურეატი გახდა; მისმა "რევიზორმა" კი საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია.

# გარდაიცვალა "ბესამე მუჩოს" ავტორი



მეხიკოს ერთ-ერთ საავადმყოფოში მექსიკელი კომპოზიტორი კონსუელო ველასკესი გარდაიცვალა.

84 წლის კომპოზიტორს ნოემბერში გულის შეტევა ჰქონდა, რის შემდეგაც ჯანრთელობა გაუუარესდა. გარდაცვალების მიზეზიც ეს გახდა.

ველასკესს ეკუთვნის მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერა Besame Mucho. მელოდია, რომელიც მსოფლიო ჰიტი გახდა, მექსიკელმა კომპოზიტორმა 1941 წელს დაწერა; Besame Mucho შეასრულა "ბითლზმა", საოპერო მომღერლებმა: პლასიდო დომინგომ და ხოსე კარერასმა; ასევე ლუი არმსტრონგმა, ელა ფიცჯერალდმა და ფრენკ სინატრამ ველასკესმა ფორტეპიანოზე დაკვრა 4 წლის ასაკში დაიწყო; მსოფლიო აღიარება კი 16 წლისამ მოიპოვა.

# განახლებული დიდების დარბაზი




ბობ მარლის სიმღერა No Woman No Cry და "როლინგსტოუნზის" ალბომი Let It Bleed "გრემის" დიდების დარბაზში შეიყვანეს. ხმისჩამწერ აკადემიას დიდების დარბაზში შეაქვს ჩანაწერები, რომლებიც მინიმუმ 25 წლის წინათ გამოქვეყნდა. დღეისათვის დარბაზი 659 ნაწარმოებს ითვლის.

წლეულს დამატებული ფირფიტებიდან უმრავლესობა ხმისჩამწერი ინდუსტრიის განვითარების ადრეულ ეტაპზეა გამოცემული. მათ შორისაა: 1911 წელს ჩაწერილი არტურ კოლინსისა და ბაირონ ჰარლენის Alexander's Ragtime Band; ელ ჯოლსონის 1924 წლის სიმღერა California Here I Come; ასევე ბინგ ქროსბისა და ფრენკ სინატრას ჩანაწერები.

# დებიუტი ოპერაში



სახელოვანმა ბერლინელმა ქორეოგრაფმა და მოცეკვავემ საშა ვალცმა ოპერის დადგმაში სცადა ბედი. ჰენრი პერსელის Dido & Aeneas-ს პრემიერა ლუქსემბურგში 29 იანვარსაა დაგეგმილი. თებერვალში კი სპექტაკლს ბერლინელი მაყურებელი გაეცნობა. წარმოდგენა ბერლინის ოპერის სცენაზე გაიმართება.

# ირაკლი ფირხცალავა თბილისში



რუსული ესტრადის ვარსკვლავი ირაკლი ფირხცალავა თბილისში ჩამოვიდა. მომღერლის სტუმრობის მიზანია, თავად აწარმოოს პიარ-კამპანია დაგეგმილი კონცერტისთვის. კონცერტს ირაკლი ფირცხალავა მარტის დასაწყისში, სპორტის სასახლეში გამართავს. კონცერტის ორგანიზატორია პროდიუსერი ნატო დუმბაძე.

"თბილისისთვის სპეციალური პროგრამის მომზადებას ვგეგმავ. სიურპრიზს ვუმზადებ ქართველ მსმენელს, ჩაიწერება ასევე ახალი სიმღერები", - აღნიშნა მომღერალმა. ირაკლი ფირცხალავა 2003 წლიდან "ფაბრიკა ზვიოზდ 2"-ის მონაწილეა. "ფაბრიკა ზვიოზდ" რევოლუციური პროექტია. რუსული ტელევიზიების ეკრანებზე მხოლოდ ის ჩანდა, ვისაც ფული ჰქონდა. დღეს კი ახალგაზრდა ნიჭიერ შემსრულებლებს რუსეთში საშუალება ეძლევათ იმღერონ და საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ", - აღნიშნა მომღერალმა.

ირაკლი ფირცხალავა საქართველოში სამი წელია, არ ყოფილა. თბილისში ის გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ ახერხებდა ჩამოსვლას. ირაკლი ფირცხალავა 1990 წლიდან ჯგუფში "ტეტ-ა-ტეტ" მოღვაწეობს. მისი პროდიუსერი შოუ-ბიზნესის ცნობილი სახე მაქს ფადეევია. ფირცხალავას ცნობილი ჰიტებია - "ვოვა ჩუმა" და "ლონდონ-პარიჟ". ***ინტერ-პრესი***

# ელვისის მაისი



მაისში ელვის პრესლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სერიაა დაგეგმილი. ყველაფერი დაიწყება 3 მაისს, როდესაც მკითხველი მიიღებს წიგნს Elvis by the Presleys, ლეგენდარული მუსიკოსის მეუღლის - პრისცილასა და ქალიშვილის - ლიზა-მარის ავტორობით. გამოცემა აქამდე გამოუქვეყნებელი, საოჯახო ფოტოებითაც იზიდავს დაინტერესებულ წრეებს.

წიგნის გამოცემიდან ათი დღის შემდეგ, ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში გავა ამავე სახელწოდების დოკუმენტური გადაცემა, სადაც მაყურებელი იხილავს ექსკლუზიურ ინტერვიუებს როგორც ლიზა-მარისთან, ისე პრისცილასა და მის მშობლებთან. ფილმში გამოყენებული იქნება ოჯახური ვიდეოს კადრები - უცნობი საკონცერტო გამოსვლები. მაისისთვის იგეგმება ორმაგი კომპაქტ-დისკის გამოშვებაც; დისკებზე თავმოყრილი იქნება სატელევიზიო გადაცემების საუკეთესო მომენტების, ასევე იშვიათი მუსიკალური ნომრების კომპილაცია. ამავე თვეში მაყურებელი იხილავს მინისერიალს "ელვისი", სადაც ოთხ ეპიზოდში მთავარ როლს ასრულებს ბრიტანელი მსახიობი ჯონათან რის მაიერსი. ფილმი დაფუძნებულია როკ-ენ-როლის მეფის ბიოგრაფიაზე.

# სიმართლე "ოაზისისგან"




როგორც იქნა, ცნობილი გახდა, თუ რას დაარქმევს ჯგუფი "ოაზისი" თავის მორიგ სტუდიურ ალბომს. Don't Believe The Truth - საბოლოოდ ეს ვარიანტი შეირჩა ჩანაწერისთვის, რომელიც მაისში უნდა გამოვიდეს. მართალია, ალბომი ორმაგი აღარ იქნება, თუმცა მუსიკოსებს მიაჩნიათ, რომ მსმენელი მაინც კმაყოფილი დარჩება. "66 სიმღერა გვქონდა დაწერილი, მაგრამ ალბომში მათ შორის 11 ან 12 საუკეთესო შევა. ძალიან მიხარია, რომ მუშაობას ალბომზე, რაც ასე გაგვიგრძელდა, ვასრულებთ", - განაცხადა ნოელ გალაჰერმა. NME-ისთან ინტერვიუში მართალია, ნოელს არ უთქვამს, რომ ალბომი საუკეთესოა ჯგუფის დისკოგრაფიაში (რასაც მუსიკოსები ხშირად მიმართავენ ხოლმე), მაგრამ ის კი განაცხადა, რომ Don't Believe The Truth ჯგუფის უკანასკნელ სამ სტუდიურ ჩანაწერს ბევრად სჯობს. ჯერჯერობით მუსიკოსებს არ გადაუწყვეტიათ (ყოველ შემთხვევაში, არ ამჟღავნებენ), თუ რომელ სიმღერას გამოუშვებენ სინგლად.

ალბომის გამოსვლასთან დაკავშირებით "ოაზისი" ზაფხულში ბრიტანულ ტურნეს იწყებს. აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტზე დასასწრები ბილეთები უკვე თითქმის მთლიანად გაყიდულია.

# Coito - ergo sum

## როცა თუთიყუში გადაგიფრენს

ანა კორძაია-სამადაშვილი



ის, რის შესახებაც მინდა გიამბოთ, დიდი ხნის წინათ დაიწყო, გასული საუკუნის სამოციან წლებში, თან ისე კი არა, თქვენ რომ გგონიათ, - თმაში ყვავილების ჩაბნევით და როკენ-როლით, არამედ ერთი საძაგელი, ხმამაღალი სასამართლო პროცესით.

ვინმე კერილ ჩესმენმა, ორგზის ნასამართლებმა მამაკაცმა, შეიარაღებული ძარცვა არ იკმარა და იქვე რამდენიმე ქალიც გააუპატიურა. ცხადია, კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის თანახმად გამოტანილი სასიკვდილო განაჩენიც არ ჟღერდა განსაცვიფრებლად. მაგრამ იმ თორმეტი წლის განმავლობაში, რომელიც ციხეში გაატარა, ჩესმენმა ისეთი შემართებით იბრძოლა თავისი სიცოცხლის გადარჩენისა და სიმართლის დამტკიცებისთვის, რომ მისი მეტისმეტად ექსცენტრული, ზოგიერთთა აზრით, პათოლოგიური საქციელი ორი თაობის, მამათა და შვილთა ერთ-ერთი პირველი უთანხმოების საგანი გახდა.

ის, რომ ასეთი პათოლოგია შეიძლება ამბოხების მამოძრავებელი ძალა ყოფილიყო, თავის დროზე უმუშევრობის წინააღმდეგ მებრძოლ, ესპანეთისთვის თავდადებულ, ჰიტლერიზმთან დაპირისპირებულ მამების თაობას ვერც კი წარმოედგინა. მით უფრო გაუსკდათ გული მეორე მსოფლიო და კორეის ომების მოკლედ თმაშეკრეჭილ ვეტერანებს, როცა მათმა შვილებმა იხუვლეს, სიყვარულის თავისუფლებას ვითხოვთო, და ახალი ტრუბადურის, ვიღაც თმაგაჩეჩილი, ხმაჩახლეჩილი ჰიბინგელი ებრაელის, ბობ დილანის სიმღერების აკომპანემენტის ქვეშ გარეწარი კერილ ჩესმენის გათავისუფლების მოთხოვნით გაცვივდნენ ქუჩაში.

მანამადე, 1958 წლის ერთ მშვენიერ დღეს, ალაბამას შტატში ერთი შავკანიანი ქალი, სახელად როზა პარკსი, ავტობუსში ავიდა და წინა სკამზე დაჯდა, - ძალიან დაღლილი იყო და აღარ ახსოვდა, რომ ზანგი იყო და ამის უფლება არ ჰქონდა; და ამ ერთი შეხედვით არაფრისმომცემი საქციელით, ქალბატონმა როზამ დიდი, მანამდე მიძინებული, მაგრამ გაღვიძებისთვის უკვე მზადმყოფი შავკანიანთა მოძრაობა და დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი გააღვიძა, და სწორედ მისი წყალობაა, დღეს თუ არ გვრცხვენია, რომ თეთრკანიანები ვართ.

გარდა ამისა, 1959 წელს ერთი მდიდარი კუბელების ვაჟი, სიმპათიური, ახალგაზრდა, თავის გამარჯვებულ რევოლუციურ რაზმთან ერთად სიერა-მაესტრადან დაეშვა და ბატისტა გააქცია. რა ბიჭი იყო ჩე გევარა, რომ შეერთებული შტატებიდან სულ რაღაც ოთხმოცდაათი მილის მოშორებით გაბედა რევოლუციური ცეცხლის აგიზგიზება! მოგწონთ მისი საქციელი თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ იმაში, რომ ჩე სექს-სიმბოლოა, ნამდვილად ვერ შემედავებით.

და ყველაფერ ამის, და კიდევ მრავალი ამბის ფონზე (რომელთა ნაწილიც დღევანდელი გადასახედიდან ალბათ ბრიყვულად გეჩვენება), ახალმა თაობამ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო და თავისი რევოლუცია ააგორა; პრინციპში, ისეთივე, როგორც მრავალი სხვა რევოლუციაა ხოლმე: იდეალისტური სულისკვეთებით განმსჭვალული და მრავალი მსხვერპლის გამომწვევი.

...მერე ეს რევოლუციონერები, სხვა რევოლუციონერების დარად, სათნო და საქმიან ბურჟუებად იქცნენ. ეს ისტორიები მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ გამეხსენებინა, საიდან დაიწყო სექსუალურ რევოლუციად წოდებული ამბავი, რომელიც, სადაც სამართალია, ჩვენც უნდა შეგვხებოდა და ჩვენ, მრავალი ომის, ჯანდაბის და უბედურების შემდეგ, იმას მაინც უნდა მივმხვდარიყავით, რომ ომს სიყვარული სჯობს, - სიყვარული, მშვიდობა, თავისუფლება და ბედნიერება.

როგორც ჩანს, მაინც ვერ მივხვდით. რატომ - არ ვიცი. ან ჩლუნგები ვართ, ან მეტისმეტად დაშინებულები: ხან საზოგადოების გვეშინია, ხან ღვთისა, ხან შიდსის და ხან - ყველაზე ხშირად (!) იმისა, რომ ეს თუ დამთავრდა, ვაიმე, აი, ეს თუ დამთავრდა, აღარასოდეს აღარავის არ ვეყვარებით.

■ ■ ■

უკვე არცთუ ხანმოკლე და, საბედნიეროდ, ძალიან მრავალფეროვანი ცხოვრების განმავლობაში უამრავ ქალაქში ვყოფილვარ, და ალბათ ამიტომ აღმოვაჩინე ჩემი ქალაქის ერთი უცნაური თვისება: აქ მამაკაცები და ქალები ერთმანეთს არ კოცნიან. ალბათ სადღაც მაინც კოცნიან, რა ვიცი, ცხრაკლიტულში ან ბნელ პარკებში, მაგრამ ის, რისი ცქერაც სხვაგან ასე მიხარია - წყვილები, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, მე რა ვიცი, სამარადჟამო სიყვარულით თუ მხოლოდ იმ წამს, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა ერთად ყოფნა უხარიათ - თბილისში არსად ჩანან. სხვა თუ არაფერი, ერთმანეთს მოხვეულები იმის იმედს მაინც ბადებენ, რომ ასეთი სიხარული ოდესმე ჩემს თავსაც იქნება, მაგრამ არა! თბილისში ერთმანეთს მხოლოდ მთვრალი კაცები ჰკოცნიან, ან ნორჩი დაქალები, რომელთაც კოცნის დროსაც ეტყობათ, რომ არაფერი უხარიათ და ალბათ აღარც გაუხარდებათ, ან - რაც ჩემთვის ყველაზე საშინელი საყურებელია - დედები ლოკავენ ხოლმე თავიანთ ნაშიერებს. ამ მკვდარი კოცნის აღსანიშნავად თბილისელმა თინეიჯერებმა ყველაზე შესანიშნავი ასოთშეთანხმება გამოიგონეს: მობილურ ტელეფონებს აწრიპინებენ ხოლმე და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიან ერთმანეთს - "მასე!".

ტალღამ, რომელმაც ჩემს დაბადებამდე მსოფლიოს დიდ ნაწილს გადაუარა, ჩემამდე სიღრმედე, საქართველოში მაშინ ჩამოაღწია, როცა მეც შემეძლო მისი მნიშვნელობა გამეგო. ვიღაცამ ამას სექსუალური რევოლუცია უწოდა, ვიღაცამ - ყვავილთა შვილების აყვავების ჟამი, ვიღაცამ - პორნო-პოლიტიკური მოძრაობა. ისე თუ ასე, მე მახსოვს საბჭოთა კავშირის დროს არასაბჭოური დღეები, წმინდა კაზიმირის დღესასწაული, "სისტემის ცოლები", მახსოვს **"...ზურგჩანთების დიდი რევოლუცია, ათასობით, მილიონობით ახალგაზრდას ზურგჩანთა აქვს მოკიდებული. ისინი სალოცავად მთებზე ადიან, ბავშვები იცინიან, მოხუცებს უხარიათ, ახალგაზრდა გოგონები ბედნიერი არიან, ცოტა უფროსი გოგოები - კიდევ უფრო ბედნიერები. ისინი ძენ-შეშლილები არიან, ლექსებს წერენ, რომლებიც უცებ მოსდით თავში, და იმის გამო, რომ ისინი კეთილები არიან, იმის გამო, რომ მათი ქმედებები იდუმალია და მოულოდნელი, ყოველ ადამიანს, ყველა ცოცხალ არსებას დიადი თავისუფლების ხილვა ეწყება..."**. მართალია, ჯეკ კერუაკი ამერიკელებზე წერდა, რომლებიც იმხანად მხოლოდ კინოში მყავდა ნანახი, და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს შესანიშნავი მწერალი ჩემთვის, წესით, მიუღებელი კაცი უნდა ყოფილიყო - მე რომ მკითხოთ, ულტრარეაქციონერი ბრძანდებოდა, "ახალი მემარცხენეების" მიმართ დიდი სიძულვილით განმსჭვალული, - მაგრამ რა ვქნა, მასზე უკეთ იმ ამბების აღწერა ვერავინ შეძლო.

ვეცდები, ავხსნა: სექსუალური თავისუფლებისთვის ბრძოლა ჩემთვის ისტებლიშმენტის, ცენზურის, ომის წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასია, და ცრუ საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლა მის ცრუ ზნეობასთან ბრძოლით იწყება - "მთავარია, გენიტალიებში ჩასჭიდო ხელი, ჭკუა და სული არსად გაიქცევა".

ახლა კი, როცა არც არასაბჭოური დღეების დევნა გვიწევს და თითქოს არავინ არაფერს გვიშლის, როცა ჩვენს თბილ ქალაქში ათასგვარი სიკეთე ხდება და სხვა და სხვა, რატომღაც მაინც საშინლად ვბრაზობთ, რომ თურმე, ნუ იტყვი, მიხაი ზიჩი პორნოგრაფი ყოფილა! დედის გინება კვლავ სექსი ჰგონიათ, ქალებს "წარსულის ამბავში" ურტყამენ და პრეზერვატივის ხმარებას გენოციდს უტოლებენ - რა გვემართება? თან, როგორც მოგახსენე, არავინ არავის კოცნის. ან გვრცხვენია, ან არ გვინდება, ან - სამწუხაროა, მაგრამ სავსებით დასაშვები - უბრალოდ, არავის არავინ უყვარს.

■ ■ ■

გახსოვთ კამა? დიდად უცნაური ღმერთია - სიყვარულის, მაგრამ არა მოყვასის თუ სამშობლოს, არამედ ვნებიანი სიყვარულისა. ის თუთიყუშზე ზის და ყველგან დაფრინავს, იქაც კი, სადაც სხვა ღმერთებს არაფერი ესაქმებათ. კამას წინ ვერავინ აღუდგება, და ეს ძალიან კარგია - სხვაგვარად ჩვენი ცხოვრება უაღრესად მოსაწყენი იქნებოდა და ვერასოდეს შევძლებდით იმას, რომ წარსულის ამაო გახსენებისა თუ ფუჭი სამომავლო გეგმების დაწყობის ნაცვლად, **აქ** ვყოფილიყავით, **ახლა** და **აქ**.

როცა კამას ჭრელი ჩიტი თავის გზაზე, სადღაც სხვაგან დაფრთხიალებს, ათასგვარი სისულელით ვიტვირთავთ ხოლმე თავს. ვფიქრობთ, რომ ვისაც მეტი აქვს, ის უფრო ბედნიერია და ვინც მეტს აწარმოებს, ის უფრო გავლენიანია. ვიჯერებთ, რომ ყველა უმრავლესობას უნდა ეკუთვნოდეს, თავს უმრავლესობასთან აიგივებდეს და კოკა-კოლას სვამდეს, და ის, ვინც თავს მუდამ ბედნიერად არ გრძნობს, არანორმალურია. არადა, მერწმუნეთ: ბედნიერება, ტოტალური, ყოვლისმომცველი სიხარული მხოლოდ კამას მოაქვს, ანუ ვნებიან სიყვარულს, თან არა ჩაკლულსა და დამალულს, არამედ განხორციელებულს.

მცოდნე ხალხი ამბობს, რომ მთავარი სიყვარულის, ანუ კამას ერთგულება ყოფილა. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, ერთი ადამიანის მიმართ იქნება ეს სიყვარული მიმართული თუ მრავალი ლტოლვის საგანი გეყოლება - კამას ეს არ აინტერესებს. კამას მხოლოდ მისი ერთგულება აინტერესებს. კამასთვის მნიშვნელოვანია, რომ სიყვარულის ერთგული ვიყოთ. როცა ადამიანი მეორესთან, მამაკაცთან თუ ქალთან ერთად უსიყვარულოდ ცხოვრობს თუ თანაცხოვრობს, მხოლოდ "იმიტომ, რომ..." - ის კამას სცოდავს, სიყვარულს სცოდავს, სიყვარული კი, მოგეხსენებათ, ღმერთია.

მაგრამ შემჩნეული გექნებათ, რომ კამას, ვნებიან სიყვარულს, ამრეზით უყურებენ. რატომღაც ითვლება, რომ სექსი უხამსობაა, და ვიღაცის მიერ დაწესებული ქცევის ნორმების თანახმად გამწარებით უნდა ვცდილობდეთ მის დამალვას, მის შესახებ ირონიული ღიმილით საუბარს, მის ჩახშობას, და მერე რატომღაც გვიკვირს, რომ განაწყენებული და ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი კამა გვტოვებს და სხვა, უფრო გულღია ადამიანებთან მიფრინავს.

კამას გარეშე სამყაროს ფერები ეცლება. ჩვენც ვიცლებით, მერე კი, რადგან სიცარიელე მეტისმეტად არაბუნებრივი რამაა, კამას ჭრელი თუთიყუშის ნაცვლად ჩვენს გულში ათასგვარი სიმახინჯე იდებს ბუდეს. გახსოვთ რაიხის თეორია? ჩაკლული სექსი დიქტატორებს ბადებს. გვინდა ჩვენ დიქტატორები? მე მგონი, არა.

მაშ, მიმოვიხედოთ და მივაყურადოთ, და მოწყალე, მხიარული კამა ჩვენკენაც აუცილებლად გამოიფრენს, და ჩვენც ვიქნებით ბედნიერები, **ახლა** და **აქ**.

ეს ისე, რომანტიკული გადახვევა იყო, რომ არ გეგონოთ, ეს დედაკაცი (ანუ მე) რაღაც საშინელებისკენ მოგვიწოდებს და გარყვნილებისკენ გვიბიძგებსო. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თავისუფლება, სიტყვა, რომელიც იმდენად გავცვითეთ, რომ თავად ცნება გულსაც კი აღარ გვიტოკებს, გრძნობების, ან, თუ გნებავთ, სექსის თავისუფლებას აუცილებლად გულისხმობს, თორემ სექსუალური თავისუფლებისთვის ბრძოლა - ასეთი სიტყვათშეთანხმებაც კი თავისთავად ბრიყვულად მიმაჩნია. ამას რა ბრძოლა უნდა? სექსი ბუნებრივია, შესაბამისად, მისი ჩახშობის ყოველგვარი სურვილია არაბუნებრივი. სექსი სულაც არაა უხამსი, უხამსობა ისაა, რომ საზოგადოება მას ასეთად მიიჩნევს - უხამსობად თვლის იმ ნეტარებას, რომელსაც ყველა ელტვის და რომელსაც ძალიან წესიერი, ჰალსტუხწაჭერილი მოქალაქე და მისი მარად უკმაყოფილო ცხოვრების თანამგზავრიც ეძლევიან და ამ ღირსეული წყვილისთვის მიუღებელი, მათ მიერ ასოციალურად წოდებული ელემენტებიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს უკანასკნელნი სექსით ძალიან ხარობენ, პირველებს კი, როგორც მოგახსენე, უხამსობად მიაჩნათ. ისინი სექსს გულმოდგინედ მალავენ, ერთმანეთსაც კი უმალავენ და შედეგად სიხარულის ნაცვლად ერთობ საეჭვო ხარისხის სიამოვნებას თუ იღებენ. მერე მამაკაცი ძვირად ღირებულ საროსკიპოებში იაფფასიან კახპებთან დარბის, ქალი კი ბერდება და სუქდება.

მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ სიყვარულს სოციალური სტატუსი, კეთილდღეობა და ათასგვარი ფორმალობა სჯობს. მათ ერთმანეთი არ უყვართ და არ უნდათ, მე კი მგონია, რომ უსიყვარულოდ და უსურვილოდ თანაცხოვრებასა და გაუპატიურებას შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს, და ვერასოდეს გავიგებ, რატომაა საზოგადოებისთვის გაუპატიურების ასეთი ფორმა მისაღები. თუ მაშინ, როცა ვიღაცას ეხვევი, იმ ხანმოკლე წუთების განმავლობაშიც არ შეგიძლია მისთვის გულწრფელად თქმა, რომ ძალიან გიყვარს, ჯობს, საერთოდ არ მიეკარო - ექსტაზის ნაცვლად ასეთი კავშირი მხოლოდ იმედის გაცრუებას და სიბინძურის განცდას მოგიტანს: თურმე სიყვარულის ღმერთი კამა ასე სჯის ხოლმე მოღალატეებს.

ძალიან ძნელად წარმომიდგენია, რომ ორმა ადამიანმა ერთმანეთი უცებ იპოვოს, აი, ასე: კამამ ჩამოიფრინა და ორი ადამიანი, რომელსაც მანამდე არავითარი ვნებათაღელვა არ განუცდია, ერთმანეთს შეეჩეხა, მას მერე ერთმანეთი სულ უყვარდათ, დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ და ერთ დღეს დაიხოცნენ. ასეთი რამ, ვშიშობ, მხოლოდ წიგნებში ხდება, სინამდვილეში კი ყველაფერი სულ სხვაგვარადაა: არის აღტაცება, აღგზნება, გადარევა, რომელსაც გამოუცდელი არსება, მდედრი თუ მამრი, სიყვარულს უწოდებს, და მერე ყველაფერი მთავრდება - თუ ძალიან გაუმართლათ, ერთბაშად, თუ არადა, დიდი, სიყვარულის თუ აღგზნების ხანგრძლივობაზე ბევრად დიდი ხნის განმავლობაში ტანჯავენ ერთმანეთს და მშვენიერ სიზმარს, რომელიც სწორედ წარმავალობის წყალობით იყო მშვენიერი, დაუსრულებელ კოშმარად აქცევენ. ერთი ბრძენი მეგობარი მიხსნიდა: "სიყვარული ნიავია, რომელიც ღია სარკმელიდან უბერავს. თუ მის დაჭერას ეცდები და ფანჯარას მიხურავ, ის უმალვე გაქრება". თუ მისი და ჩემი არ გჯერა, თავად სცადე.

■ ■ ■

ძნელი სათქმელია, რა განსხვავებაა სექსსა და სიყვარულს შორის. "მიყვარს, მაგრამ არ მინდა" - ეს ვის გაუგონია? როცა საქმე ერთ ობიექტს ეხება, ერთიც წარმავალია და მეორეც - ნურავინ მიამბობს, რომ იმ ერთადერთი, სანუკვარი და განუმეორებელი ქალისა თუ მამაკაცის გარდა, არასოდეს არავინ მონდომებია და მის გვერდით ყოფნის დროსაც კი არ გასჩენია სიყვარულის მწვავე სურვილი. იმან, რასაც სექსუალურ რევოლუციას უწოდებენ ხოლმე, ერთი დიდი სიკეთე - გამოცდილება მოიტანა: პარტნიორი შეიძლება მრავალი გყავდეს, სიყვარული კი - ერთი. ამბობენ, რომ ეს ბედნიერება რჩეულთა ხვედრია ან უზარმაზარი ძალისხმევის შედეგი, როცა სიტკბოების და სიმწრის, სიხარულის და ტკივილის, სიმაღლის და დაცემის, ზეცის და ჯოჯოხეთის გამოცდის შემდეგ ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, წონასწორობის შენარჩუნებას ისწავლის და მიხვდება: თაფლობის თვის დასრულება სიყვარულის დასაწყისია, როცა ხორციელი ვნება დამთავრდა, სულის ზეიმი დაიწყო. მინდა მოგახსენო, რომ მე ასეთ ხალხს არ ვიცნობ, მაგრამ იქნებ შენ გაგიმართლოს?

მანამდე კი, სანამ "დაბრძენდები" და სანამ სიცოცხლე და სიყვარული გიხარია, აკეთე ის, რასაც დიდებული, მდიდარი, არაჩვეულებრივი, კურთხეული ქართული ენა რატომღაც ვერ გადმოსცემს და რასაც სხვა ჩემთვის ცნობილ სხვა ენებზე "სიყვარულით დაკავებას" უწოდებენ. როცა აღარ მოგინდება, მაღალ მატერიებზე მერე ვილაპარაკოთ. ჯერჯერობით კი ეს ყველგან აკეთე და ყოველთვის. დარწმუნებული არა ვარ, რომ ბინძური ლიფტის კაბინა ან რატომღაც საუკეთესოდ მიჩნეული ზღვის სანაპირო (კოქტეილიც კი არის ასეთი, გახსოვს? "ორგაზმი პლაჟზე"; თუ არ გიცდია, ნურც ცდი, ენით უთქმელი საზიზღრობაა, არც ათრობს და არც გემო უვარგა) ამ საქმისთვის საუკეთესო ადგილია - ან მუხლებს დაიჩეჩქავ, ან ზურგი გექნება დალურჯებული. მაგრამ კაცია და გუნება, თუ გაგიხარდება, ჰამაკში, ფეხზე მდგომმა მიხედე საქმეს. ადგილი და დრო სულაც არაა წარმატების საწინდარი, მხოლოდ ის უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ ვინმეს უბრალოდ აძლევ, ეს აღებ-მიცემობაა და არა სექსი, და თუ ვინმეს ხმარობ, ეს სიხარულს ნამდვილად არ მოგიტანს. როცა ебут врага народа, არც ერთი მხარე არ რჩება გალიმებული - სექსი ხომ ეგზეკუცია არაა, ბოლოს და ბოლოს.

ხელს ნუ აუქნევ ჭრელ, მხიარულ თუთიყუშს და მასზე ამხედრებულ მოწყალე კამას! ის იმისთვის მოფრინდა, რომ შენი ცხოვრება დღესასწაულად გადააქციოს. და თუ ვინმეს შენი ზნეობრივი სახე არ მოეწონება, შეუძლია თვალი აგარიდოს. მთავარია, არაფრის შეგეშინდეს: შეშინებულის არც სექსი ვარგა და, მით უმეტეს, არც სიყვარული.

**P.S.** ჰო, მართლა: როცა სკამზე მიაბეს და მან გაზის სუნი იგრძნო, კერილ ჩესმენი მიუბრუნდა რეპორტიორებს, რომლებიც მისი კვდომის საყურებლად იყვნენ მისულნი, და თვალი ჩაუკრა.

აქაოდა, ვიხუმრე, თქვენ რაღა დაგემართათო.

---

## დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



### SMS
### რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება
(მათთვის, ვინც მობილურ ტელეფონს ხმარობს)

რადგან ყველაფერი ამ უწყინარი სვეტის გამო დაიწყო (და ჯერ არ დამთავრებულა), ბოდიშს მოვიხდი და კიდევ ერთხელ შეგაწუხებთ იმ თემასთან დაკავშირებით, რომელმაც ძალიან კი დამღალა, მაგრამ ყველა კითხვას, რაც "დავით აღმაშენებლის" პროექტს შეეხება, სამწუხაროდ, ვერ ვუპასუხე. ტელედებატებში ეს ალბათ შეუძლებელიცაა. ეკრანიდან საუბარს ყოველთვის მირჩევნია ყველაფრის წერილობითი ახსნა. ამიტომ ბოდიშის მოხდით კიდევ ერთხელ გაწუხებთ.

უპირველესად კი მომავალი ფილმის მომავალ რეჟისორთან დაკავშირებით განვმარტავ (მერამდენედ). ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა და ასეთი ხმაური და ვნებათაღელვა (წინასწარ) სრულიად ზედმეტი იყო. თუ საქართველოში ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი დაგვთანხმდება ისეთი ფილმის შექმნასა და გადაღებაზე, როგორიც ჩვენ გვსურს, რასაკვირველია, ჩვენთვის (თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით) ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო სასურველია. თუმცა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით (და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) ევროპისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს საგრძნობლად ჩამოვრჩით და რატომ არის ამის აღიარება სამარცხვინო, პირადად ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია. გაუგებარია ისიც, რატომ არის ძნელი დასაჯერებელი, რომ ისეთი ტექნიკური პროგრესის მისაღწევად, როგორიც, ვთქვათ, იაპონიაშია, კიდევ რამდენიმე ათეული წელი დაგვჭირდება და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველები ვინმეზე ნაკლებად ნიჭიერი ხალხი ვართ. ყოფილიყო იაპონია რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, როგორც ერთ-ერთი საბჭოთა რესპუბლიკა და ჩვენზე ჩამორჩენილიც კი იქნებოდა, თუ საერთოდ გადარჩებოდა, რასაკვირველია. სანამ საქართველოში სირცხვილად ჩაითვლება იმის აღიარება, რომ რომელიმე სფეროში სხვა შეიძლება შენზე უკეთესი იყოს, ყოველთვის გაგვაწვალებს უამრავი კომპლექსი და წარმატებული სახელმწიფოს შექმნაც მხოლოდ ოცნება იქნება და სხვა არაფერი. სანამ გვეშინია ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლის, მანამ გაგვაწვალებს უკეთეს ქვეყანაში ცხოვრების სურვილი, რეალურად კი ვერასოდეს შევქმნით უკეთეს სახელმწიფოს. შიშიც სხვისი უპირატესობისა და წარმატების გამო სინამდვილეში სრულიად ზედმეტია, რადგან თუ მოვინდომებთ (მას შემდეგ, რაც გამოვუტყდებით ერთმანეთს ჩვენი ნაკლის გამო), აუცილებლად იმასაც მივხვდებით, როგორ გამოვასწოროთ ჩვენი ყოფა და, მაგალითად, იაპონელებსაც ვაჯობებთ. სამაგიეროდ იაპონელები ვერასოდეს მიაღწევენ ისეთ ღომსა და ხარჩოს, როგორსაც ცხონებული ბებიაჩემი აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით არნახულ წარმატებებს მიაღწიეს. სამაგიეროდ იაპონელებს (ან ნებისმიერ სხვა ხალხს) არა აქვს ის, რაც ჩვენ გვაქვს და ნებისმიერი ქართველი სრულიად სამართლიანად ამაყობს თავისი კულტურითა და თვითმყოფადობით. თუ სხვას რომელიმე სფეროში უკეთესი რამ აქვს, ამან არ უნდა შეგვაშინოს. ძალიან მიკვირს, რომ უკვე მერამდენედ მიწევს ამ მარტივი ჭეშმარიტების განმარტება. ამიტომაც მიკვირს ოპონენტების, რომელთა აზრით (ეს მათი მთავარი არგუმენტია), უცხოელი რეჟისორი ვერ ჩაწვდება ქართულ სულს. ვინც ქართულ სულს ამ კონტექსტში ახსენებს, სწორედ მათ განსაკუთრებით მოსწონთ "ერისიონის" გახმაურებული კლიპი "შატილის ასული", რომელიც იმ ფრანგებმა და შვეიცარიელებმა გადაიღეს, საქართველოში რომ არასოდეს ყოფილან. ქართული ანიმაციის შედევრებიც "ჩხიკვთა ქორწილი" და "წუნა და წრუწუნა" უცხოელი მხატვრების დამსახურებაა. მულტიპლიკაციაში კი მხატვრის გადამწყვეტი როლის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ ისეთი ზუსტი მიგნება ქართული ხასიათისა, როგორიც "ჩხიკვთა ქორწილსა" და "წუნა და წრუწუნაშია", ძალზე იშვიათია. ჩამოთვლილი მაგალითები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შეიძლება იყოს ნიჭი და არა ეთნიკური წარმომავლობა შემოქმედისთვის. საპირისპირო მაგალითების მოყვანაც მრავლად შემიძლია (ამის აუცილებლობა რომ იყოს). ბატონ რეზო ჩხეიძეს ალბათ დღემდე უკვირს, რატომ არ აუკრძალეს ესპანელებმა მრავალსერიიანი ფილმის გადაღება დონ კიხოტის შესახებ (როგორც არა ესპანელს). არ აუკრძალეს, რადგან ყველგან, ნორმალურ საზოგადოებასა და წესიერ სახელმწიფოებში ასეთი აკრძალვები არ არსებობს. წარმატებული ქვეყნებიც იქ იქმნება, სადაც ადამიანებს განსხვავებული აზრების არ ეშინიათ. დავით აღმაშენებელმა საქართველოს ისტორიაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იმიტომ შექმნა, რომ უშიშარი იყო და ნებისმიერი მტრის დამარცხება შეეძლო არა მხოლოდ ხმლით, არამედ წიგნებითაც. ყურანიც ისე კარგად იცოდა, რომ შეეძლო, ნებისმიერ მუსულმან ყადისთან თეოლოგიურ საკითხებზე ეკამათა და ყოველთვის გამარჯვებულიც გამოდიოდა. მან ზუსტად იცოდა, რომ უვიცობა სისუსტეა, განათლება კი - უზარმაზარი ძალა და ამიტომაც არაფრის ეშინოდა. ჩემთვის კი მართლა საწყენია, რომ ასეთ მარტივ, ელემენტარულ ჭეშმარიტებას ამდენი მტკიცება სჭირდება დღევანდელ საქართველოში და, რა გასაკვირია, რომ სხვისი, თუნდაც ოდნავ განსხვავებული რწმენა აგრესიასა და სიძულვილსაც კი იწვევს ჩვენი უფროსი თაობის მხრიდან. ამ კატეგორიულ აგრესიას კი მათი საბჭოური წარსული უდევს საფუძვლად, სადაც მხოლოდ ერთი, ერთადერთი აზრი არსებობდა. ათეისტურ გარემოსა და ქვეყანაში აღზრდილ და ცნობიერებაჩამოყალიბებულ ადამიანებს, მჯერა, გულწრფელად აკვირვებთ და ეჭვი ეპარებათ იმ წყაროების სიმართლეში, რომლებიც დიდგორის ბრძოლის დროს წმინდა გიორგის დახმარებაზე მეტყველებენ. ამასთან დაკავშირებით ყოველთვის ერთი სახალისო ამბავი მახსენდება ჩვენი სტუდენტური წარსულიდან. იმ ზაფხულს ზემო სვანეთში ვმუშაობდით რესტავრატორებთან. ერთ საღამოს ერთმა სვანმა სუფრაზე, საქართველოს სადღეგრძელო რომ დალია, გულწრფელად თქვა: სვანებს წმინდა გიორგი ძალიან უყვართ, რასაც წმინდა გიორგი გრძნობს და ისიც სიყვარულით პასუხობსო. მერე კიდევ რამდენიმე არგუმენტი დაასახელა. ბოლოს თქვა: თუ სვანებს ვინმე გააბრაზებს, წმინდა გიორგი თვითონ ჩამოვა და სვანების მტრებს დედას მოუტყნავსო. ჯერ გამეცინა, მერე გამიკვირდა, რადგან სვანები არ იგინებიან (სვანურში საგინებელი სიტყვები საერთოდ არ არის). მერე მივხვდი, რომ მას მართლა ასე სჯეროდა, როგორც იმ ქართველებს, ვინც დიდგორის ველზე მხოლოდ გამარჯვების იმედით იდგნენ. იქ, ზემო სვანეთში, ისიც აღმოვაჩინე, რომ იმ სვანი კაცის, უბრალოდ, მშურდა. ნუ შეგშურდებათ ჩემი...



## დავით კოვზირიძის სვეტი

## გურამას მამისა და ბერლუსკონის მდივნის ქორწილის ამბავი

ტოტალიზატორები იხურება, ხალხო! - მეხივით გავარდა ქართულ მაზავშიკურ სინამდვილეში. აქეთ ბუკმეიკერები მისცემიან კაეშანს, იქით - ის საზოგადოება, რომელიც ბუკმეიკერთა უდარდელ ცხოვრებას უზრუნველყოფს ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე ოცნებით გათანგული და მაინც ჯიუტად მოსიარულე თბილისქალაქის აურაცხელ კანტორებში.

ამთავითვე მინდა გითხრათ, რომ ამ სვეტის ავტორი არასდროს ყოფილა გატაცებული "უშრომელი შემოსავლებით". კი, იყო რამდენიმე არასერიოზული მცდელობა და, სხვათა შორის, ზოგიერთი თითქოს წარმატებულადაც დამთავრდა, მაგრამ ვინაიდან ამ წარმატების ნაყოფი მორიგი, უფრო მსხვილი წარმატების საქმეში დაბანდდა და ისევე აორთქლდა, როგორც ბატონი ედუარდის მიერ დანატოვარი ჩაი, სვეტის ავტორი მიხვდა, რომ ბილეთების წერას ისევ სვეტის წერა სჯობს.

საკუთარი მაგალითის გარდა, ამ გადაწყვეტილებისკენ გარშემომყოფთა ცხოვრების ანომალიურ კალაპოტში გადასვლამაც მიბიძგა. ყველაფერი უწყინარი მასშტაბებით დაიწყო და ამ ამბავს "ფუტბოლს რომ მუღამით ვუყურო" დაერქვა, მაგრამ როცა "მაზვა" ტოტალიზატორის კედლებს გასცდა და იქვე მოტრიალე ბრბოში გადაინაცვლა (რამაც ავტომატურად გამოიწვია სასწორზე შეგდებული თანხის კატასტროფული ზრდა მყარ ვალუტაში), გაირკვა, რომ ვიღაცას მანქანა აღარ ჰყავს, ვიღაცას - ბინა, ვიღაცას კიდევ... - ცოლი. სასოწარკვეთილთა უზარმაზარ არმიაში წარმოიქმნა კიდევ ერთი მომცრო "ქვეგანყოფილება", რომლის წევრებმაც ზემოთ ჩამოთვლილი ღირებული რამე-რუმეები კი შეინარჩუნეს, მაგრამ დაკარგეს მთავარი - ღირსება, რის გამოც ფუფლოებად იწოდებიან და სამარის კარამდე თავდახრილებს მოუწევთ არსებობა.

ახლა, ეს ბოლო აბზაცი რომ ამერიკელმა ან ფინელმა წაიკითხოს, ვითომ გაიგებს რამეს? გამორიცხულია. თუ ვინმეს ეჭვი გეპარებათ, გადამიხადეთ ორკუშნახევარი და ხელიც ჩავარტყათ. როდის ფული? ზეგინდელი 200 ბაქსი იყოს. მე თუ ვერ მიპოვით, "ლოშადა" იტრიალებს აქ და ან ამას დაუტოვეთ, ან ქურდებს.

აი, ეს უკვე ზედმეტი მომივიდა. ფინელი და ჩინელი კი არა, აგერ, მეზობელს წავაკითხე ჩემი ნაჯღაბნი და ასე მითხრა, ჟურნალისტი მეგონე, შენ კიდე ქართული არ გცოდნიაო. ჰალალი ქალია, რას ერჩი.

პირადად მე ტოტალიზატორების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რადგან მსგავსი დაწესებულებები მთელ მსოფლიოშია და ჩვენც ხომ მსოფლიო ინტეგრაციისკენ მივილტვით?! უბრალოდ, გარკვეული ასაკობრივი ზღვარია შესაქმნელი და აი, რატომ: არ შეიძლება მოზარდის ყოფნა ღამის სამ საათამდე იქ, სადაც ეს მოზარდი კარგს ვერაფერს ისწავლის.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანი (ბავშვი იქნება თუ ზრდასრული), რომელიც ფეხბურთს უყურებს იმიტომ, რომ ფული აქვს დადებული, გულშემატკივრად აღარ ვარგა. თუნდაც იმის გამო, რომ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს "რეალს" ქომაგობს, ხვალ კი - "ბარსელონას". მოთამაშეს საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება მოედანზე, ელოდება არა სანახაობას, არამედ 90-ე წუთს. მან იცის, როგორ ითამაშა ბოლო ხუთ ტურში იტალიურმა "კატანძარომ", მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთის ბაიბურში აღარ არის. ის ვეღარ გრძნობს ფეხბურთს.

სხვათა შორის, ფეხბურთში ღრმად ჩახედული კაცი იშვიათად იპყრობს ტოტალიზატორულ მწვერვალებს, რადგან ამ საქმეში მთავარია არა განსწავლულობა და ნაღდი საფეხბურთო ინტელექტი, არამედ გამართლება, ინტუიცია და რისკი.

მაგალითსაც აქვე ჩაგახუტებთ. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი-სამი დღით ადრე უბანში ერთმა სახელოვანმა მაზავშიკმა ჩამოიარა ვითომ შემთხვევით, მანქანა მოაყენა და შემოგვთავაზა: ოთხ გუნდს მე ავიღებ, დანარჩენი 28 თქვენი იყოს და ჩემპიონობაზე გავმაზოთო. ბუნებრივია, იმ ოთხი ნაკრების რაობით დავინტერესდით და თან გონებაში გაგვიელვა - ალბათ ბრაზილია-იტალია-არგენტინა-გერმანიას მოითხოვს. როგორ გეკადრებათ! მიამიტი გამომეტყველება მიიღო (ამ საქმეში სამსახიობო ოსტატობაც მნიშვნელოვანია) და დახეთ, რა "სისულელე" დაახეთქა: ნორვეგია, ესპანეთი, ნიგერია და (პატარა პაუზის შემდეგ) ჯანდაბას, იყოს საფრანგეთი(!) ოცი კუში მოითხოვა და ხელგამოშვერილი გაირინდა (ამ ბიზნესში ხელის ხელზე დარტყმა რეზოლუციის ტოლფასია). კიდევ კარგი, სულმა არავის წასძლია და მანაც მომდევნო გაჩერებისკენ აიღო გეზი.

ეტყობა, სხვაგან შეცდნენ, რადგან ფრანგების გაჩემპიონებიდან დაახლოებით ერთ კვირაში ის ჯეელი კვლავ შეგვხვდა ახალი მანქანით და ახალი წინადადებებით...

და მაინც, ცხოვრება მეტად მოსაწყენი გახდება მდუღარე ტოტალიზატორული ალიაქოთის გარეშე. სხვა თუ არაფერი, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ეს არის ადრენალინის გამოყოფის უიაფესი საშუალება. დადებ ლარს, გადააბამ ათ გუნდს და ინერვიულებ რამდენსაც გინდა.

მერე, რას არ გაიგებ საბუკმეკეროთა სიახლოვეს! მაგალითად იმას, რომ გუშინ სილვიო ბერლუსკონიმ მონტე-კარლოდან დაურეკა აწ განსვენებული ჯანი ანიელის გარე ბიძაშვილს, ჯანჯაკომო კაზირაგის და შეახსენა, ორი წლის წინ შენს ნათესავს სამი ქულა ვაჩუქე და ვალის დაბრუნების დრო მოვიდაო. ჯანჯაკომო, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრს ელაპარაკებოდა, არ დაიბნა და პირში მიახალა დონ სილვიოს (ამ დროს მთხრობელის ძმაკაცი ერთვება და ამბობს, ეს კაზირაგი იმიტომაა ასეთი გაბლატავებული, რომ ჯენარო გატუზოსთან და მის სიცილიელ მაფიოზ ნათესავებთან ახლობლობსო): "რა ვალი, ბიჭო, ვინმეში ხომ არ გეშლები." ამის შემდეგ ჯანჯაკომო ტელეფონს თიშავს და იატაკზე აფშხვნის, რაც იმას ნიშნავს, რომ "იუვენტუსი"-"მილანი" უეჭველად ერთიანია.

- შენა და, საიდან იცი? - გიჩნდება ლოგიკური კითხვა.

- გურამას მამა იყო მონტე-კარლოს კაზინოში სათამაშოდ, იქ ბერლუსკონის მდივანი ნაშა ითრია და ის მოუყვა. - არ იბნევა მთხრობელი, რომელსაც ტურის თითქმის ყველა შეხვედრასთან დაკავშირებით გამზადებული აქვს მსგავსი ამბავი. რაც მთავარია, ბევრი დარწმუნებულია, რომ "გურამას მამა" მართლა იყო მონტე-კარლოში და თითქმის მთელ დღეს მთხრობელის გვერდით ატარებს ახალი სენსაციების მოლოდინში. სად გაიგებ კაცი ამაზე საინტერესო ამბებს და სად გაერთობი ამაზე უკეთ? ჰა-ჰა, სპორტის სასახლეში გამართულ "კონცერტზე".

რა, ეჭვი გეპარებათ? მაშინ გადამიხადეთ ორკუშნახევარი და ხელიც ჩავარტყათ. როდის ფული? გურამას მამისა და ბერლუსკონის მდივნის ქორწილის დღეს იყოს.

ფეხბურთი

# იშტოიანი არ უნახავთ...

### ავაქიანი - დინამო 3:2

მიხეილ აბაიშვილი



თბილისის "დინამო" აგრძელებს კვიპროსულ საწვრთნელ შეკრებას. გუშინ ჩვენმა გუნდმა მორიგი სპარინგმატჩი გამართა და დამარცხდა (შეგახსენებთ, რომ "დინამო" ორი დღის წინაც დამარცხდა ძლიერ და ევროპული საზომებით ავტორიტეტულ მეტოქესთან - ბელგრადის "ცრვენა ზვეზდასთან"). ამჯერად ჩვენი მეტოქე იყო გუნდი, რომლის სახელი არათუ ევროპაში, მის სამშობლოში - რუსეთშიც კი ცოტა ვინმეს თუ გაუგია - ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგია". როგორც აღმოჩნდა, ციმბირიშიც სცოდნიათ ფეხბურთის თამაში, თანაც, უფრო კარგად, ვიდრე საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, "ლუჩ ენერგიამ" "დინამოს" დამარცხება შეძლო.

**დინამო - ლუჩ ენერგია 2:3 (0:1)**

**დინამო: მამალაძე (თოთლაძე, 80`), ჭელიძე, მახარაძე (შაშიაშვილი, 77`), გიგაური, სეზარ რომერო, კანდელაკი, გრიგალაშვილი (ნემსაძე, 60`), ხმალაძე (კაშია, 78`), ქუცურუა (შალამბერიძე, 72`), მელქაძე (ბაბუნაშვილი, 6)`), დვალიშვილი. მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე. "დინამომ" შეხვედრა 4-3-3 ტაქტიკური განლაგებით ჩაატარა.**

მატჩის პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა, იმ ნიუანსის თანხლებით, რომ ვლადივოსტოკელმა ფეხბურთელებმა დასაწყისშივე შეძლეს საკუთარი შანსის გამოყენება - მე-5 წუთზე სარქის ავაქიანის გოლით დაწინაურდნენ. საპირისპიროდ, ქართველმა ფეხბურთელებმა პირველ ნახევარში საკუთარი შეტევა შედეგიან დასასრულამდე ვერ მიიყვანეს, თუმცა, ამის არაერთი მცდელობა ჰქონდათ.

მეორე 45 წუთი "დინამოს" სრული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ეს უპირატესობა მატჩის საბოლოო შედეგზე ვერ აისახა. ჯერ 52-ე წუთზე ერთ-ერთი დინამოელის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მელქაძემ ვერ გამოიყენა, რასაც, დაუწერელი საფეხბურთო წესის - "ვერ გაიტან, გაგიტანენ" - ამოქმედება მოყვა. იმავე ავაქიანმა ორიოდე წუთში ორამდე გაზარდა საკუთარი გუნდის უპირატესობა. მე-60 წუთზე შეცვლაზე შემოსულმა ნემსაძემ გუნდის თამაში "დაალაგა" და 68-ე წუთზე ერთი გოლი თერტმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაქვითა, 75-ე წუთზე კი მისი პასით ხმალაძემ გაიტანა გოლი და ანგარიშიც გათანაბრდა. ამ მომენტამდე და მერეც "დინამომ" არაერთი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ რეალიზება ვერ მოახერხა. მე-80 წუთზე ხმალაძემ ხელსაყრელ სიტუაციაში ვერ შეძლო გოლის გატანა: კარიდან 3 მეტრში მყოფმა, ბურთს ფეხი ააცილა. 83-ე წუთზე დვალიშვილმა გაიტანა გოლი, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. დადგა მატჩის კულმინაციური მომენტი: 85-ე წუთზე შეტევებში გართულ დინამოელებს მეტოქის კონტრშეტევა გაეპარათ - ავაქიანმა "ჰეთ თრიკი" შეასრულა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**გია გეგუჩაძე: "ყველა ფეხბურთელს ვაძლევ თავის გამოჩენის საშუალებას, რისი დასტურიცაა დღევანდელი მატჩი. ამ შეკრების მთავარი მიზანი გუნდის მომზადებაა. მათ, ვისაც დღეს არ უთამაშიათ და იმათაც, ვინც მატჩში შეცვლაზე შევიდა, დღეს კიდევ ერთი ვარჯიში მოუწევთ.**

**როცა მოვდიოდით, ოთხი ამხანაგური შეხვედრა გვქონდა დაგეგმილი. ორი უკვე გავმართეთ. დამატებით კიდევ ერთი ამხანაგური თამაში დავგეგმეთ, რომელსაც 27 იანვარს გავმართავთ კვიპროსის უმაღლესი ლიგის გუნდ "აელთან". ასე რომ, წინ კიდევ სამი მატჩი გველის. ისინი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსამზადებლად."**

"აელის" გარდა, "დინამო" კვიპროსზე შემდეგ მეტოქეებთან გამართავს სპარინგებს: 26 იანვარს - სერბეთის "სარტიდთან" და 29 იანვარს - რუმინეთის "არჯეშ რომანასთან".

რაც შეეხება მარცხს "ლუჩ ენერგიასთან", გასამართლებლად ბევრი მიზეზი შეიძლება მოინახოს. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს (კვირკველიას, კანკავას, ჭიჭვეიშვილს, სალუქვაძეს, სილაგაძეს...) არ უთამაშია, გუნდი ახლა იწყებს მომზადებას და მძიმერ ფიზიკური დატვირთვების ფონზე თამაშობს, "ლუჩთან" თამაშის დროს ფორტუნა მეტოქეს სწყალობდა და ა.შ. თუმცა, არც ერთი ეს მიზეზი თავის გასამართლებლად არ გამოდგება, რადგან ციმბირის თუნდაც საუკეთესო გუნდთან წაგებით "დინამოს" სახელს სერიოზული ჩრდილი მიადგა. ნდობის კრედიტი, რომელიც ამ ფორმაციის "დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლით მოიპოვა და თითქმის ბოლომდე შემოეხარჯა ჯგუფში ოთხივე მატჩში განცდილი მარცხებით, თითქმის ბოლომდე ამოიწურა.

# ლუშემბურგო: "არ ვარ ვალდებული, მოთამაშეებს ცვლილებები ავუხსნა"

*გუშინწინ მადრიდის "რეალმა" "მაიორკას" უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ესპანეთის ჩემპიონატში ეს მადრიდელთა მეოთხე მატჩი იყო ახალი მწვრთნელის, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგოს ხელმძღვანელობით. 4 მატჩი - 4 მოგება, ასეთია ლუშემბურგოს მონაგარი. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი მწვრთნელი საყოველთაო ქება-დიდებაშია, მისი თანამემამულე რონალდო გაუნაწყენდა. საქმე ის არის, რომ "მაიორკას" წინააღმდეგ მატჩის უკანასკნელ წუთებზე ლუშემბურგომ რონალდო შეცვალა. მადრიდელთა თავდამსხმელი მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა და გასახდელისკენ მიმავალმა სიმწრისგან პირსახოცი მოისროლა. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ლუშემბურგომ რონალდოს საქციელზეც ისაუბრა.*



*რონალდო ლუშემბურგოზე განაწყენდა.*

**- რას იტყვით "მაიორკასთან" მატჩზე?**

- კმაყოფილი ვარ მატჩის შედეგითაც და თავად თამაშითაც. პირველ ტაიმში გუნდმა დალაგებულად ითამაშა, ფეხბურთელები მჭიდროდ იდგნენ ერთმანეთის გვერდით. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ახალი სათამაშო სქემა მხოლოდ ერთ ვარჯიშზე დავამუშავეთ. პირველი ტაიმი სწორედ ვარჯიშს ჰგავდა, შემდეგ გრავესენის მაგივრად გუტი შევუშვი მინდორზე და თამაშით კმაყოფილი დავრჩი, განსაკუთრებით მეორე ტაიმით.

**- წინა მატჩებთან შედარებით გუნდი უკეთესად გამოიყურებოდა.**

- თამაში ძალიან მომეწონა. პირველ ტაიმში ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებდით თამაშს, მეორე ტაიმში კი მხოლოდ რამდენიმე შეცდომა დავუშვით. ვფიქრობ, გუნდმა მართლაც უკეთ ითამაშა წინა მატჩებთან შედარებით. სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს, თუმცა, საამისოდ წინ კიდევ საკმარისი დროა.

**- რონალდო ძალიან უკმაყოფილო იყო თქვენს მიერ განხორციელებული შეცვლის გამო...**

- ეს მას ჰკითხეთ, რატომ იყო უკმაყოფილო. ჩემთვის არაფერი უთქვამს. მისი შეცვლა ჩემთვის არაფერს წარმოადგენს, ეს ჩემი გადასაწყვეტია. თუ მას არ მოსწონს, ეს მისი პრობლემაა. ვალდებული არ ვარ, ფეხბურთელებს ჩემს მიერ განხორციელებული ცვლილებები ავუხსნა.

**- რატომ შეცვალეთ ის?**

- იმიტომ, რომ 2:1-ს ვიგებდით. მოედანზე ოუენი გამოვიდა და საჭირო აღარ იყო, მინდორზე ერთნაირი ხასიათის ორი ფეხბურთელი ყოფილიყო.

**- კლუბის ხელმძღვანელობა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაზონის შეცვლას აპირებს. ეს წაადგება გუნდს?**

- დიახ. ისეთი ტექნიკური გუნდისათვის, როგორიც "რეალია", ეს ძალიან კარგი იქნება.

**- მატჩის წინ თქვენ ესაუბრეთ გუტის, რათა აგეხსნათ, თუ რატომ არ დააყენეთ ძირითადში?**

- როგორც უკვე გითხარით, ვალდებული არ ვარ, მოთამაშეებს ჩემი გადაწყვეტილებები ავუხსნა. ისინი პროფესიონალები არიან და უნდა ესმოდეთ, რომ აქ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად არიან. ისინი კლუბის განკარგულებაში იმყოფებიან, მე კი იმას ვაკეთებ, რასაც საჭიროდ ვთვლი.

**- მაგრამ თქვენმა ამ გადაწყვეტილებამ დიდი პოლემიკა გამოიწვია, რადგან გუტი ჩინებულად ატარებს მიმდინარე სეზონს.**

- მართალია. მაგრამ გადატანილი ავადმყოფობის გამო ბოლო ვარჯიშებზე ის არცთუ ისე კარგად გამოიყურებოდა და 90-წუთიან დატვირთვას ვერ გაუძლებდა.

ინფოთეკა

### "ჩელსის" ბექჰემი არ სჭირდება

ლონდონის "ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ გუნდს არც დევიდ ბექჰემი და არც მადრიდის "რეალში" მოთამაშე სხვა "გალაქტიკოსი" არ სჭირდება.

"ყველაფერი, რაც ჩემს გუნდს სჭირდება, ეს არის ძლიერი ფეხბურთელების ჯგუფი და არა ჰოლივუდის ვარსკვლავები, - განუცხადა მოურინიომ ბრიტანულ პრესას, - ეშმაკმა დალახვროს, ვინ არიან ეს "გალაქტიკოს"? ეს იმიჯი ჩამოყალიბდა იმ ცხოვრებიდან, რომელსაც ეს ფეხბურთელები ეწევიან, ანუ იმ დიდებიდან, რომელსაც მათ მიაღწიეს. პირადად მე ამ "გალაქტიკოსის" არ მწამს. ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე მათგანი ფეხბურთზე ზრუნავს ან ღელავს. ისინი უფრო იმ წრით არიან დაკავებული, რომელშიც ცხოვრობენ და ამიტომაც თამაშობენ არასტაბილურად".

"ჩელსის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა გასაგებად თქვა, რომ მისი საკადრო პოლიტიკა იმ ფეხბურთელთა შეძენას ემყარება, ვისაც სახელის მოხვეჭა სურს და არა იმათი, ვისაც მსოფლიო მასშტაბით აქვთ სახელი განთქმული და ვინც თავიანთი სიმდიდრის დემონსტრირებით არიან დაკავებულნი.

შეგახსენებთ: ზოგიერთი წყაროს ცნობით, დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ წლის ბოლოს სიამოვნებით გადავიდოდა ლონდონის "ჩელსის" შემადგენლობაში. 29 წლის ბექჰემი, რომელიც პრაქტიკულად არ ჩამოდის ბრიტანული პრესის როგორც პირველი, ისე ბოლო გვერდებიდან, აბსოლუტურად ვერ შეესაბამება ჟოზე მოურინიოს მოდელს, რომელიც შესანიშნავად მუშაობდა "პორტუში" და წარმატებულ მუშაობას აგრძელებს "ჩელსიშიც".

"მე უპირატესობას ვანიჭებ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც პაულუ ფერეირა და დიდიე დროგბა არიან, - დაასკვნა ჟოზე მოურინიომ, - მეც მყავს ძვირფასი მანქანა, მაგრამ კოლექციას არ ვაგროვებ. მე არ მჭირდება ათი ძვირფასი მანქანა".

### ნედვედის ტრავმა არც ისე სერიოზულია

მუხლის ტრავმის გამო ტურინის "იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი სამ კვირას გამოტოვებს. "როიტერის" ცნობით, ჩეხმა ფეხბურთელმა კვირას "ბრაშასთან" მატჩში ტრავმა მიიღო. "ნედვედი 15-20 დღეს ვერ ითამაშებს", - ნათქვამია ტურინული კლუბის განცხადებაში. ადრე კი ჩეხური პრესა აცხადებდა, რომ ამ ტრავმის გამო ფეხბურთელი მთელ სეზონს გააცდენდა.

### სემაკი ოფიციალურად პსჟ-ის წევრია

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს ფეხბურთელი სერგეი სემაკი ოფიციალურად გახდა ფრანგული "პარი სენ-ჟერმენის წევრი. გუშინ მხარეებმა საბოლოოდ მოაგვარეს ყველა დოკუმენტი და ხელშეკრულებაც გაფორმდა. "ყველაფერი დასრულდა. მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. კონტრაქტი 2,5 წელიწადს მოიცავს", - სააგენტო "როიტერს" განუცხადა ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ფრანკ გრაილემ.

### "ლანსმა" მწვრთნელი გაათავისუფლა

საფრანგეთის "ლანსმა" ორშაბათს მიიღო გადაწყვეტილება, თანამდებობიდან გაათავისუფლოს გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟოელ მიულერი. ამის მიზეზად ბოლო დროს გუნდის მიერ ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგებია. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა მიულერის თანაშემწე ფრანცის ჟილო. "მინდა, მუშაობისთვის მიულერს დიდი მადლობა მოვახსენო, მაგრამ ამჟამად კლუბის შედეგები პირველ ადგილზე დგას. ახალმა მწვრთნელმა კლუბში ახალი სტრატეგია უნდა დანერგოს. თუმცა, პირველ ხანებში მას ეს ძალიან გაუჭირდება", - განაცხადა "ლანსის" პრეზიდენტმა.

### რუსმა "ჯორდანი" შეიძინა

გუშინ ფორმულა 1-ის გუნდმა "ჯორდანმა" დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის შეიძინა კომპანია Midland Group-მა, რომელსაც რუსი მეწარმე ალექსანდრ შნაიდერი აკონტროლებს. "როიტერის" გადმოცემით, "ჯორდანის" ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2005 წელს გუნდი Jordan Grand Prix-ზე გამოვა.

## ინფოთეკა

### 28 ბილეთი გულშემატკივრისთვის

ცნობილია, რომ მსოფლიოს 2006 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრები ბილეთების პირველი პარტია პირველი თებერვლიდან გაიყიდება. ბილეთების რაოდენობა 812 ათასს შეადგენს და მისი შეძენა 31 მარტამდე ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ერთ ადამიანს საშუალება ექნება, ოთხიდან შვიდ მატჩზე დასასწრებად 28 ბილეთი შეიძინოს.

ორშაბათს ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა განაცხადეს, რომ 440 ათასი ბილეთი საპატიო სტუმრებისთვის, სპონსორებისა და ჟურნალისტებისთვის იქნება შენახული. აქვე ორგკომიტეტი აცხადებს, რომ სულ გაიყიდება 2,93 მილიონი ბილეთი.

### "კრისტალ პალასს" "ტოტენჰემისთვის" ფეხბურთელი არ ემეტება

ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა "კრისტალ პალასმა" უარყო ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურის" წინადადება 2 მილიონ გირვანქა სტერლინგად კლუბის ფეხბურთელის უეინ რაუტლეჯის შეძენის თაობაზე. "კრისტალ პალასს" ფეხბურთელის სანაცვლოდ შეთავაზებული თანხა ეცოტავა. "ჩვენ "ტოტენჰემის" ახალი წინადადება ფინანსური მოტივებით დავიწუნეთ. "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობას განვუმარტეთ, რომ მზად ვართ, შეველიოთ ფეხბურთელს, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი თანხის სანაცვლოდ", - განაცხადა "კრისტალ პალასის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სიმონ ჯორდანმა. ადრე "ტოტენჰემი" 21 წლის ფეხბურთელში 1,5 მილიონ გირვანქას იხდიდა.

### პენანმა ეშლი კოულის "მერსედესი" დაამტვრია

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ჟერმენ პენანი პოლიციამ არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო დააკავა. "მერსედესი", რომელსაც ფეხბურთელი მართავდა, ბოძს შეეჯახა. ამის შემდეგ ის პოლიციის უახლოეს განყოფილებაში გადაიყვანეს და სამედიცინო ტესტი ჩაუტარეს, რომელმაც გამოავლინა კიდეც პენანის ორგანიზმში ალკოჰოლი. მოგვიანებით ფეხბურთელი თავდებით გაათავისუფლეს და პირველ თებერვალს სასამართლო პროცესზე დასწრება დაავალეს. "მერსედესი", რომელსაც პენანი მართავდა, მის თანაგუნდელს ეშლი კოულს ეკუთვნოდა.

### ვლადიმირ კლიჩკო მარტში იჩხუბებს

WBO-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო მომდევნო ბრძოლას ამ წლის მარტში ან აპრილში გამართავს. ძმები კლიჩკოების ოფიციალურ საიტზე ნათქვამია, რომ უმცროსი კლიჩკოს მეტოქე ჯერჯერობით უცნობია. "გასული წელი ჩემთვის არცთუ ისე წარმატებული იყო, - განაცხადა კლიჩკომ, - ვფიქრობ, სავსებით ლოგიკური იქნებოდა, ამერიკაში ჩემი დაბრუნება გერმანიიდან დამეწყო. სწორედ ამისთვის გადავფრინდები აშშ-ში და ჩემი მომავალი მეტოქის შესახებ მოლაპარაკებას გავმართავ". შესაძლო მეტოქეთა წრე ამ კვირის ბოლოს უნდა გამოიკვეთოს.

### ანშოს "სელტიკში" გადასვლა ეჩქარება

შოტლანდიური "სელტიკი" აპირებს მოელაპარაკოს ინგლისის "ლივერპულს" შვეიცარიის ნაკრების მცველის შტეფან ანშოს შეძენის შესახებ. ფეხბურთელის აგენტმა იორგ ვომატმა განაცხადა, რომ ანშო ძირეულად დაინტერესებულია თავისი საფეხბურთო კარიერის მომავალი პერსპექტივით. ამიტომ გლაზგოურ კლუბს სთხოვს, მოლაპარაკების პროცესი დააჩქაროს და ტრანსფერი სწრაფად განახორციელოს. "ანშოსთვის "სელტიკი" კარიერის გაგრძელების ერთ-ერთი ვარიანტია. თუ შოტლანდიური კლუბი მართლა დაინტერესებულია ფეხბურთელით, მაშინ უნდა იჩქაროს, რადგან ჩვენ სხვა კლუბებთანაც განვიხილეთ ფეხბურთელის შესაძლო გადასვლის ვარიანტები", - განაცხადა ვომატმა. როგორც ცნობილია, ევროპაში სატრანსფერო დერეფანი მომავალ კვირაში დაიხურება.

## ჩოგბურთი

# ავსტრალია ავსტრალიელთათვის





*მოლიკი და ჰიუიტი ავსტრალიის ჩემპიონობას შეეცდებიან.*

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე გადამწყვეტი მატჩების დრო ახლოვდება. რაც უფრო ახლოსაა ეს შეხვედრები, მწვანე კონტინენტის ბინადარნი მით უფრო იმედით ავსებიან. ავსტრალიის კონტინენტის უმთავრესი საჩოგბურთო ჯილდო სამშობლოში დარჩება. დროა, ჩვენც ვიგემოთ ჩვენივე ჩემპიონატის მოგებით გამოწვეული სიხარული, - ეს ფრაზა ყველაზე აქტუალურია დღევანდელ მელბურნში, რადგან ავსტრალიის ორივე საუკეთესო ჩოგბურთელი ლეიტონ ჰიუიტი და ალისია მოლიკი ტურნირის მეოთხედფინალში გავიდნენ. თანაც, მოლიკმა ისეთი შთამბეჭდავი თამაში აჩვენა, რომ ავსტრალიელებს მისი სახელი პირზე აკერიათ.

მოლიკის მეტოქე რუსების დამთრგუნველი შავკანიანი ამერიკელი, ოღონდ ვინუს უილიამსი იყო. "უილიამსების მარტო შეხედვაც კი დამთრგუნველად მოქმედებს მეტოქეზეო", - აცხადებდნენ რუსი ჟურნალისტები და სჯეროდათ, რომ ნადეჟდა პეტროვა სწორედ იმის გამო დამარცხდა, რომ სერენა უილიამსის შავი თვალების ბრიალის შეეშინდა. რუსებს ასეთი რამეების კი სჯერათ, მაგრამ ალისია მოლიკი სხვა რასის წარმომადგენელია. მან კარგად იცის საკუთარი გარჯის ფასი და არც შავკანიანთა ბრიალა თვალები აშინებს.

მოკლედ, ტურნირის მე-10 ნომერმა არაფერი დაუთმო გაცილებით უფრო გამოცდილ და სახელოვან, მაგრამ არასათანადო ფორმაში მყოფ უფროს უილიამსს და იმდენი მოახერხა, რომ შეუპოვარი ბრძოლით ორ სეტში დაამარცხა მერვე ნომრად განთესილი ამბიციური ამერიკელი - 7:5, 7:6. ამ გამარჯვებას ავსტრალიელთა შორის დიდი ეიფორია მოჰყვა. ახლა მწვანე კონტინენტის ბინადრებს გულწრფელად სჯერათ, რომ მოლიკს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. მით უფრო, რომ ტურნირს უკვე გამოეთიშა რუსი ანასტასია მისკინა (3), ელენა დემენტიევა (6), და შარაპოვასა (4) და კუზნეცოვას (5) შეხვედრაში ერთ-ერთი აუცილებლად გამოაკლდება კორტებს. "რატომ არ უნდა ვიოცნებოთ"? - უკვირთ ავსტრალიელებს.

მოლიკის გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია კიდევ გაგრძელდა, როცა ტურნირის მესამე ნომერმა ლეიტონ ჰიუიტმა ესპანელი რაფაელ ნადალი დაამარცხა. ლეიტონს დიდი ოფლისღვრა დასჭირდა. მან ახალგაზრდა ესპანელის ძლევას ხუთი სეტი და მთელი ენერგია შეალია, მაგრამ მაინც გაიმარჯვა და დაადასტურა, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მზად არის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მოსაგებად.

პირველ დაძაბულ სეტში ჰიუიტმა მეტოქის პრაქტიკულად ერთადერთი შეცდომა გამოიყენა, როცა მოწოდება აართვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ავსტრალიელი ანგარიშში დაწინაურებული ყო. თუმცა, მომდევნო ორ სეტში ჰიუიტი, ცოტა არ იყოს, დაღლილი ჩანდა. მან ვერაფრით აუღო ალღო ნადალის მანევრებს და იოლად დათმო ორი სეტი. მეოთხე სეტში ორივე მეტოქე უაღრესად მობილიზებული ჩანდა და თავს შეცდომის უფლებას არ აძლევდა. საბოლოოდ ტაი-ბრეიკზე ჰიუიტმა ნადალის რამდენიმე უნებლიე შეცდომა გამოიყენა და - 7:3 მოიგო. გადამწყვეტი, მეხუთე სეტისთვის კი უკვე ესპანელს აღარ ეყო ენერგია. ჰიუიტმა ნადალი ტაი-ბრეიკზე საბოლოოდ გატეხა და - 6:2 მოიგო. მეოთხედფინალში ავსტრალიელის მეტოქე იქნება არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი, რომელმაც არგენტინულ დერბიში სძლია გილიერმო კორიას.

| ვაჟები: | |
|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 6:3, 7:6, 6:1 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 26) - გილიერმო კანასი (არგენტინა, 12) | 6:3, 6:4, 6:3 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 9) - გილიერმო კორია (არგენტინა, 6) | 5:7, 7:5, 6:3, 6:0 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) - რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7:5, 3:6, 1:6, 7:6, 6:2 |

| ქალები: | |
|---|---|
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - კაროლინა სპრემი (ხორვატია, 13) | 6:2, 6:2 |
| ალისია მოლიკი (ავსტრალია, 10) - ვინუს უილიამსი (აშშ, 8) | 7:5, 7:6 |
| ნატალი დეში (საფრანგეთი, 19) - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 3) | 6:4, 6:2 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 12) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 6) | 6:7, 7:6, 6:2 |

პრაქტიკულად ისე მოხდა, რომ კორიამ მხოლოდ პირველ სეტში გაიბრძოლა. მომდევნო სამში კი ნალბანდიანის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. ბოლოს ტურნირის მეცხრე ნომერმა საერთოდ მიწასთან გაასწორა თანამემამულე - 6:0 მოუგო. ოფლი დაღვარა ამერიკელმა ენდი როდიკმაც - მან სამ სეტში გატეხა გერმანელი კოლშრაიბერის წინააღმდეგობა. რაც შეეხება დღის მეოთხე დაპირისპირებას, აქ რუსმა დავიდენკომ სამ სეტში მოუგო კიდევ ერთ არგენტინელ გილიერმო კანასს.

ტურნირს განაგრძობს ქალთა შორის პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი ლინდსი დევენპორტი, რომელსაც ავსტრალიაში ჯერჯერობით ღირსეული მოწინააღმდეგე ვერ მოეძებნა. დევენპორტმა - 6:2, 6:2 დაამარცხა ხორვატი კაროლინა სპრემი.

მოულოდნელად ასევე იოლი გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა ნატალი დეშიმ, რომელმაც ტურნირიდან მესამე ნომერი ანასტასია მისკინა დაითხოვა. შვეიცარიელმა პეტი შნაიდერმა კი ელენა დემენტიევა გაისტუმრა სამშობლოში.

## კრივი

# ლუისი 40 მილიონად დაფასდა. სიმართლე?



*პროფესიული კრივის სამყაროში ცხოვრება დუღს. რინგიდან მიდიან, რინგზე მოდიან. ზოგი ყოყმანობს. ზოგს კრივში დასაბრუნებლად დიდ ფულს სთავაზობენ, ან მათი სახელით სპეკულირებენ. ლეონოქს ლუისი-ვიტალი კლიჩკოს შესაძლო განმეორებითი მატჩი კი, ალბათ, ისეთია, რომლით ვაჭრობა მოდადაც კი იქცევა. ვნებათაღელვა არ ცხრება. ლუისს პირდაპირაც და ირიბადაც რინგზე დაბრუნებას სთხოვენ, ზოგიც მოითხოვს. ახლა კი ანკესიც გადაუგდეს: 21 მილიონ ფუნტ სტერლინგზე რას იტყოდიო?*

გიგა გურასაშვილი

ამბობენ, კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ყოფილ ჩემპიონს, ბრიტანელ ლენოქს ლუისს რინგზე დაბრუნება განუზრახავსო, მაგრამ ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნოა, რაშიც მოგვიანებით დარწმუნდებით. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია.

2003 წლის 21 ივნისს, ლოს ანჯელესის "სტეპლზ სენტერში", როდესაც ბრიტანელმა ჩემპიონის ქამარი ვიტალი კლიჩკოს ხელყოფისგან დაიცვა, კრივის მოყვარულებს საბაბი მიეცათ (და არცთუ უსაფუძვლო), რომ მათი დაპირისპირების ხელახლა ხილვა გახდებოდა შესაძლებელი. უკრაინელის შეუპოვრობა რომ არა, რომელიც მეექვსე რაუნდისა და ორთაბრძოლის შეწყვეტისას მსაჯთა დათვლით 58-56 იგებდა... ვიტალის ლამის ახეული ცხვირ-პირის გამო ექიმი იძულებული გახდა, მატჩის რეფერისთვის ჩხუბის შეწყვეტა მოეთხოვა. კლიჩკო ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულად ცნეს. იქიდან მოყოლებული, კრივის მოყვარულები სკანდირებენ: ლუისი-კლიჩკო გვინდაო!

გულშემატკივართა მოწოდებები არც ბრიტანელს აძლევდა მოსვენებას, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ საქვეყნოდ განაცხადა: მორჩა, მე წავედიო!

ლენოქს ლუისი მართლაც წავიდა რინგიდან. ბრიტანელის პენსიაზე გასვლას უკრაინელის გაჩემპიონება მოჰყვა, მაგრამ არა ლუისთან ორთაბრძოლით, არამედ სხვა ბრიტანელთან - დენი უილიამსთან ჩხუბში.

ვიდრე უილიამსი და კლიჩკო ერთმანეთს შეასკდებოდნენ, უილიამსმა პირობა დადო: ჩემპიონის ქამარს დიდ ბრიტანეთში დავაბრუნებო. გარდა ამისა, გამარჯვება დენი უილიამსს ლუისის მემკვიდრის შარავანდედსაც უქადდა, მაგრამ... არა შეჯდა მწყერი ხესაო... არ გამოვიდა მისგან მემკვიდრე. რვა რაუნდის განმავლობაში უკრაინელის მუშტებმა "მემკვიდრეს" ოთხჯერ მოახეხინა რინგი. არადა, კლიჩკოსთან დაპირისპირებამდე უილიამსი ლუისმა დამოძლვრა.

მათ ორთაბრძოლამდე მიჩნეული იყო, რომ ვიტალის ყველაზე სერიოზულ მეტოქესთან მოუწევდა ჩხუბი, რა თქმა უნდა, ლუისის შემდეგ. მიუხედავად ამისა, დაპირისპირება ცალკარას დაემსგავსა. მოგვიანებით ლუისმა თქვა: "კლიჩკო იმდენად ძლიერი იყო დენიზე, რომ შეეძლო, მძიმედ დაეშავებინა ან შემოკვდომოდა კიდეც. მათ შორის ოსტატობაში იმდენად დიდი სხვაობა იყო, რომ ორთაბრძოლის გამართვა არც კი ღირდა..."

ლუისმა გულახდილი საუბარიც ინება. თქვა, რომ დღეს კრივის სამყაროში არავინაა ისეთი, ვისაც ვიტალის დამარცხება შეუძლიაო: "როდესაც წავედი, კრის ბერდისა და ჰასიმ რაჰმანის დარი მეორეხარისხოვანი მოკრივეები წამოიჩიტნენ - პირველხარისხოვნები გახდნენ. ორივე მათგანს მართლაც შეუძლია გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მისთვის გზის გადაღობვა მხოლოდ ძალზე ძლიერს თუ შეუძლია. მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, ვინ შეიძლება იყოს ასეთი".

ბრიტანელის ამ სიტყვების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ ლუისს რინგზე დაბრუნება და კლიჩკოსთვის ადგილის მიჩენა სურდა.

ორი დღის წინათ საბჭოს ყოფილ ჩემპიონის ირგვლივ კვლავ ატყდა აჟიოტაჟი. "სანდი მირორისთვის" მიცემული ინტერვიუდან ვიგებთ, რომ ლუისს ფინანსური პრობლემები აქვს და დიდ ფულზე ჩხუბს არ იუარებდა: "რინგზე წლეულს დავბრუნდები. 21 მილიონ ფუნტ სტერლინგს (თითქმის 40 მილიონი დოლარი) მთავაზობენ. ასეთ წინადადებაზე უარის თქმა კი, უბრალოდ, არ შემიძლია".

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ბრიტანელის რინგზე დაბრუნების შესაძლებლობა ნაკლებად სარწმუნოა, რაშიც ლუისის მიერვე გუშინ გაკეთებული განცხადება გვარწმუნებს.

"2004 წლის თებერვალში ვთქვი: ბედნიერი ვარ, რომ სპორტიდან საკუთარი ნებით წავედი-მეთქი, რადგან იმ იშვიათ გამონაკლისთაგანი ვარ, რომელმაც ჩემპიონის რანგში დატოვა რინგი. შემიძლია ეს სიტყვები ახლაც გავიმეორო. მრავალი წლის განმავლობაში პროფესიონალი მოკრივე ვიყავი. ამის გამო სპორტის ამ სახეობის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მექნება, მაგრამ რინგზე აღარასოდეს დავბრუნდები. რინგზე დაბრუნების შესაძლებლობით გამოწვეული ყურადღება იმაზე მიუთითებს, რომ მაყურებელს ჩემპიონი სჭირდება, ჩემპიონი, რომელსაც მძიმე წონის ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონის რეპუტაცია ექნება, ისეთი, როგორიც მე მქონდა".

## ინფოთეკა

### მაშერანოს "იუვენტუსში" გადასვლა სურს

არგენტინული "რივერ პლეიტის" ნახევარმცველის ხავიერ მაშერანოს აგენტმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისმა აგენტმა თითქოს კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის "კორინთიანსთან". თუმცა, აგენტმა განაცხადა, რომ მისი 21 წლის კლიენტმა უახლოეს მომავალში ტურინის "იუვენტუსთან" უნდა გააფორმოს კონტრაქტი. "მაშერანოს "კორინთიანსთან" კონტრაქტი არ გაუფორმებია. მას ტურინის "იუვენტუსში" გადასვლა ურჩევნია", - განაცხადა აგენტმა.

### ნაკატას მარსელში არ უშვებენ

იაპონური ჯეი ლიგის კლუბ "კაშიმა ანტლერსის" ხელმძღვანელობა არ აპირებს განიხილოს კლუბის ფეხბურთელის კოიი ნაკატას მარსელის "ოლიმპიკში" გადასვლის საკითხი. სააგენტო "როიტერის" თქმით, ამის შესახებ თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა. "მე "კაშიმას" ხელმძღვანელობას ავუხსენი, რომ გუნდიდან წასვლა მინდოდა. მათ მითხრეს, რომ ჩემთან კონტრაქტი გაწყვეტა არ სურთ. ახლა მინდა, კლუბის ხელმძღვანელობას ხელმეორედ შევხვდე იმისთვის, რომ საბოლოოდ გავერკვე სიტუაციაში", - განაცხადა ნაკატამ. იაპონური კლუბის პრეზიდენტმა ხიროში უშიმამ გასულ კვირაში უარყო მარსელის "ოლიმპიკის" ოფიციალური წინადადება ნაკატას შეძენის თაობაზე.

### ადრიანომ "ჩელსის" ფული დაიწუნა

მილანის "ინტერის" ბრაზილიელი ფორვარდის ადრიანოს აგენტმა განაცხადა, რომ ლონდონის "ჩელსი" მისი კლიენტის სანაცვლოდ 45 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდა. ამასთან, აგენტმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადრიანო მადრიდის "რეალში" გადადის. "უახლოეს პერიოდში ადრიანო მილანის "ინტერიდან" გადასვლას არ აპირებს. მას მილანში ყველაფერი აწყობს. ფეხბურთელთან განშორებას არც კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს", - განაცხადა აგენტმა.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 25 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ნიუკასლი"
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკი" - "ოსასუნა"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:10 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "სოშო". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:15 პრესცენტრი
10:20, 20:50 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:10 "გუნდი" - "სპარტაკი"
11:40 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. ეგვიპტე - სერბეთი და მონტენეგრო
13:30 "ჰოკეი-პლუს"
13:45 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
14:15 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour ხორვატიაში. ფინალები
16:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
17:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალები. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
22:25 "ჰოკეი-პლუს"
22:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. სლალომი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
00:00 "ბილიარდის მეუფენი"
00:30 ახალი ამბები
00:45 ბოულინგი. ტურნირი სერიიდან "AMF Bowling Open"
01:40 01:40-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
08:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:30 რალი - მონტე-კარლო
20:45 ფრისტაილ მოტოკროსი. შეჯიბრება შვეიცარიაში
21:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 ახალი ამბები
01:45 რალი - მონტე-კარლო
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# ცუნამი - ბუნება, პოლიტიკა, რელიგია

B1 გვერდიდან



დაგვარწმუნებს სიკეთის გამარჯვებაში სიკეთეზე, ბოროტებასა და სიკვდილზე. მაგრამ, ეს გამარჯვება ჯერ უნდა დადგეს". საინტერესო იქნებოდა იმის დანახვა, რა დაემართებოდა ბატონ ჰარტს საშობაო ცუნამის მსხვერპლთან რომ მისულიყო თავისი "არაგამანადგურებელი ტრიუმფალიზმით"! თეოლოგ ჰარტთან შედარებით, თვით პრეზიდენტი ბუშიც კი გულწრფელობის კონად გვეჩვენება. ჰარტი უკანასკნელი ცუნამის ათეულ ათასობით ადამიანური მსხვერპლის წინაშე - რომელთა შორის ერთი მესამედი ბავშვია - იმუქრება: "არც ერთ ქრისტიანს არ აქვს ღმერთის როლის შესახებ ოდიოზური ბანალურობის უფლება. არ აქვს უფლება იმის საწინააღმდეგო მკრეხელური მტკიცებისა, რომ ეს ყველაფერი მისტიკურად ღვთის კეთილ საქმეებს ემსახურება. ჩვენთვის მხოლოდ სიკვდილის და ნგრევის სიძულვილია ნებადართული. ნებადართულია ვისგან?

ერთი წვერებიანი ხუმრობა ღაღადებს: ყველას უნდა სამოთხეში მოხვედრა, მაგრამ იქ წასვლას არავინ ჩქარობს. ამერიკელთა (რომელთა 94 პროცენტს ღმერთის არსებობის სჯერა) სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ არავის სიტყვაც კი არ წამოსცდენია იმის შესახებ, რომ ცუნამის მსხვერპლნი "სამოთხეში მოხვდნენ" და ამით საკუთარი სინდისი არ დაუმშვიდებიათ. განცდები, მწუხარება, სევდა მხოლოდ "სვეტურ" ხასიათს ატარებს და მასმედიაც ასე აშუქებს ტრაგედიას. წმინდა წყალი უკან იხევს სასმელი წყლის წინაშე, ჯვარი - ერთი ტომარა ფქვილის წინაშე. "ნიუ იორკ თაიმსის" მიმომხილველი დევიდ ბრუკი წერს: "იმის თქმა, რომ ღმერთი განდგომილებს სჯის, საზიზღრობაა. იმის მინიშნებაც კი ცოდვაა, რომ ცუნამით დაზარალებულმა ხალხმა ამგვარი სასჯელი დაიმსახურა". მრავალი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ცუნამით დაზარალებულებს ეხმარება, შიშობს, რომ ეს კატასტროფა ღვთისგან განდგომილთა რიცხვს გაზრდის. მართალია, ერთმა ცნობილი თეოლოგი, პოლ ტილიხი ირწმუნებოდა, რომ ეჭვი რწმენას არ ეწინააღმდეგება, და რომ ის რწმენის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, მაგრამ ასეთ ეჭვს დღეს ცუნამის განუსაზღვრელი ტრაგედია ზღუდავს.

თუმცა, ზეციდან დავეშვათ და ჩვენს ცოდვილ მიწას დავუბრუნდეთ, სადაც ბუნებრივი მოვლენებიც კი პოლიტიკურად ქცეულა. რონალდ მაკ ნილ-უმცროსი "ნიუ იორკ ტაიმსში" წერს: "თუკი წარსულს გზის გასაკვლევად გამოვიყენებთ, მაშინ 26 დეკემბრის შოკი ისტორიაში უფრო დიდ ადგილს დაიკავებს, ვიდრე მისგან აგორებული ტალღები. კატასტროფები სოციალურ იალქნებს გლეჯს - თითქოს, დედისთვის მკერდიდან ჩვილი მოუწყვეტიათო. და თუ პირველი დარტყმა უმოწყალო ბუნების ბრალია, ხელისუფლება ხშირად ამ კატასტროფის შემდეგ ამოვარდნილი ქარის შედეგებს იმკის".

დიახ, ბუნების კატასტროფები, მხოლოდ პლანეტის იერს კი არა, ისტორიის კურსსაც ცვლიან. 5500 წელს ჩვენს ერამდე ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად წარმოიშვა შავი ზღვა და ბოსფორის სრუტე. ეს რომ არა, არც ის გახმაურებული ბრძოლა იარსებებდა დარდანელისთვის. ასევე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1600 წელს, ტროას ომამდე დაახლოებით სამი წლით ადრე ვულკან სენტორიის ამოფრქვევამ ხმელთაშუა ზღვაში ასობით მეტრის სიმაღლის ტალღა წარმოშვა, რომელმაც ბოლო მოუღო მთელ მინოსურ იმპერიას და მის დედაქალაქ კრეტას. ამის შემდეგ ბერძნებისთვის მისი დაპყრობა არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში პერუს სანაპიროზე არსებული ცივილიზაცია მოჩე ორმხრივად გამძვინვარებულ სტიქიას ემსხვერპლა - მიწისძვრასთან ერთად ამოვარდნილ ელ ნინოს გრიგალს. ბრაიან ბერნარდი (ავტორი წიგნისა "საშიში პლანეტა: ბუნებრივი კატასტროფები, რომლებმაც ისტორიის მსვლელობა შეცვალეს") წერს, რომ 1274 და 1281 წლების ტაიფუნმა, რომელსაც მოგვიანებით "კამიკაძე" ანუ "ღვთიური ქარი" უწოდეს, იაპონია გადაარჩინა - ტაიფუნმა მონღოლი დამპყრობლების ფლოტი მთლიანად ჩაძირა. 1360 წელს ინგლისელების არმია, მეფე ედუარდ მესამეს მეთაურობით, რეიმსის დასაპყრობად და იქ მეფის კორონაციისთვის მიემგზავრებოდა. ამ დროს მტრედის კვერცხის ზომის სეტყვამ დაუშინა, რომელმაც ბევრი მხედარი და ცხენი იმსხვერპლა. ცრუმორწმუნე მეფე სასწრაფოდ უკან გატრიალებულა, საფრანგეთის ტერიტორიის დაპყრობა კი საერთოდაც გადაუფიქრებია.

26 დეკემბრის ცუნამის მსხვერპლი ჯერ ბოლომდე ნანგრევებიდან არ ამოუყვანიათ, და არც მათი რაოდენობაა ზუსტად დადგენილი, პოლიტიკურ წრეებში კი უკვე იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ შეცვლის ეს მოვლენა მსოფლიოს რუკას. იელის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი ჯონ ლუის გედისი თეთრ სახლს მოუწოდებს, "ისარგებლოს იმ შესაძლებლობით, რაც კატასტროფის შედეგად გაჩნდა - ერაყსა და ისლამურ სამყაროში ჩადენილი შეცდომების სანაცვლოდ, დაამყაროს დემოკრატია ცუნამით დაზარალებულ რეგიონში. ამგვარად, ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციების შემდეგ გვთავაზობენ რევოლუციის კიდევ ერთ სახეობას - "ცუნამის რევოლუციას"!

ამ რევოლუციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი ამერიკის იმიჯის შეცვლა იქნება. ისლამის მტერი მისი მეგობარი, კეთილისმყოფელი, გადამრჩენელი უნდა გახდეს. პრეზიდენტმა ბუშმა, გლოვის ნიშნად, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დროშების ალმართვის ბრძანება გასცა; ოღონდ ჯაკარტაში გამართულ აზიატურ სამიტზე გამგზავრებისგან თავი შეიკავა. სახელმწიფო მდივნის, პაუელის თქმით, ბუშს არ სურს, რომ თავისი ვიზიტით ცუნამით დაზარალებული ქვეყნების ხელმძღვანელობა მოაცდინოს და ისინი კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციას მოსწყვიტოს.

"ცუნამის რევოლუცია" ამერიკული ტიპის დემოკრატიის დამყარების საუკეთესო გზაა და ბრწყინვალე პერსპექტივებიც აქვს. არიზონას უნივერსიტეტის პროფესორის დენიელ ვიტცის მონაცემებით, მსოფლიოს მეტაკატასტროფების რაოდენობის მკვეთრი მატება ემუქრება. თუკი სამოციან წლებში სულ ასი ასეთი მოვლენა მოხდა, 2000-იან წლებში უკვე კატასტროფის 500 შემთხვევა აღინიშნა. ასე რომ, მსოფლიოს ნანგრევებზე ამერიკული ზოლიან-ვარსკვლავიანი დროშის სხვადასხვა ვარიაციის აღმართვა უზრუნველყოფილია. აი, ასეთი საოცარია პოლიტიკის ბუნება, თუკი ბუნებაც მის პოლიტიკას იზიარებს.


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

## ფოტოგალერეა




ძილი ნებისა.

ავტორი: ბესო გულაშვილი

## TV პროგრამა

### 25 იანვარი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "უანდერლენდი" (18) (ველ კილმერი) **02.00** პატრული

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.015(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. **07.05** წერილი მეგობარს. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **12.30** გარიგება მიცვალებულებთან. მხ ფილმი. რეჟისორიპასკალ ფერანი.1994. **16.25** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

**პირველი არხი**

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გრანდიოზული გაქცევები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ბარბადოსი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -ანატომია, გენეტიკა **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ჯონსონის მხარის ომი" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მარადიული ცხოვრება" (ბი-ბი-სი) **23.00** პროფესიონალი **23.30** მხ. ფილმი "სანამ ადამიანის ხმა გაგვაღვიძებდეს" **01.10** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "განგსტერები" (18) (ან პარიო)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "ზღვის რაჯა" 1-ლი ს. **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 3-4ს. **20.30** სერიალი "უშიშარნი" მე-2ს. **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** კინოსეანსი "ნაზი კანი"

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-4" **12.20, 17.10, 23.40, 04.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რომის ბულვარი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** "ისი პარის" ლატარეის გათამაშება **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **00.05** მხ. ფილმი "ობობა" (18) (გ. ბირნი) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.35** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "ალმასის კუნძული" **10.50** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "სტარტი" **12.10** ფანტასტიკა "მორიელების მეფე" **13.40** დოკუმენტური ფილმი **14.45** კომედია "გზაჯვარედინები" **16.15** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ბოევიკი "კვალისწამშლელი" **21.00** მხ. ფილმი "ჩემი ძვირფასი მეზობლები" **22.45** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** თრილერი "შიში. ქომ"

**კავკასია**

**11.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთის კარიბჭე" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**202**

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Криминальная Россия. "Последний роман обольстителя." 1-я серия. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Владимир Высоцкий в фильме **"ОПАСНЫЕ ГАСТРОЛИ" 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** Криминальная Россия. "Последний роман обольстителя". **2**-я серия. **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Лариса Удовиченко в детективе **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 21.00** Время. **21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 22.40** Кремль - 9. "Выстрелы в Смольном. Женский след". **1**-я серия. **23.30** Ночное "Время". **23.50** "Формула власти". Президент Сири. **00.20** Новые чудеса света. "Дом культуры для аборигенов". **00.50** Док. фильм "МГУ. Лучшие годы жизни". **01.20** Сандра Баллок в комедии **"ПРОБЛЕСКИ НАДЕЖДЫ"**. Такого удара от близких людей Берди Пруитт совсем не ожидала: во время популярного шоу в прямом эфире ее лучшая подруга Конни во всеуслышанье объявила, что уже год состоит в любовной связи с ее мужем Биллом. Потрясенная Берди, забрав маленькую дочь, уезжает домой в Техас. Там прошло ее детство, там она полюбила Билла. Мать как может, старается ее утешить, но Берди никак не может забыть неверного мужа. Повстречав старого друга и поклонника Джастина, влюбленного в нее еще со школьной поры, Берди понимает, что надо взять себя в руки и попытаться наладить свою жизнь заново. **03.20** Триллер Стивена Кинга **"ПРОТИВОСТОЯНИЕ"**. Часть 1-я. **05.05** "Подводный мир Андрея Макаревича".

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Анатомия преступлений. **10.50** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 13.35** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** Сегодня 22.00. **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** "Блокада Ленинграда". Фильм Кирилла Набутова. **01.15** Марк Бернес в фильме **"ДВА БОЙЦА"**. Фильм снят по повести Л.Славина "Мои земляки" и рассказывает о фронтовой дружбе двух бойцов в годы Великой Отечественной. Песни из этого фильма стали шлягерами советского периода. **02.35** Анатомия преступлений. **03.05** Комедийный сериал **"ВРЕМЯ - ДЕНЬГИ". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Остросюжетный сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# გზა ამელიდან და ვინჩის კოდამდე

ოდრი ტოტუს "ამელის" შემდეგ ყველა ცნობს. მას შემდეგ მსახიობი კიდევ რამდენიმე ფილმში გამოჩნდა, მაგრამ ოდრი მაინც ამელიდ რჩება.

ახლა კი ამ სიტუაციის შეცვლა ერთ პროექტს შეუძლია: მალე დაიწყება მსოფლიო ბესტსელერის დენ ბრაუნის "და ვინჩის კოდის" გადაღებები. ერთ-ერთ მთავარ როლში ოდრი ტოტუს მიიწვევენ. იქნებ ამის შემდეგ მაინც გამრავალფეროვნდეს ტოტუს იმიჯი.

რაც შეეხება სუპერწარმატებულ წიგნს, მას რეჟისორი რონ ჰოვარდი აქცევს ფილმად. ფილმში ტოტუს ტომ ჰენქსი გაუწევს პარტნიორობას. ისინი ერთად გატეხავენ საიდუმლო კოდს, - ასე იტყობინება ფრანგული და ინგლისური პრესა.



სანამ ოდრი ტოტუზე შეჩერდებოდა არჩევანი, როლზე ბრიტანელი კეიტ ბეკინსეილი განიხილებოდა, ვანესა პარადისთან და ჟულიეტ ბინოშთან ერთად. საბოლოოდ კი "და ვინჩის კოდის" გახსნა მაინც ტოტუმ შეძლო - რეჟისორმა მყვირალა ჰოლივუდურ სახელს ფრანგი მსახიობი არჩია.

დენ ბრაუნის წიგნი თრილერია, რომლის სიუჟეტიც გრაალის საიდუმლოებებზეა აგებული. წიგნი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მისი 17 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.

წიგნის გამხსნელ ეპიზოდს, როცა ლუვრის მუზეუმში საზარელი მკვლელობა ხდება, მართლაც ლუვრში გადაიღებენ. რეჟისორმა ახლახან მოიპოვა ამის უფლება მუზეუმის დირექციისგან. ფილმის ბიუჯეტი, რომელსაც "ქოლამბია/სონი ფიქჩერზი" გადაიღებს, 100 მილიონი დოლარია. სურათი დიდ ეკრანზე ამერიკასა და საფრანგეთში 2006 წლის 19 მაისს უნდა გამოვიდეს.

მანამდე კი ოდრი ტოტუ კიდევ ერთ ფილმში გამოჩნდება - ჟან პიერ ჟენოს "ძალიან ხანგრძლივ დანიშვნაში". "ამელის" მერე მსახიობი სტივენ ფრირზის ფილმში Dirty Pretty Things-ში იხილა მაყურებელმა.

# Gap და სარა

მას შემდეგ, რაც "სექსი დიდ ქალაქში" ისტორიას ჩაბარდა, სარა ჯესიკა პარკერი მთლიანად Gap-ის გოგო გახდა. მსახიობს მაყურებელი მალე პოპულარული ამერიკული ქსელის ახალ რეკლამებში იხილავს. 2005 წლის სარეკლამო კამპანია მთლიანად სარაზეა აწყობილი. ეს მისთვის მესამე შეხვედრაა Gap-თან.

სარას ბევრ ფულს უხდიან და ისიც ემოციური ტონით ამტკიცებს: "ჩემი აზრით, Gap-ი, უბრალოდ, საუკეთესოა. ძალიან შემოქმედებითი, სულ ახალი იდეების ძიებაში. დარწმუნებული ვარ, ქალებს საგაზაფხულო კოლექცია პირველივე დანახვით შეუყვარდებათ".

Gap-ის სამარკეტინგო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯეფ ჯონსი სარას აღტკინებული ტონითა და გარეგნობით ძალიან კმაყოფილია. "კლიენტები მის ინდივიდუალობას, მის გემოვნებას და სტილს აღმერთებენ. მოხარული ვარ, რომ საგაზაფხულო კამპანიაშიც სარა გამოჩნდება".

სარეკლამო რგოლების შინაარსი, ჯერჯერობით, უცნობია. წინა რეკლამებში კი სარა ჯესიკა პარკერს ხან ლენი კრავიცი უწევდა პარტნიორობას, ხან მსახიობი ჯოშ დუჰამელი და მომღერალი მერი ჯი ბლაიჯი.



# ჰიჩკოკი ყველაზე მეტად იმსახურებდა

TCM-ის ("თერნერ ქლასიქ მუვის") მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ალფრედ ჰიჩკოკი აღმოჩნდა ის რეჟისორი, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებდა "ოსკარს", მაგრამ არასდროს მიუღია. არადა, ის თავის დროზე ექვსგზის ყოფილა წარდგენილი კინოაკადემიის ჯილდოზე, მათ შორის ფილმებისთვის "ფსიქო" და "სარმელი".

გამოკითხვაში მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს "მექანიკური ფორთოხლის" რეჟისორმა სტენლი კუბრიკმა და მარტინ სკორსეზემ. ოღონდ, პირველი ორი რეჟისორისგან განსხვავებით, სკორსეზეს კიდევ აქვს შანსი, დამსახურებული ჯილდო მიიღოს. წელს ის "ავიატორზე" ამყარებს იმედს.

დანარჩენი ადგილები კი გამოკითხვაში ასე გადანაწილდა: რიდლი სკოტი (4), ტიმ ბარტონი (5), ინგმარ ბერგმანი (6), სპაიკ ლი (7), მაიკ ლი (8), ჰოვარდ ჰაუქსი (9), რობერტო როსელინი (10).



იგივე გამოკითხვაში მაყურებლებმა დაასახელეს უსამართლოდ დაჩაგრული მსახიობებიც, რომელთა ტალანტიც კინოაკადემიამ "ოსკარით" არ დააფასა. პირველ რიგში, გამოკითხვის მონაწილეებმა "მასკულატურის" ვარსკვლავი სემუელ ლ. ჯექსონი და დემი მური დაასახელეს. მამაკაცებში მეორე ადგილზე გავიდა სტივ მაქკუინი, მერე უელსელი ვარსკვლავი რიჩარდ ბარტონი (ის შვიდ ნომინაციაზე ყოფილა წარდგენილი ისეთი ფილმისთვის, როგორიცაა "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის").

რაც შეეხება ქალბატონებს, დემი მურის შემდეგ ყველაზე დაჩაგრულად შერაცხეს შერონ სტოუნი. 1996 წელს ის "კაზინოში" შესრულებული როლისთვის იყო "ოსკარზე" წარდგენილი, მაგრამ შინ ხელცარიელი წავიდა.

ჰიჩკოკი კი, მართალია, "უოსკაროდ" დატოვეს, მაგრამ 1958 წელს მას "ოქროს გლობუსი" გადასცეს სატელევიზიო დადგმისთვის "ალფრედ ჰიჩკოკი წარმოგიდგენთ", მერე კი 1972 წელს სესილ დემილის ჯილდოც მიანიჭეს.

# აუქციონი ჯაზის სახლში

20 თებერვალს, ნიუ იორკში, გემსის აუქციონის სახლში ფსონები ჯაზის მოყვარულთათვის გაკეთდება. ჩარლი პარკერის საქსოფონი, მისი ხელნაწერები, დღემდე უცნობი ჩანაწერები, ელა ფიცჯერალდის საღამოს კაბა, ჯონ კოლტრეინისა და თელონიუს მონქის რვეულები - აი, ის ლოტები, რომელთაც გასაყიდად გაიტანენ.

წინასწარი ვარაუდით, პარკერის საქსოფონი შეიძლება 1 მილიონ დოლარადაც გაიყიდოს, იგივე ფასს შეიძლება მიუკაკუნოს კოლტრეინის ტენორ-საქსოფონმა.



აუქციონზე გატანილ სხვა ინსტრუმენტებს შორის იქნება: დიზი გილესპის საყვირი - 500 ათასი დოლარი სავარაუდო ფასით; ჯეი ჯონსონის ტრომბონი, ბენი გუდმენის კლარნეტი და ლაიონელ ჰემპტონის ვიბრაფონი.

აუქციონიდან მიღებული თანხა რამდენიმე ფონდს გადაერიცხება, მათ შორის: ჯონ კოლტრეინის ფონდს, რომელიც ჯაზის ახალგაზრდა მუსიკოსებს ასპონსორებს, ლოს ანჯელესისა და დეტროიტის ეკლესიებსა და საავადმყოფოებს, ბენი გუდმენის სახელობის ფონდსა და წითელ ჯვარს.

ორგანიზატორების თქმით, ეს არის ამერიკაში ჩატარებული პირველი აუქციონი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჯაზს ეძღვნება.

ასე რომ, 20 თებერვალს ლინკოლნ ცენტრის ჯაზის დარბაზი თავს მოუყრის ამ მუსიკის ყველა ფულიან მოყვარულს, რათა მათ კერპების ნაქონი ნივთებისა და ინსტრუმენტების შეძენა შეძლონ.

### ანონსი

**ოთხშაბათს**, 26 იანვარს, **17 საათზე** კაფე "პარნასში" გაიმართება ირაკლი სამსონაძის წიგნის - "ყურთბალიშის" (გამომცემლობა "არეტე") პრეზენტაცია.

Sheraton Metechi Palace HOTEL TBILISI, GEORGIA

ცუნამით დაზარალებულთა დახმარების გალა-აქცია

მასპინძელია

სასტუმრო «შერატონ-მეტეხი-პალასი» და «ცუნამით დაზარალებულთა დახმარების კომიტეტი»

შემოსავალი გადაირიცხება ორგანიზაცია «წითელი ჯვრის» ანგარიშზე

შაბათს, 29 იანვარს

შამპანურის კოქტეილი: 19.00 სთ.

სადილი: 20.00 სთ.

პროგრამაშია: თბილისის ბიგ ბენდი, ჩუმი აუქციონი და ლატარეა

ჩაცმის კოდი: ნახევრად ოფიციალური

ინდივიდუალური ბილეთი: 50 აშშ. დოლარი

კორპორატიული ბილეთი (10 ადგილიანი მაგიდა): 700 აშშ. დოლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით კომიტეტის წევრებს:

საბინ მო: 899 14 02 24 — სარა უილიამსონი: 877 42 50 85

ბეტსი ჰასკელი: 899 75 09 99 — ემი დენმანი: 877 43 38 60

ქრისტინა პეიერი: 877 79 44 64 — რიჩარდ დოითლი: 877 56 50 06

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04

20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge